უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასება

კოალიცია
დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის

მომზადებულია კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ მიერ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში გამართული კანდიდატთა საკომიტეტო მოსმენების საფუძველზე.

აღნიშნული დოკუმენტი არ გამოხატავს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, ადამიანის უფლებათა სწავლების და მონიტორინგის ცენტრისა და კონსტიტუციის 42-ე მუხლის პოზიციას.

დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭირვალე მართლმსაჯულებისთვის“. ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

სარჩევი

შესავალი 4
თამარ ალანია 6
მერაბ გაბინაშვილი 9
შოთა გეწაძე 12
მირანდა ერემაძე 15
მამუკა ვასაძე 19
მაია ვაჩაძე 21
თამარ ზამბახიძე 25
შალვა თადუმაძე 29
ვლადიმერ კაკაბაძე 32
ლევან მიქაბერიძე 35
გიორგი მიქაუტაძე 38
პაატა სილაგაძე 41
ნუგზარ სხირტლაძე 44
ლალი ფაფიაშვილი 47
ნინო ქადაგიძე 51
ლაშა ქოჩიაშვილი 53
ქეთევან ცინცაძე 56
ალექსანდრე წულაძე 60
გოჩა ჯეირანაშვილი 63

შესავალი

პირველად საქართველოს ისტორიაში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები უვადოდ უნდა დაინიშნონ. კონსტიტუციის ახალმა რედაქციამ, რომელიც 2018 წლის მიწურულს ამოქმედდა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მინიმალური ოდენობის (არანაკლებ 28) განსაზღვრით არაორდინალური სიტუაცია შექმნა და გააჩინა შესაძლებლობა, ერთი მოწვევის პარლამენტს არანაკლებ 2/3-ით განეახლებინა უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა. კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, მისთვის ახლადმინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მიღებულმა გადაწყეტილებამ, სათანადო პროცედურებისა და კრიტერიუმების გარეშე განეხორციელებინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატურების პარლამენტში ნომინირება, საზოგადოებაში მნიშნელოვანი ვნებათაღელვა გამოიწვია.

მოგვიანებით, საქართველოს პარლამენტის მიერ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად, განისაზღვა საბჭოს მიერ კანდიდატთა შერჩევისა და ნომინირების წესი, რომელიც, პროცესით დაინტერესებული არაერთი აქტორის შეფასებით, სათანადოდ ვერ პასუხობს სასამართლო ხელისუფლების წინაშე არსებულ გამოწვევებს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს პარლამენტს 20 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 201 კანდიდატურა წარედგინა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოში კანდიდატთა შერჩევისა და ნომინირების პროცესმა მთელი რიგი ხარვეზებით ჩაიარა, პარლამენტს რჩებოდა ვალდებულება თითოეული კანდიდატის შესახებ მიეღო გადაწყვეტილება.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი ვალდებული იყო თითოეული ნომინირებული კანდიდატისთვის კომიტეტის სხდომაზე საჯაროდ მოესმინა. მისასალმებელია, რომ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ შემუშავებული ფორმატი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მოსმენის პროცესში საზოგადოების წარმომადგენლობით ჩართულობას უზრუნველყოფდა და შეესაბამებოდა გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტს. კანდიდატების სხდომის დარბაზში მოსმენის და კითხვის დასმის შესაძლებლობა ჰქონდათ, არა მხოლოდ პარლამენტის წევრებს, არამედ სახალხო დამცველს, იურიდიული პროფესიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. სამოქალაქო საზოგადოების სახელით კანდიდატების საკომიტეტო მოსმენაში მონაწილეობდა კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის.“

წინამდებარე დოკუმენტი ძირითადად მოიცავს აღნიშნული საკომიტეტო მოსმენის საფუძველზე კოალიციის წარმომადგენლების მოსაზრებებსა და შეფასებებს კანდიდატთა კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე სწორედ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით შეირჩევა. რა თქმა უნდა, პარლამენტის წევრები უფლებამოსილნი არიან კონსტიტუციაში გამოყენებულ ტერმინებს ავტონომიური მნიშვნელობა მიანიჭონ, თუმცა, დოკუმენტის ავტორებმა კანდიდატების შეფასებისას ძირითადად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების მიხედვით ვიხელმძღვანელეთ.

1 მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს მიერ პარლამენტში ნომინირებული იქნა 20 კანდიდატურა, მოსამართლე ზ.თავაძის მიერ საკუთარი კანდიდატურის მოხსნამ, ნომინირებულ კანდიდატთა რაოდენობა 19-მდე შეამცირა. შესაბამისად, ამ დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი მოსამართლე თავაძის შეფასება.

შესავალი

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასებისას, ყურადღება გამახვილდა:

- კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისზე;
- დამოუკიდებლობაზე, მიუკერძოებლობასა და სამართლიანობაზე;
- პიროვნულ და პროფესიულ ქცევაზე;
- პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციაზე.

ხოლო კანდიდატის **კომპეტენტურობის** შეფასებისას:

- სამართლის ნორმების ცოდნაზე;
- კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარსა და კომპეტენციაზე;
- წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარზე;
- პროფესიულ თვისებებზე;
- აკადემიური მიღწევებსა და პროფესიული წვრთნაზე;
- პროფესიულ აქტივობზე.

გარდა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობისა, შეფასებების ავტორთათვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო კანდიდატთა ღირებულებითი წესრიგი. მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულება მოსამართლის ინდივიდუალურ დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას ემყარება. ამიტომ, სამოსამართლეო საქმიანობა ინდივიდუალური მოსამართლის მნიშვნელოვან ღირებულებით წესრიგს მოითხოვს. ეს ღირებულებები კარგად ჩანს მოსამართლეობის კანდიდატთა მიერ სხვადასხვა საკითხებზე დაფიქსირებულ პოზიციებში.

წინამდებარე დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია კანდიდატების კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის სრულყოფილად და ამომწურავად შეფასებაზე, თუმცა მიგვაჩნია, რომ მან შესაძლოა მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს პარლამენტის წევრებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამავდროულად, გამოვთქვამთ იმედს, რომ როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ, ისე პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საკომიტეტო მოსმენების ღია და გამჭვირვალე პროცესის ადეკვატური გაგრძელება იქნება და მხოლოდ იმ კანდიდატთა მხარდაჭერით შემოიფარგლება, რომლებიც საკუთარი კეთილსინდისიერებითა და კომპეტენციით არაორაზროვნად შეესაბამებიან უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მაღალ სტატუსს. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ მსგავს გადაწყვეტილებებს შეუძლიათ სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის დაბრუნება.

თამარ ალანია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად[1] 11 ხმით ერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს თამარ ალანია წარედგინა[2].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე თამარ ალანიას 2019 წლის 23 სექტემბერს მოუსმინეს.

მოსამართლე ალანიას მოსმენა 7 საათსა და 20 წუთს გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, კანდიდატ თამარ ალანიას მიერ გამოხატულმა პოზიციამ და შეკითხვებზე გაცემულმა პასუხებმა, მის ღირებულებით წესრიგთან დაკავშირებით გარკვეული მოსაზრებების ჩამოყალიბების შესაძლებლობა მოგვცა. თუმცა, იყო რამდენიმე საკითხი, რომელზეც ვფიქრობთ ღირს ყურადღების გამახვილება, კერძოდ:

მოსამართლე ალანია, მიიჩნევს, რომ 13 წლიანი სამოსამართლეო გამოცდილების ფარგლებში განხილულ საქმეებზე იმავე ფაქტობრივი მოცემულობის არსებობის შემთხვევებში ყველა საქმეზე იმავე გადაწყვეტილებას მიიღებდა. ზოგადად, სამართლის და მართლმსაჯულების განხორციელება დინამიური პროცესია. დინამიურობა კი თავის მხრივ, ინდივიდუალურ მოსამართლეთა მხრიდან წარსული გამოცდილების გადააზრების და პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვის მუდმივ პროცესს გულისხმობს. კანდიდატის მიერ კითხვებზე გაცემული პასუხი კი შესაძლოა ამგვარი გადააზრების დეფიციტზე მიუთითებდეს.

სასამართლო სისტემაში არსებულ ხარვეზებთან და პრობლემებთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხი, აჩენს განცდას, რომ მოსამართლე ალანია ან არასათანადოდ აცნობიერებს სასამართლოს წინაშე წარსულში ან დღეს არსებულ გამოწვევებს, ან სწორად აცნობიერებს, თუმცა აღნიშნულის შესახებ ღიად არ საუბრობს.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მოსმენისას, კანდიდატმა არ გამორიცხა, რომ დღევანდელი გადმოსახედიდან, 2018 წელს საკუთარი კანიდატურის პარლამენტში ნომინირების საკითხზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამარტო მოსამართლე, არამედ არამოსამართლე წევრებთანაც ემსჯელა. ამავე საკითხზე მსჯელობისას კანდიდატი ცდილობდა თავი აერიდებინა მის შესახებ და მისი თანხმობით საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამჭვირვალობისა და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებთან შესაბამისობის შეფასებისგან და ძირითადად ცდილობდა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმალური კანონიერების კუთხით გაემართლებინა.

- *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*

მოსამართლე ალანიას პასუხებს ნეიტრალური დამკვირვებლისთვის შესაძლოა კითხვები გაეჩინა მისი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ. კერძოდ;

კანდიდატი მიიჩნევს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2018 წლის დეკემბერში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის დანარჩენ 9 კანდიდატთან ერთად მისი წარდგენა იყო

1 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

2 წარდგინება თამარ ალანიას კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926?. უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

თამარ ალანია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

კანონიერი და მიზანშეწონილი (მორალურად გამართლებული). კანდიდატი მიიჩნევს, რომ მისი კანდიდატურა პარლამენტს უნდა განეხილა, თუმცა ის აქვე ადასტურებს, რომ მან შეცვალა მისივე გადაწყვეტილება და უარი თქვა ნომინირებაზე. ამ გადაწყვეტილებას მოსამართლე შექმნილ რეალობას და პარლამენტის მხრიდან მათ კენჭისყრაზე გაცხადებულ საჯარო უარს უკავშირებს, თუმცა, ამავდროულად მიიჩნევს, რომ პოზიციის ცვლილება არ მეტყველებს მისი **მედეგობის ნაკლებობაზე**, მმართველი პოლიტიკური ძალის პოზიციის ან ზოგადად უმრავლესობის პოზიციის მიმართ.

ზემოთ აღნიშნულ საკითხზე კანდიდატის მიერ დაფიქსირებული მოსაზრება რამდენიმე მიმართულებით არის მნიშვნელოვანი. კანდიდატი ან ვერ იაზრებს იუსტიციის საბჭოს მიერ 2018 წლის დეკემბერში გადადგმული ნაბიჯების უარყოფით შედეგს მართლმსაჯულების სისტემისთვის, ან იაზრებს და მიუხედავად ამისა, ცდილობს გაამართლოს სასამართლოს გავლენიანი ჯგუფის მიერ ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება და სამართლიანობა მხოლოდ ფორმალური არგუმენტებით.

მეორე მხრივ, საკუთარი გადაწყვეტილებით მისივე კანდიდატურის განხილვაზე უარის თქმა, მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს თამარ ალანიას დამოუკიდებლობაზე, **მის მედეგობაზე** პირველ რიგში მმართველი პოლიტიკური ძალის გავლენისა და ზოგადად უმრავლესობის მოსაზრებების მიმართ. ეს თვისება კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ, უზენაესი სასამართლოს მაღალი სტატუსის, არამედ ნებისმიერი ინსტანციის სასამრთლოს მოსამართლისთვის.

მოსამართლე ალანიას პასუხებში იგრძნობა ლოიალობა სასამართლო სისტემაში გავლენიან ჯგუფად მოაზრებული მოსამართლეების მიმართ. კითხვაზე, თუ რატომ მოხსნა საკუთარი კანდიდატურა იუსტიციის საბჭოს მდივნის პოზიციაზე, მოსამართლე ლევან მურუსიძის სასარგებლოდ, თამარ ალანიას ლაკონური და მშრალი პასუხი იმით შემოიფარგლა, რომ **„ასე იყო საჭირო“**. სამოსამართლეო ეთიკის შესახებ ბანგალორის პრინციპებზე მითითებით კანდიდატი თავს არიდებდა სხვა, განსაკუთრებით კი გავლენიანი ჯგუფის წევრებად მოაზრებული, მოსამართლეების მიერ სამოსამართლეო ეთიკასთან აშკარად შეუთავსებელ ქცევაზე კომენტარის გაკეთებას.

□ *პიროვნული და პროფესიული ქცევა*

როგორც თავად კანდიდატმა განაცხადა, მას საჯაროდ არასდროს გამოუთქვამს კრიტიკა მოქმედი ხელისუფლების მიმართ, მაშინაც კი, როცა ის მოსამართლე არ ყოფილა, რადგან თვლის, რომ ხელისუფლების კრიტიკა მხოლოდ პოლიტიკოსების საქმეა და თვითონ პოლიტიკოსი არასდროს ყოფილა. ამგვარმა დამოკიდებულებამ ნეიტრალურ დამკვირვებელში შეიძლება გააჩინოს განცდა, რომ მოსამართლე თამარ ალანია ზოგადად ლოიალობას იჩენს სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ და არასათანადოდ აცნობიერებს მოქალაქის როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო ხელისუფლებისადმი კრიტიკის გამოთქმას, მხოლოდ პოლიტიკოსთა ფუნქციად ან მოვალეობად მიიჩნევს.

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა*

მოსამართლე ალანია ერთმანეთისგან სრულყოფილად ვერ მიჯნავს შეწყალებისა და მსჯავრისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტების ბუნებას. მიაჩნია, რომ პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლებამოსილება – შეიწყალოს პატიმარი – გამომდინარეობს საერთაშორისო სტანდარტებიდან – არსებობდეს უვადო პატიმრობის გადასინჯვის მექანიზმი.

მოსამართლე ალანია მართებულად თვლის, საქართველოს კონსტიტუციაზე დაყრდნობით მოქმედი საკანონმდებლო ნორმის გამოყენებაზე უარის თქმას და საერთაშორისოდ აღირებული უფლებათა სტანდარტის, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლის, გამოყენებას, თუ ეს ნორმა წინააღმდეგობაში მოდის სტანდარტთან.

თამარ ალანია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია*

კანდიდატი მიიჩნევს, სამართლებრივად სწორია პოზიცია იმის შესახებ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევისას ხელმძღვანელობს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით, როგორც არაპოლიტიკური ორგანო, ხოლო პრეზიდენტი ხელმძღვანლობდა, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირი. თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, 2018 წლის დეკემბრში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების ნომინირების შესახებ გადაწყვეტილების კრიტიკას (თუ რატომ მიიღო საბჭომ ასეთი ერთპიროვნული და ბუნდოვანი გადაწყვეტილება) კანდიდატი საქართველოს პრეზიდენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევის მანამდე მოქმედ წესს იხსენებს და მიუხედავად ამ ორ წესს შორის არსებული არსებითი განსხვავებისა, მათ შორის მაინც პარალელს ავლებს და ამით ცდილობს საბჭოს გადაწყვეტილების გამართლებას.

შეკითხვაზე თუ **რას შეცვლიდით უზენაეს სასამართლოს პრაქტიკაში,** თამარ ალანია პასუხობს, *„იქ ჩემი კოლეგები მუშაობენ და მათი გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა ჩემთვის. ამიტომ, პირდაპირ გეტყვით არაეთიკურია საუბარი იმაზე თუ რა მომწონს და ან არ მომწონს ამ გადაწყვეტილებებში და რას შევცვლიდი.“*

- *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი*

კანდიდატი თანმიმდევრულად და მშვიდად აყალიბებს საკუთარ პოზიციას თუმცა, რიგ შემთხვევებში, რიტორიკულ ან მწვავე კრიტიკულ შეკითხვებზე პასუხისას ვერ ახერხებს დადგეს ემოციურ მდგომარეობაზე მაღლა, მოისმინოს განსხვავებული აზრი და იყოს გაწონასწორებული.

- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა*

მოსამართლე ალანიას არ ახსენდება არცერთი ნაშრომი სამართლის ფილოსოფიიდან და ზოგადად, სამართლის თეორიიდან, რომელმაც დიდი კვალი დააჩნია მის პროფესიულ განვითარებას. ერთადერთი, რაც ამ თვალსაზრისით ახსენდება, არის კოდექსის კომენტარები და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები.

მერაბ გაბინაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[3] 11 ხმით ერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს მერაბ გაბინაშვილი წარედგინა[4].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მერაბ გაბინაშვილს 2019 წლის 24 სექტემბერს მოუსმინეს.

მოსამართლე გაბინაშვილის მოსმენა 7 საათსა და 47 წუთს გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

კითხვაზე – მისთვის, როგორც მოსამართლისთვის, რომელია პირველი წიგნი – კონსტიტუცია თუ ბიბლია? – მოსამართლე გაბინაშვილი პასუხობს, რომ მოსამართლისათვის, კონსტიტუცია არის ხერხემალი, რასაც ეყრდნობა სახელმწიფო. ამასთანავე, ბიბლიას, მისი, როგორც ქრისტიანი ადამიანის ღირებულებების შექმნაში დიდი როლი აქვს. კანდიდატის მოსაზრებით, ეს ორი „ცნება“ ერთმანეთს არ დარდება და მის გადაწყვეტილებებზე ბიბლიის როლი და გავლენა არ აისახება.

კანდიდატი მიიჩნევს, რომ ადამიანი საკუთარ თავს არ ეკუთვნის და მას საზოგადოების წინაშეც აქვს ვალდებულებები, როგორც სოციალურ არსებას. კითხვაზე **უნდა ისჯებოდეს თუ არა პირი საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების გამო,** კანდიდატმა არ გასცა პირდაპირი პასუხი. თუმცა, დამატებით განავითარა მსჯელობა, *რომ ის არასოდეს დაუჭერს მხარს „იმას რომ ადამიანები დადიოდნენ ქუჩაში და სხვის დასანახად საკუთარ თავს აყენებდნენ ზიანს, იმიტომ რომ, ჯანმრთელი საზოგადოება სჭირდება ქვეყანას, როგორც მორალურადაც ჯანმრთელი და ფსიქიურად ჯანმრთელი საზოგადოება, რადგანაც მეტია ალბათობა იმისა რომ ისინი სწორ გადაწვეტილებას მიიღებენ და ადეკვატურები იქნებიან, ასევე ფიზიკურად ჯანმრთელი საზოგადოება. სოციალური სახელმწიფო ვართ და კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ სახელმწიფო ვალდებულია ზრუნავდეს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ამ პრინციპიდან გამომდინარე.“*

კანდიდატი აცხადებს, რომ იზიარებს და მხარს უჭერს კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სასამართლო სისტემის არსებობის მნიშვნელობას დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

ამასთანავე, ლიბერალურ დემოკრატიასთან დაკავშირებით კითხვაზე, კანდიდატმა განაცხადა, რომ *„ეს ძალიან მაღალი ღირებულებაა და თუ მივდივართ ამ ღირებულებისკენ მაშინ ის ვალდებულებებიც უნდა იქნეს შესრულებული რაც ლიბერალური დემოკრატიის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს“* თუმცა, რა ვალდებულებებს გულისხმობს ამ შემთხვევაში კანდიდატი არ განუმარტავს.

კანდიდატი მიიჩნევს, რომ **2012 წლამდე არსებულ მართლმსაჯულების სისტემაში არცერთი მისი კოლეგა მოსამართლე არ იღებდა პოლიტიკურად მოტივირებულ/უსამართლო გადაწყვეტილებას.**

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

მოსამართლე გაბინაშვილის შეფასებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ფადი ასლის მიერ გაჟღერებულ მოსაზრებაზე გაკეთებული ოფიციალური განცხადება და სასამართლოს მხრიდან პოზიციის დაფიქსირება ფადი ასლის გამონათქვამების მცდარობასთან დაკავშირებით, საზოგადოებაში არ ქმნის მიკერძოებულობისა და არაობიექტურობის განცდას. მოსამართლე გაბინაშვილი, თბილისის საქალაქო

3 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

4 წარდგინება მერაბ გაბინაშვილის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926?. უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

მერაბ გაბინაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

სასამართლოს ამ განცხადებას აფასებს, როგორც სასამართლოს მხრიდან საზოგადოების ინფორმირებას და მოწოდებას *„რომ მიმართეთ სასამართლოს და იქ გაარკვიეთ თქვენი უფლებებისა და თავისუფლებების, ასე ვთქვათ, სამართლებრივი საკითხები.“*

ასევე, მოსამართლე გაბინაშვილი პრობლემას ვერ ხედავს სასამართლოს მიერ, იმავე სასამართლოში დასაქმებული მოსამართლის საქმის განხილვაში. მისი განმარტებით, მნიშვნელობა არ აქვს ვინ მიმართავს სასამართლოს – მოსამართლე, რომელიც თავად მუშაობს იმ სასამართლოში, რომელმაც უნდა განიხილოს მისი საქმე, თუ სხვა პირი.

მოსამართლე გაბინაშვილი მიიჩნევს, რომ 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდგომ პერიოდში სასამართლოს მიერ საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების სტატისტიკის მკვეთრი ცვლილება (აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებაზე უარის თქმა) გამოწვეული იყო იმ ფაქტით რომ სასამართლომ აამაღლა დასაბუთების სტანდარტი.

კანდიდატის ასეთი პოზიცია აჩენს განცდას, რომ ის სამართლებრივი საკითხების შეფასებისას ფრთხილი ან მიკერძოებულია იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე სასამართლოს სისტემას და ამ სისტემის წარმომადგენლების ქმედებებს ეხება.

- *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის კლებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვას კანდიდატმა შემხვედრი პოზიცია დაუპირისპირა და განმარტა, რომ სასამართლოსადმი გაზრდილი მომართვიანობა პირდაპირ მიუთითებს სასამართლოს მიმართ გაზრდილ ნდობაზე. მიუხედავად იმისა რომ სტატისტიკური მონაცემები საპირისპიროს მეტყველებს, კანდიდატი სრული დამაჯერებლობით ამტკიცებდა, რომ სასამართლოსადმი ნდობა არ შემცირებულა. მის პათოსში იგრძნობოდა მიკერძოებული წინასწარი განწყობა და კრიტიკულად გაჟღერებული პოზიციის მიუღებლობა. კანდიდატის ასეთი დამოკიდებულება აჩენს განცდას, რომ ის ან ვერ/არ ახერხებს გარემოებების ობიექტურ შეფასებას ან მიკერძოებული და სუბიექტურია ყველა იმ შემთხვევაში,რაც სასამართლოში არსებულ პრობლემებს ეხება.

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

- *სამართლის ნორმების ცოდნა*

მოსამართლე გაბინაშვილს არ აქვს პასუხი კითხვაზე რატომ არ არის საკუთრების უფლება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტისა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტების ნაწილი.

- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია*

მოსამართლე გაბინაშვილი ვერ აყალიბებს ლიბერალური დემოკრატიის ზუსტ მნიშვნელობას. მას ასევე არ აქვს ლიბერალური დემოკრატიის მახასიათებლებთან დაკავშირებით პოზიცია.

მოსამართლეს გაუჭირდა კითხვაზე პასუხი, თუ რა პოლიტიკური რეჟიმი იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ერთ შემთხვევაში მან მიუთითა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იყო დემოკრატიული რეჟიმი – მისი სახელწოდებიდან გამომდინარე. თუმცა, შემდგომ თავი შეიკავა ამ საკითხზე დამატებით მსჯელობისგან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კონსტიტუციური კონტროლის წარმოშობასთან დაკავშირებით მოსამართლე ჯონ მარშალის გადაწყვეტილებას მოსამართლე გაბინაშვილი განმარტავს, როგორც სამართლებრივად პრინციპულ პოზიციას, რომელმაც გაუძლო ყოველგვარ პოლიტიკურ ზეწოლას. სინამდვილეში საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ჯონ მარშალის გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან გამომდინარეობდა. კონსტიტუციური კონტროლის დაარსება არა სამართლებრივი ანალიზის, არამედ უსიამოვნო პოლიტიკური შედეგების თავიდან აცილების მიზნით იყო მოტივირებული.

მერაბ გაბინაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ჩნდება განცდა, რომ მოსამართლე გაბინაშვილს უჭირს კითხვის არსის ადეკვატური აღქმა, ან მას აქვს ფაქტობრივი ცოდნის სიმწირე სამართლის ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით. მოსამართლის პასუხებში იგრძნობა ზოგადი ცნებებით სპეკულირების მცდელობა.

□ *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი*

კანდიდატს ზეპირი კომუნიკაციის პროცესში ახასიათებს უშუალობა და თავდაჯერებულობა, თუმცა, ხშირად მტკიცედ ასაბუთებს პოზიციას, რომლის გარშემოც არ ფლობს საკმარის ფაქტობრივ ცოდნას, აღნიშნულის გადაფარვას ცდილობს საკითხის განზოგადებით, ახასიათებს აგრესია იმ შემთხვევაში თუკი შეკითხვის ავტორი ანტიპათიას გამოხატავს გაცემულ პასუხთან დაკავშირებით. ასევე, თუკი კითხვის ავტორი კრიტიკულად ეძიება პასუხს, იგი უარს აცხადებს დამატებითი პასუხების გაცემაზე.

□ *პროფესიული თვისებები;*

მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატი რიგ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეულწილად არარელევანტურ მოსაზრებებს აჟღერებდა, იგი, ერთი შეხედვით, სრულიად დამაჯერებელი ჩანდა და სამართლებრივ საკითხებში ნაკლებად გათვითცნობიერებულ ადამიანში შეიძლება დაეტოვებინა აღქმა, რომ სიღრმისეულად იცნობდა საკითხს.

შოთა გეწაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[5] 11 ხმით ერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს შოთა გეწაძე წარედგინა[6].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე შოთა გეწაძეს 2019 წლის 25 სექტემბერს მოუსმინეს.

მოსამართლე გეწაძის მოსმენა 6 საათსა და 37 წუთს გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

კანდიდატი მართალია იზიარებს პოზიციას, რომ ზოგადად პირები არ უნდა ისჯებოდნენ საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების გამო, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ შესაძლოა დადგეს პირის ქმედების შეზღუდვის აუცილებლობა. საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად, კანდიდატმა მაგალითად მოიყვანა ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი საკუთარი თავის დაზიანებით ლახავს სხვა პირთა უფლებებს. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის მიერ მოყვანილი მაგალითი არ არის კითხვის რელევანტური, რადგან სხვათა უფლებების მიზნით ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა არ უკავშირდება საკუთარი თავისთვის მიყენებული ზიანისთვის დასჯის საკითხს.

კანდიდატი არ ემხრობა აბორტის შესახებ არსებულ რეგულირებას, მიიჩნევს რომ 12 კვირამდე აბორტი არა მხოლოდ დედის სურვილს, არამედ აუცილებელ პატივსადებ ინტერესს უნდა ეფუძნებოდეს.

კანდიდატი ეწინააღმდეგება სელექციურ აბორტს და დედის უფლებისათვის ყველა შემთხვევაში უპირატესობის მინიჭებას ბავშვის სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

□ *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

2012 წლის შემდეგ საერთო სასამართლოების მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოსადმი გაგზავნილი წარდგინებების რაოდენობის ზრდაზე საუბრისას კანდიდატმა აღნიშნა, რომ თავად ჯერჯერობით არ მიუმართავს ამ ინსტიტუტისათვის, ხოლო რაც შეეხება ზოგად ტენდენციას, კანდიდატის შეფასებით, ეს შეიძლება იმით ახსნას, რომ *"ზოგმა მოსამართლეებმა მეტი თავისუფლება იგრძნეს."*

კანდიდატისთვის ცნობილი არ არის ხდებოდა თუ არა სასამართლოში საქმის განაწილების სისტემით მანიპულირება.

მოსამართლე შოთა გეწაძე აღნიშნავს, რომ ის გრძნობდა გარკვეულ პრობლემებს და ზეწოლებს სასამართლო სისტემაში, მათ შორის გახმაურებულ საქმეებზეც, თუმცა არ აკონრეტებს რაში გამოიხატებოდა აღნიშნული.

□ *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

კანდიდატმა, წინა ხელისუფლების შეფასებისას ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობაზე ისაუბრა, ხოლო კითხვაზე, კონკრეტულად, რომელ ნიშანს გულისხმობდა კანდიდატმა აღნიშნა:

„აი იმ ნიშანს, რაც, ასე ვთქვათ, ყველაზე თვალსაჩინოა ამ ტიპის მმართველობისათვის. შეიძლება ზოგიერთი თანამდებობის პირი თუ ხელისუფლების წარმომადგენელი რეალურად არ ახორციელებდეს თავის ფუნქციას და მის ნაცვლად სხვა იღებდეს გადაწყვეტილებას. უხილავი, ნუ უხილავი ბრჭყალებში, პირი."

დამატებით კანდიდატმა ისიც განაცხადა, რომ მეტი ინფორმაციისა და მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში მოქმედი ხელისუფლების

5 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

6 წარდგინება შოთა გეწაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926?. უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

შოთა გეწაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

პირობებშიც არ გამორიცხავდა ამგვარი პირების არსებობას. ზოგადად საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში კანდიდატების მოსმენამ ერთგვარად თვალსაჩინო გახადა ტენდენცია, რომ კანდიდატები არ აფიქსირებენ ან/და მეტად ფრთხილნი არიან მოქმედი ხელისუფლების მიმართ რაიმე სახით შეფასების გამოხატვისას.

მოსამართლე გეწაძე მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ძალაში დატოვება, მისი მხრიდან იყო კანონიერი გადაწყვეტილება.

□ *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*

მოსამართლე, შოთა გეწაძე გასაუბრების პროცესში შეეცადა განემარტა მის მიერ წარსულში გაკეთებული განცხადების შინაარსი და მოტივი; მაგალითად სასამართლოს მიმართ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, თუმცა, პირდაპირ არ უპასუხა კითხვას სამართლებრივად რამდენად გამართულად, საქართველოში მოქმედ სტანდარტთან შესაბამისად, მიაჩნდა საკუთარი შეფასებები. იგივე შეიძლება ითქვას, მის მიერ წარსულში მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ მსჯელობაზე. როდესაც კანდიდატი ცდილობდა დაესაბუთებინა საკუთარი გადაწყვეტილება, ნეიტრალური დამკვირვებლისთვის იქმნებოდა განცდა, რომ მას უჭირდა დამაჯერებლად აეხსნა ამ გადაწყვეტილებების სისწორე.

კანდიდატის შეფასებით, რუსთავი 2-ის საქმის მიმდინარეობის პარალელურად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გარკვეულ წევრთა რეაქცია, რომელიც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული რეგულაციების გადახედვას (გამკაცრებას) უკავშირდებოდა, იყო ნორმალური. მეტიც, კანდიდატი თვლის, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო *„ვალდებულია დაიცვას ასეთი შემოტევებისაგან ნებისმიერი მოსამართლე.“*

სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობაზე საუბრისას, კანდიდატმა IPSOS-ს კვლევა მოიშველია, რომლის მიხედვითაც, **საქართველოში მოსახლეობის 51% ენდობა სასამართლოს, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი იტალიასა და ესპანეთში ბევრად დაბალია.** უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული არგუმენტაცია პირდაპირ თანხვედრაშია და იმეორებს სასამართლო სისტემის შიგნით არსებულ და გავლენიან ჯგუფად მოაზრებული პირების ნარატივს. დამატებით, კანდიდატმა აღნიშნა, სასამართლოს *„ბრალია“,* რომ მის შესახებ საზოგადოებას *„ბევრი კარგი ინფორმაცია“* არა აქვს.

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა*

მოსამართლის და ზოგადად სასამართლოს, ადამიანის ძირითადი უფლებებით შეზღუდვის არსთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე კანდიდატის მსჯელობა უფრო მეტად ზოგადი ხასიათის იყო და შეეხებოდა სახელმწიფოსა და კერძო ინდივიდს შორის ურთიერთობის მოწესრიგებაში ადამიანის ძირითადი უფლებების მნიშვნელობას, ვიდრე უშუალოდ დასმულ საკითხს. კანდიდატის განცხადებით, ადამიანის ძირითადი უფლებები არის წინარესახელმწიფოებრივი უფლებები, ხელისუფლება შეზღუდულია ადამიანის ძირითადი უფლებებით, რომელიც სახელმწიფოსგან მინიჭებული კი არა, პირიქით სახელმწიფოსაგან დამცავი უფლებებია. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე კანდიდატმა კითხვაზე პასუხი საბოლოოდ შემდეგი სახით ჩამოაყალიბა:

თუკი სასამართლო შეხედავს, რომ რომელიმე ნორმატიული აქტი თუ საკანონმდებლო სივრცე არღვევს ადამიანის უფლებებს, მაშინ ადამიანის უფლებათა დაცვის საფუძველზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

კანდიდატის შეფასებით, ბრალდებულმა, რომელმაც მისსავე ბრალდების საქმეზე ცრუ ჩვენება მისცა სასამართლოს, არ უნდა აგოს პასუხი. მართალია, ამ პოზიციის არგუმენტირებისთვის მას რაიმე სამართლებრივი თეორია ან დამატებით მსჯელობა არ მოუშველიებია, თუმცა მისი ეს პოზიცია შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც ადამიანის უფლებების სასიკეთოდ გაკეთებული მოსაზრება. იურიდიულ წრეებში არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომელიც

შოთა გეწაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

შესაძლებლად მიიჩნევს ბრალდებულის დამატებით სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას, თუ ეს უკანასკნელი სასამართლოს ცრუ ჩვენებას მისცემს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაზე, კონსტიტუციური უფლების გარე და შიდა შეზღუდვებზე, კონსტიტუციური შეთანხმების ცალკეულ დებულებაზე და ლიბერალური დემოკრატიის მახასიათებლებზე მსჯელობისას კანდიდატმა ერთი მხრივ პირდაპირ განაცხადა, რომ გაკრვეული საკითხების შესახებ არ ფლობდა ინფორმაციას, ხოლო მეორე მხრივ, ის მსჯელობები, რომელთა განვითარებასაც კანდიდატი ლოგიკურად შეეცადა, არ იყო დამაჯერებელი, რიგ შემთხვევებში გაცემული პასუხები არ შეესაბამებოდა კითხვის არსს და მსმენელში ტოვებდა განცდას, რომ კანდიდატს აღნიშნულ საკითხზე არ ჰქონდა სიღრმისეული ცოდნა.

- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*

რელიგიური გრძნობების დაცვაზე მსჯელობისას კანდიდატი ლოგიკური დასაბუთებით მივიდა დასკვნამდე:

„რელიგიური გრძნობა, რელიგიისაგან განყენებულად ჩვენ შეგვიძლია ასე ხელაღებით, განვასხვავოთ ერთმანეთისაგან? მე ვფიქრობ რომ რთულად წარმოსადგენია. რელიგიური გრძნობა რელიგიის თავისუფლების გარეშე, მიჭირს მართალი რომ გითხრათ ამის გამიჯვნა.“

ასევე ადამიანის უფლებების სასარგებლოდ იყო დაფიქსირებული, მოსამართლე შოთა გეწაძის პასუხი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით დასმულ სხვა კითხვაზეც, მათ შორის კონვენციისა და საქართველოს კონსტიტუციის ტექსტებს შორის არსებულ განსხვავებაზე და შემოქმედებით თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხზე.

- *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი*

გასაუბრების პერიოდში კანდიდატი მწვავე, მათ შორის მის მიერ წარსულში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის დროს ინარჩუნებდა სიმშვიდეს და ადეკვატურად ახერხებდა პასუხის გაცემას. კანდიდატის ინტერვიუ, ნეიტრალური დამკვირვებლისთვის ტოვებდა განცდას,რომ მას განსხვავებული აზრის მიმართ აქვს მიმღებლობის უნარი და ამავდროულად, შეუძლია სათანადოდ ჩამოაყალიბოს საკუთარი პოზიციის გამამყარებელი არგუმენტები, მათ შორის იმ საკითხებზე, რაზეც შესაძლოა მანამდე არ ჰქონდეს სიღრმისეულად ნაფიქრი.

- *პროფესიული თვისებები*

კანდიდატი უმეტეს შემთხვევაში არ აწყვეტინებდა კითხვის დამსმელს სიტყვას, საკუთარი პოზიციის დასაბუთებას ცდილობდა არა მხოლოდ უშუალოდ სამართლის ამა თუ იმ ნორმაზე დაყრდნობით, არამედ ლოგიკური მსჯელობის განვითარებითაც.

- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*

პროფესიული და სამოსამართლო ხედვის განვითარებაზე საუბრისას კანდიდატმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში სამართლებრივ ლიტერატურას განსახილველი საქმეების შესაბამისად არჩევს და ეცნობა. კანდიდატმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა “ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპეციალისტის – გიბ რებანის ნაშრომზე – “საფრანგეთის ადმინისტრაციული სამართალი”.

მირანდა ერემაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[7] 10 ხმით ერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს მირანდა ერემაძე წარედგინა[8].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მირანდა ერემაძეს 2019 წლის 26 სექტემბერს მოუსმინეს.

მოსამართლე ერემაძის მოსმენა 6 საათსა და 16 წუთს გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

კანდიდატს გაუჭირდა ჩამოეყალიბებინა პოზიცია – უნდა ისჯებოდეს თუ არა პირი საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების გამო. საბოლოოდ მან აღნიშნა, რომ იზიარებს პრინციპს, რომ ადამიანი არ უნდა ისჯებოდეს საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების გამო, თუმცა იქვე მიუთითა, რომ ე.წ მძიმე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შემთხვევაში არ ეთანხმება ამ პრინციპის გამოყენებას. მისი მოსაზრებით ნარკოტიკის მოხმარება დამაზიანებელია არა მხოლოდ კონკრეტული პირისათვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისა და ახალი თაობისათვის. ამ კონტროვერსული პასუხების შემდეგ, მოსამართლე მირანდა ერემაძემ აღიარა, რომ მისი პასუხები იყო ურთიერთსაწინააღმდეგო.

მოსამართლე ერემაძე მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიმართებაში რა კრიტიკაც ისმის უმეტეს შემთხვევაში საფუძველს მოკლებულია.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

□ *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

კანდიდატმა რამდენჯერმე აარიდა თავი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საჯაროდ დაფიქსირებული პოზიციის კრიტიკას. კანდიდატმა ვერ შეძლო გაეხსენებინა საბჭოს მიერ გამოხატული ვერცერთი პოზიცია, რომელთან დაკავშირებითაც ექნებოდა კრიტიკული მოსაზრება.

საყურადღებოა კანდიდატის წინააღმდეგობრივი პოზიციები ფაქტობრივად იდენტურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად, კანდიდატი სრულად იზიარებს პოზიციას, რომ ხალხს შეუძლია ნებისმიერი რამ თქვას მოსამართლეების შესახებ, მათ შორის ისეთიც, რაც არ მოსწონთ მოსამართლეებს. ასევე იზიარებს მოსაზრებას, რომ ამ შემთხვევაში მოსამართლეებმა საზოგადოებასთან არა საჯარო დებატის, არამედ გადაწყვეტილებებით უნდა ისაუბრონ.

თუმცა, მან ვერ შეძლო ამ კონტექსტში კრიტიკულად შეეფასებინა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მოსაზრება, რომლებიც სასამართლოს მიმართ უპატივცემულო გამოხატვის შეზღუდვას უჭერენ მხარს. ამ შემთხვევაში, კანდიდატი შემოიფარგლა ზოგადი პოზიციით, საიდანაც რთული იყო მისი მოსაზრების ამოკითხვა და ის ფაქტიურად იქვე შეეწინააღმდეგა იმავე საკითხზე მის მიერ განვითარებულ მსჯელობას.

□ *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხის შეფასებისას, საინტერესოა კანდიდატის მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ნომინირების პროცესთან დაკავშირებით დაფიქსირებული პასუხები. კანდიდატის მსჯელობა ნეიტრალურ დამკვირვებელში აჩენდა კითხვის ნიშნებს მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით სასამართლოში გავლენიან მოსამართლეთა ჯგუფად მოაზრებულ პირთა მიმართ. კერძოდ,

7 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

8 წარდგინება მირანდა ერემაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

მირანდა ერემაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

კანდიდატი ცდილობდა თავი აერიდებინა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, 2018 წლის დეკემბერში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების ნომინირების პროცესის კრიტიკისთვის და უთითებდა, რომ იმ დროისთვის ეს იყო ყველაზე ოპტიმალური და უალტერნატივო გადაწყვეტილება. თუმცა, ამავე დროს კანდიდატმა გამოთქვა მოსაზრება, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის ახალი წესი და პროცედურები უკეთესი და უფრო დახვეწილი იყო.

კანდიდატი მიიჩნევს რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მოქმედი კოდექსი, რომლითაც ის საქმეთა გადაწყვეტისას საკმაოდ დიდი ხნის სამოსამართლეო საქმიანობის ფარგლებში ხელმძღვანელობდა, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას, განსაკუთრებით იმ ნაწილში, როდესაც საქმე პირის წინააღმდეგ საპატიმრო სანქციის გამოყენების შესაძლებლობას ეხება. მიუხედავად ამ შინაგანი რწმენისა და დამოკიდებულებისა, კანდიდატს სამართალდარღვევათა კოდექსის პრობლემური მუხლების კონსტიტუციურობის შემოწმებასთან დაკავშირებით, არასდროს მიუმართავს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის. მის ამ მიდგომას კანდიდატი იმით ხსნის, რომ პრობლემურ ნორმებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წარდგინებით მიმართვის შემთხვევაში პროცესი გაჭიანურდებოდა და მხარე ვერ შეძლებდა სწრაფი მართლმსაჯულებით სარგებლობას.

ამ პოზიციით კანდიდატი ფაქტიურად ადასტურებს, რომ მისი გადაწყვეტილებების სამართლიანობასთან დაკავშირებით ჰქონია შინაგანი წინააღმდეგობა, თუმცა, პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილებისა და სწრაფი მართლმსაჯულების ინტერესის დაცვის მიზნით მიუღია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებრივი მდგომარეობის საზიანო გადაწყვეტილება.

□ *პიროვნული და პროფესიული ქცევა*

კანდიდატს მიაჩნია, რომ კონკრეტული ნორმის კონსტიტუციასთან შეპირისპირებისას, როგორც საერთო სასამართლოების მოსამართლე, შესაძლოა გასცდენია საკუთარ კონპეტენციას, მაგრამ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით სწორი გადაწყვეტილება მიუღია.

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა*

კითხვაზე, თუ რატომ კრძალავს საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის ძირითადი უფლებების შესაზღუდად რეფერენდუმის ჩატარებას, კანდიდატის პასუხი იყო ზოგადი და არ იყო დამაჯერებელი.

სამოქალაქო ქორწინებასა და ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ პირებს შორის არსებულ უფლებრივ მდგომარეობის სხვაობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე პასუხისას, დარჩა შთაბეჭდილება, რომ მან ვერ შეძლო ძირითადი განსხვავებების გადმოცემა და მხოლოდ თანასაკუთრების უფლებით შემოიფარგლა. სხვა განსხვავებები, კანდიდატმა მხოლოდ კითხვის ავტორის შეხსენების შემდეგ აღიდგინა.

ინტერვიუს ფარგლებში ნეიტრალურ დამკვირვებელს დარჩებოდა განცდა, რომ კანდიდატმა თავი აარიდა ან კომპეტენციის ნაკლებობის გამო ვერ შეძლო თავი გაერთვა კითხვისთვის – არსებობს თუ არა დისკრიმინაციული მიდგომა, იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც ერთი და იმავე სქესის არიან, თანაცხოვრობენ, მაგრამ სამართლებრივად ვერ ახერხებენ ზემოხსენებული უფლებებით სარგებლობას. კანდიდატმა კითხვაზე პასუხის გაცემა დისკრიმინაციული მოპყრობის დასადგენად გამოსაყენებელი ტესტის საფეხურების ჩამოთვლით დაიწყო და საბოლოოდ იმით დაასრულა, რომ დასაბუთების, წერისა და არგუმენტაციების ჩამოყალიბების გარეშე პასუხის გაცემა გაუჭირდებოდა.

ასევე, ნეიტრალურ დამკვირვებელს დარჩებოდა განცდა, რომ კანდიდატს არ ჰქონდა ცოდნა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ინსტრუმენტალურ უფლებებთან დაკავშირებით.

კანდიდატმა სწორად დაასახელა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დისკრიმინაციული

მირანდა ერემაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

მოპყრობის დროს გამოსაყენებელი ტესტები და მათშორისარსებულიძირითადიგანმასხვავებელი ნიშნები. თუმცა, ნეიტრალურ დამკვირვებელს დარჩებოდა აღქმა, რომ კანდიდატს ეს საკითხი არა სიღრმისეულად გააზრებული, არამედ დასწავლილი ჰქონდა და მოწყვლადი იყო საზოგადოების დამოკიდებულების მიმართ მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა ისეთ სენსიტიურ საკითხებთან მიმართებით, როგორიც არის დისკრიმინაცია.

- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია*

აზრის გამოხატვის თავისუფლების შესაძლო შეზღუდვასთან დაკავშირებით, კანდიდატმა განაცხადა, რომ აღნიშნული შესაძლებელია მოხდეს „როდესაც ხდება სხვისი უფლების შელახვა და რაღაცა გარკვეულ ზღვარს აღწევს გამოხატვა. დავუშვათ სიძულვილის ენით საუბარი, ძალადობრივი მოწოდებები და ა.შ“. ნეიტრალურ დამკვირვებელს დარჩებოდა განცდა, რომ კანდიდატი ინტუიციურად მივიდა სწორ მოსაზრებამდე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისთვის ძალადობის მყისიერი საფრთხის ტესტის გამოყენებასთან დაკავშირებით.

- *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი*

კანდიდატთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელიც მის ზეპირი კომუნიკაციის უნარს უკავშირდება, კერძოდ, მართალია კანდიდატი კითხვის დამსმელს აძლევდა შესაძლებლობას ბოლომდე ჩამოეყალიბებინა საკუთარი სათქმელი, თუმცა რიგი პასუხები ჟღერდა არადამაჯერებლად და ბუნდოვნად, რაც შეიძლება აიხსნას, იმით რომ კანდიდატი ან არ ფლობდა აღნიშნულ საკითხზე სათანადო ინფორმაციას, ან მისი მხრიდან არასწორად იქნა აღქმული კითხვა ან სენსიტიურ საკითხებზე თავს არიდებდა ცალსახა პასუხის გაცემას.

- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*

კანდიდატი არ იცნობს სამართლის ფილოსოფიაში არსებულ ისეთ მნიშვნელოვან ნაშრომს, როგორიც არის ჯონ სტიუარტ მილის – „თავისუფლების შესახებ,“ თუმცა ზოგადი წარმოდგენა გააჩნია ილია ჭავჭავაძის პუბლიკაციებისა და მისი ღირებულებების შეასხებ.

- *პროფესიული აქტივობა.*

პროფესიული აქტივობის კუთხით კანდიდატმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქალ მოსამართლეთა ასოციაციის შექმნასა და მის საქმიანობაზე. მისი განცხადებით, ხსენებული ასოციაცია მიზნად ისახავს: გენდერულად მგრძნობიარე თემების გააქტიურებას, ყველა აქტუალური საკითხის განხილვაში ჩართულობის ზრდას, საზოგადოებასთან კომუნიკაციას და პრობლემებზე ღიად საუბარს, ასევე სასამართლოში მიმდინარე დადებითი მოვლენების კიდევ უფრო მეტად გაშუქებას.

მამუკა ვასაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[9] 10 ხმით ორის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს მამუკა ვასაძე წარედგინა[10].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მამუკა ვასაძეს 2019 წლის 27 სექტემბერს მოუსმინეს.

კანდიდატის მოსმენა 6 საათსა და 50 წუთს გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

გენერალური პროკურორის მოადგილე, მამუკა ვასაძე, იზიარებს მოსაზრებას, რომ ადამიანი არ შეიძლება ისჯებოდეს მხოლოდ საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების გამო, მანამ სანამ ის თავისი ქმედებით ზიანს სხვას არ მიაყენებს. ამ პრინციპიდან გამომდინარე ის ასევე, არ ემხრობა ნარკოტიკების მომხმარებელთა დასჯას.

მამუკა ვასაძე არის კანდიდატი, რომელიც საკუთარ თავს მოიაზრებს, ფრთხილ, წინდახედულ და მაქსიმალურად განჭვრეტადი გადაწყვეტილებების მიმღებ ადამიანად. შესაბამისად, ის ვერ იხსენებს ვერცერთ მნიშვნელოვან (დიდ), არაპირადი ხასიათის შეცდომას ცხოვრებაში.

მამუკა ვასაძე ვერ იხსენებს სამართლის თეორიისა თუ ფილოსოფიის მიმართულებით შექმნილ რომელიმე ნაშრომს, რომელმაც გავლენა მოახდინა მისი, როგორც იურისტის ჩამოყალიბებაზე. ის ასევე ვერ იხსენებს რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებს, რომელმაც მასზე გავლენა მოახდინა. კანდიდატი ამ გარემოებას ხსნის მისი დატვირთული გრაფიკით. თუმცა, ნიშანდობლივია, მისი მოსაზრება, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს, როგორც უმაღლესი მართლმსაჯულების ორგანოს წარმომადგენელს, ასეთი ცოდნა (რაც მას არ გააჩნია) აუცილებლად მოეთხოვება.

მამუკა ვასაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო აღიარებს ღმერთის არსებობას, მათ შორის აღიარებს მართლმადიდებლური ეკლესიის როლს ქვეყნის არსებობასა და ისტორიაში და პარალელურად ის თვლის, რომ ღმერთის არსებობასთან ერთად საქართველოს სახელმწიფო აღიარებს რელიგიის თავისუფლებას.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

კანდიდატის ზემოთ განხილული პოზიცია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატს სამართლის ფილოსოფიასა და თეორიაში მოეთხოვება მეტი სიღრმისეული ცოდნა ვიდრე მას თვითონ გააჩნია, რამდენიმე მიმართულებით არის მნიშვნელოვანი. ერთი მხრივ, ეს მიანიშნებს კანდიდატის გულწრფელობაზე და ამავე დროს ეს შეიძლება მიანიშნებდეს მის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისზე. კერძოდ, კანდიდატი მონაწილეობს იმ პროცესში, სადაც, მისივე აზრით, კანდიდატს უფრო მაღალი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები მოეთხოვება, ვიდრე თავად აქვს.

- *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

კანდიდატმა თავი აარიდა კითხვებს, რომელიც მმართველ პოლიტიკურ ძალას უკავშირდებოდა. მაგალითად, კითხვაზე უჩენდა თუ არა მას, როგორც ნეიტრალურ დამკვირვებელს, განცდას, რომ მმართველი პოლიტიკური ძალა ცდილობს საკუთარი ძალაუფლების გაზრდას საერთო სასამართლოებზე, თუკი მოქმედი პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარის ყოფილ ადვოკატს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ამპლუაში იხილავდა, იგი შეეცადა პირდაპირ არ ეპასუხა.

9 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

10 წარდგინება მამუკა ვასაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

მამუკა ვასაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

კანდიდატი ასევე პრობლემას ვერ ხედავს (მისთვის რაიმე ეჭვის გაჩენის საფუძველი არ არის), მოქმედი გენერალური პროკურორის და მმართველი პარტიის თავმჯდომარის ახლო ურთიერთობაში, ასევე, ამ უკანასკნელის საცხოვრებელ სახლში გენერალური პროკურორის არასაჯარო ვიზიტებში.

კანდიდატის მხრიდან მსგავს თემებზე დაფიქსირებული პასუხები აჩენს ეჭვს მის მიკერძოებასთან (მინიმუმ ლოიალურობასთან) დაკავშირებით მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ. მაშინ, როდესაც იგი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატობასთან ერთად, არის კონსტიტუციური ორგანოს – გენერალური პროკურატურის – ხელმძღვანელის (გენერალური პროკურორის) მოადგილე და ის უნდა ხელმძღვანელობდეს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის მაღალი სტანდარტებით.

□ *პიროვნული და პროფესიული ქცევა*

კითხვებზე, რომელიც შინაარსობრივად სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის ელემენტებს შეიცავს, პასუხებისგან თავის ასარიდებლად კანდიდატი საკუთარ სპეციალიზაციას იშველიებს და აცხადებს, რომ სამართლის სხვა დარგებში მისი ცოდნა არ აძლევს საშუალებას ამომწურავად უპასუხოს დასმულ კითხვას.

□ *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია*

გახმაურებულ საქმეებზე, მათ შორის, პოლიციელებზე ძალადობის ან პირიქით, საჯარო მოხელეების მხრიდან თავიანთი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემთხვევებზე, ასევე შინაარსობრივად მსგავს საქმეებზე განსხვავებული მიდგომის გამოვლენასთან და ზოგადად პროკურატურის პოლიტიკურად მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე კანდიდატის პასუხები იყო ზოგადი, კონცენტრირებული ნაკლებად მნიშვნელოვან ან მეორე ხარისხოვან საკითხებზე და იმეორებდა ამ საქმეებზე პროკურატურის ოფიციალური განცხადებების ნარატივს.

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა*

კანდიდატი მიიჩნევს, რომ აზრი, თუ ის არ ლახავს სხვის პატივსა და ღირსებას, დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და მისი რაიმე ფორმით შეზღუდვა დაუშვებელია. ამასთან, ის თვლის, რომ არ არსებობს იდეა რომლის კრიტიკაც, რომელზეც რაიმე მოსაზრების დაფიქსირებაც არ შეიძლება. ამ პოზიციის საწინააღმდეგოდ, მას მიაჩნია, რომ დაუშვებელია სახელმწიფო დროშის შებღალვა (დაწვა), რადგან დროშა არის ქვეყნის ღირებულება. ამასთან დროშის დაწვა კანდიდატის პოზიციით არის არა აზრის გამოთქმა, არამედ ქმედება დროშის მიმართ, ის ამ ქმედებას უკავშირებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას სხვათა უფლებების დაცვის მიზნით და მიიჩნევს, რომ დროშის დაწვა უნდა ისჯებოდეს. ამ შემთხვევაში, ნეიტრალურ დამკვირვებელს უჩნდება განცდა, რომ კანდიდატს არ აქვს სათანადო ცოდნა გამოხატვის თავისუფლების თაობაზე, ამასთან, მას უჭირს იმის იდენტიფიცირება, რომ აზრის გამოხატვა არა მხოლოდ ვერბალური, არამედ სხვა ფორმებითაც შეიძლება ხორციელდებოდეს და დროშის დაწვა სწორედ რომ აზრის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა შეიძლება იყოს.

რჩება აღქმა, რომ კანდიდატმა არ იცის რა განსხვავებაა ადამიანის პატივსა და ღირსებას შორის. ასევე, ის ვერ ახერხებს ერთმანეთისგან გამიჯნოს ღირსების კონსტიტუციურ – სამართლებრივი და სამოქალაქო სამართლებრივი შინაარსი.

□ *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია*

კითხვაზე, უნდა არსებობდეს თუ არა დასჯადობა მკრეხელობისათვის ან ღვთისგმობისათვის, კანდიდატმა უპასუხა, რომ *„[...]რელიგიის თავისუფლება არ ნიშნავს სხვა რომელიმე რელიგიისადმი შეურაცხმყოფელი ან სხვა რომელიმე რელიგიის არსებობის უფლების ან მისი სახელის, პატივის, ღირსების შემლახველ გამოხატვას.*

მამუკა ვასაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

გამოხატვის თავისუფლება მთავრდება იქ სადაც სხვა, თუნდაც, რელიგიის უფლებები იწყება.“[11]

გასაუბრებისას კანდიდატმა განაცხადა, რომ არ ახსოვს დისკრიმინაციული მოპყრობის შეფასების ტესტები, ასევე არასრული და ბუნდოვანი/ უზუსტო იყო მისი პასუხი კანონის უკუძალის შესახებ დასმულ შეკითხვაზე, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია.

- *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი*

კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები ხშირად იყო ბუნდოვანი და არასრული, შეიცავდა უზუსტობებს მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. კანდიდატის მიერ გაცემული არაერთი პასუხი აჩენდა განცდას, რომ მან ან არ იცოდა აღნიშნულ საკითხზე პასუხი, ან შეკითხვა მის მიერ არასწორად იქნა აღქმული.

- *პროფესიული თვისებები*

კანდიდატის პროფესიულ თვისებებზე საუბრისას უარყოფითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ გასაუბრების დროს, კანდიდატი ხშირად აღნიშნავდა, მათ შორის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზეც, რომ მას არ აქვს ინფორმაცია, არ უფიქრია აღნიშნულ საკითხზე, ან იქიდან გამომდინარე, რომ კითხვა არ ეხება სისხლის სამართლის დარგს, ვერ შეძლებდა ამომწურავი პასუხის გაცემას.

- *აკადემიური მიღწევები, პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა*

გარდა უშუალოდ საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილების განხორციელებისა კანდიდატს არ უსაუბრია სხვა რაიმე ტიპის პროფესიულ აქტივობაზე. ასევე კანდიდატი არ არის რაიმე პროფესიული ნაშრომის ავტორი და ფაქტიურად არ აფიქსირებდა პროკურატურის, როგორც ერთიანი სისტემისაგან, განსხვავებულ პოზიციას.

11 ამავე თემაზე დასმული რამდენიმე დამაზუსტებელი კითხვის შემდეგ კანდიდატმა განაცხადა რომ რელიგიურ ორგანიზაციას, არ გააჩნია პატივი და ღირსება, შესაბამისად, ვერ მოხდება მისი შელახვა.

მაია ვაჩაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[12] 11 ხმით ერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს მაია ვაჩაძე წარედგინა[13].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მაია ვაჩაძეს 2019 წლის 7 ოქტომბერს მოუსმინეს.

მოსამართლე ვაჩაძის მოსმენა 7 საათსა და 21 წუთს გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში, კანდიდატ, მაია ვაჩაძის მოსმენის ფარგლებში დაფიქსირებული პასუხები მისი ღირებულებითი წესრიგის შესახებ გარკვეული შეფასების გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს.

კანდიდატი კატეგორიულად ემიჯნება კოლექტიური პასუხისმგებლობის კონცეფციას და აცხადებს, რომ ადამიანმა, ინდივიდუალურად უნდა აგოს პასუხი მხოლოდ იმ ქმედებისთვის რაც მან ჩაიდინა.

მოსამართლე ვაჩაძემ არ გაიზიარა ჯონ სტუარტ მილის ზიანის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ადამიანი არ შეიძლება დაისაჯოს საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების გამო. კანდიდატი, საკუთარი პოზიციის გასამყარებლად იშველიებდა ძირითადად სიცოცხლის უფლების ფარგლებს და მიუთითებდა, რომ რადგან სიცოცხლის უფლება არ მოიცავს უფლებას სიკვდილზე, შესაბამისად სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრესი ფუნქციაა, როგორც საზოგადოების, ასევე კონკრეტული ინდივიდის დაცვა. მართალია კანდიდატი შეეცადა დამატებით აეხსნა თუ რა თეორიულ ცოდნას ან არგუმენტს აფუძნებდა ამგვარ დამოკიდებულებას, თუმცა იქმნებოდა განცდა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მის არგუმენტებს აკლდა დამაჯერებლობა. გარდა პასუხთან დაკავშირებული ბუნდოვანებისა და არადამაჯერებლობისა, პროცესის დამკვირვებელს შესაძლოა გასჩენოდა კითხვის ნიშნები იმასთან დაკავშირებით, რამდენად სრულყოფილად ჩასწვდა კანდიდატი „ზიანის პრინციპთან“ დაკავშირებით დასმული კითხვის არსსაც.

კანდიდატი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ სეკულარიზმის პრინციპის განმტკიცებისა და რელიგიისა და სახელმწიფოს ინსტიტუციონალური გამიჯვნის გარეშე შეუძლებელია არსებობდეს დემოკრატიული სახელმწიფო. თუმცა, ამავე საკითხთან დაკავშირებით კანდიდატის მიერ განვითარებული მსჯელობა ტოვებდა განცდას, რომ იგი სხვადასხვა, საკითხთან პირდაპირი კავშირის არმქონე, არგუმენტის მოშველიებით (თანასწორობა, რელიგიის თავისუფლება) ცდილობდა საკუთარი პოზიციის გამყარებას.

კანდიდატი მიიჩნევს, რომ კონსტიტუციურ შეთანხმებაში გამოყენებული ტერმინი *„საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია“* არ ნიშნავს პატრიარქის იმუნიტეტს და ისიც, როგორც ყველა სხვა ადამიანი, კანონის უზენაესობის წინაშე თანასწორია.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

კითხვაზე: ხომ არ არის საქმე ან საქმეები, რომლებსაც დღევანდელი გადმოსახედიდან, 24 წლიანი სამოსამართლეო პრაქტიკისა და მიღებული გამოცდილების ფონზე, სხვანაირად გადაწყვეტდა, მოსამართლეობის კანდიდატი პასუხობს, რომ არაერთი ასეთი საქმეა, ვინაიდან სამართალი არ არის სტატიკური, იგი ვითარდება, ისევე როგორც ვითარდებოდა მოსამართლის

12 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

13 წარდგინება მაია ვაჩაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

მაია ვაჩაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

ცოდნა და გამოცდილება, შესაბამისად ბუნებრივია რომ რაღაც საქმეებს განსხვავებულად გადაწყვეტდა.

მსგავს დამოკიდებულებაში ვლინდება კანდიდატის პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი. მისი პასუხი გულწრფელია და მსმენელში ტოვებს განცდას, რომ იგი ჯანსაღი კრიტიკით უდგება საკუთარ საქმიანობას. ამგვარი მიდგომა განასხვავებს მას იმ მოსამართლე კანდიდატებისგან, რომლებიც თვლიან, რომ წარსულში განხილულ ყველა საქმეზე, დღესაც ზუსტად იგივე გადაწყვეტილებას მიიღებდნენ.

მოსამართლე ვაჩაძე მიიჩნევს, რომ 2006 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების, თამარ ლალიაშვილის, ნინო გვენეტაძის, მურმან ისაევისა და მერაბ ტურავას მიმართ დისციპლინური დევნა და პასუხისმგებლობის სახით მათი გათავისუფლება არ იყო სწორი გადაწყვეტილება. კანდიდატი, მოსამართლე მიხეილ ჩინჩალაძის მიერ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარეობის პერიოდში განხილულ საქმეთა სიმცირეს, პალატის თავმჯდომარის ზოგადად ადმინისტრაციული ფუნქციებით დატვირთულობას უკავშირებს.

კითხვაზე, ხედავდით თუ არა თქვენს ირგვლივ სასამართლოში რაიმე უსამართლობას და გამოხატავდით თუ არა მასზე პროტესტს, მოსამართლე ვაჩაძე უთითებს, რომ კი ხედავდა, თუმცა ამ პრობლემების შესახებ წუხილს სისტემით შიგნით აფიქსირებდა.

□ *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

კანდიდატი ღიად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღწერს 1999 წლიდან დღემდე არსებულ პრობლემებს საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში. მისი განცხადებით, ყველა ხელისუფლების მმართველობის პერიოდის გავლენას სასამართლო ხელისუფლებაზე გააჩნდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ასპექტები. აღსანიშნავია, რომ მოსამართლე ვაჩაძე არ მორიდებია მოქმედი ხელისუფლების კრიტიკას. მის მსჯელობაში გაიჟღერა მწვავე კრიტიკამაც, კერძოდ, მიიჩნევს, რომ დღეს არსებულ მმართველობით სისტემაში არსებობს მწვავე პრობლემები, რაც თუნდაც ადმინისტრაციულ სამართლებრივ დავებში კარგად ვლინდება. კანდიდატი თვლის, რომ მმართველობითი საქმიანობა არ არის ეფექტური.

ეს პოზიცია შეიძლება მიუთითებდეს კანდიდატის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე.

ერთიანობაში, პოლიტიკური და სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ გაკეთებული შეფასებები, ერთი შეხედვით ნეიტრალურ დამკვირვებელში ტოვებდა განცდას, რომ სხვა კანდიდატებისგან განსხვავებით მოსამართლე ვაჩაძე უფრო თამამია მოქმედი ხელისუფლების კრიტიკის კუთხით. ასეთი მიდგომა შესაძლოა კანდიდატის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შეფასების გარემოებად გამოდგეს, თუმცა, საყურადღებოა, რომ კანდიდატი განსაკუთრებით ფრთხილი სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემებისა სასამართლო სისტემის კონკრეტული წარმომადგენლებისა და მათი საქმიანობის შეფასებისას იყო, რაც შესაძლოა მიუთითებდეს მის ლოიალურ დამოკიდებულებაზე, სასამართლოში გავლენიან ჯგუფის ლიდერებად მოაზრებული მოსამართლეების მიმართ.

□ *პიროვნული და პროფესიული ქცევა*

საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ამოქმედებამდე, მოსამართლეებსა და კოლეგიებს შორის საქმეების განაწილების პრინციპზე და მოსამართლეთა მიერ განხილულ საქმეებს შორის არსებულ თვალსაჩინო რაოდენობრივ დისბალანსზე დასმული შეკითხვის საპასუხოდ კანდიდატმა განაცხადა:

“ვიცი, მაგრამ ამ თემაზე არ მსურს საუბარი, ვინაიდან ეს უფრო შიგნით მოსამართლეთა შორის ურთიერთობებს ეხება.”

კანდიდატმა გულახდილად განაცხადა, რომ ფლობს ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით,

მაია ვაჩაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

რომ საზოგადოებისათვის ცნობილი და ხელმისაწვდომი ინფორმაცია უნდა იყოს ის თუ რა პროცედურებსა და კანონზომიერებას ექვემდებარება მართლმსაჯულების განხორციელება. თუმცა, ამავდროულად, არ მიიჩნევს, რომ საზოგადოებას გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი, ხელი მიუწვდებოდეს მასზე. კანდიდატის მსგავსი დამოკიდებულება ერთი მხრივ შესაძლოა მის პიროვნულ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნების გაჩენის საფუძველი გახდეს. მეორე მხრივ ასეთმა პასუხებმა დამკვირვებელში შესაძლოა დატოვოს განცდა, რომ კანდიდატი სრულად ვერ აანალიზებს საკუთარ ქცევას და მისი, როგორც ერთი ინდივიდუალური მოსამართლის როლს მართლმსაჯულებაში არსებულ პრობლემების გადაწყვეტის კუთხით.

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა*

კანდიდატის წარსული გამოცდილება, მისი უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის 20 წლიანი სტაჟი აჩენს მოლოდინს კანდიდატის კომპეტენტურობასთან დაკავშირებით. ეს მოლოდინი ძირითადად მართლდება მის მოსაზრებებსა და ცოდნაში სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა, სამართლის ცალკეულ ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება უფრო ფორმალისტური და თავისუფალი საზოგადოებისთვის შეუთავსებელია.

ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი საკითხია კონსტიტუციასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის განსხვავებების არსებობის დროს ადამიანის უფლებების შეზღუდვის საკითხის გადაწყვეტა. მაგალითად, კანდიდატი მიიჩნევს, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კონვენციური საფუძველი – საზოგადოებრივი მორალის დაცვა – შეიძლება საქართველოშიც იყოს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველი მაშინაც, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია ასეთი შეზღუდვის საფუძველს არ ითვალისწინებს. კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი მსგავსი მიდგომა აჩენს განცდას, რომ ის მის, როგორც მოსამართლის მოვალეობას ხედავს არა, როგორც ადამიანის უფლებების სასიკეთო გადაწყვეტილებების გამტარებლად, არამედ გადაიხრება ადამიანის უფლებების არსებული მაღალი სტანდარტის დამცრობისკენ, ისეთი აბსტრაქტული ცნებების შემთხვევებშიც კი, როგორიცაა საჯარო მორალი და ეთიკა.

მოსამართლე ვაჩაძე სრული დამაჯერებლობით აცხადებს:

“ბუნებითი სამართალი ყოველთვის უკავშირდებოდა ღმერთს და რელიგიას “.

ხსენებული მიდგომის ასე ცალსახად, მტკიცებითი ფორმით ჩამოყალიბება არ არის გამართლებული. მორალური ფილოსოფიისა და სამართლის ფილოსოფიის დარგში არსებობს ბუნებითი სამართლის როგორც კლასიკური, ასევე მოდერნული თეორიები, მათ შორის თეორიები, რომლებიც თავისი არსით სეკულარული იდეალებიდან ავითარებენ ბუნებითი სამართლის კონცეფციას.

□ *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია*

კანდიდატი სისტემურ ნორმატიულ ჭრილში აანალიზებს წამოჭრილ სამართლებრივ საკითხებს, საკუთარი პოზიციის დასაბუთების პროცესში კი ახერხებდა ლოგიკური თანმიმდევრულობის შენარჩუნებას. მოსამართლე ვაჩაძემ, არაერთ საკითხზე მსჯელობისას მოიყვანა მაგალითები საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან.

□ *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი*

კანდიდატი ადეკვატურად აღიქვამდა დასმულ საკითხში იდენტიფიცირებულ სამართლებრივ პრობლემებს, ცდილობდა საკუთარი პასუხებში არ შემოფარგლულიყო მხოლოდ ზოგადი, ლოგიკური ანალიზით და დაესაბუთებინა ავტორიტეტული წყაროებით. თუმცა, იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კანდიდატის

მაია ვაჩაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

ქცევა ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ის ვერ ახერხებდა ემოციების კონტროლს, ვერ ინარჩუნებდა სიმშვიდეს და ეტყობოდა გაღიზიანება კრიტიკული და მისთვის საპასუხოდ არასასიამოვნო კითხვებისა და მათი ავტორების მიმართ.

□ *პროფესიული თვისებები*

კანდიდატს მეტწილად ახასიათებს მიმღებლობა განსხვავებული აზრის მიმართ, არ ცდილობდა საკითხის განზოგადებას და ცნებათა მანიპულაციით იმის გადაფარვას, რომ არ გააჩნდა საკმარისი ფაქტობრივი ცოდნა სამართლებრივ პრობლემასთან დაკავშირებით.

□ *აკადემიური მიღწევები, პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა.*

მოსამართლე ვაჩაძის მიერ გაცემული პასუხები ტოვებდა იმის შთაბეჭდილებას, რომ იგი აქტიურად თანამშრომლობს საკუთარ პროფესიულ სფეროში მომუშავე პირებთან და ორგანიზაციებთან, სისტემატურად ეცნობა ახალ ნორმატიულ მასალას და ცდილობს მის წინაშე არსებულ პროფესიულ გამოწვევებთან სათანადოდ ადაპტირებას.

თამარ ზამბახიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[14] 11 ხმით ერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს თამარ ზამბახიძე წარედგინა[15].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე თამარ ზამბახიძეს 2019 წლის 8 ოქტომბერს მოუსმინეს.

მოსამართლე ზამბახიძეს მოსმენა 6 საათი და 33 წუთი გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

მოსამართლე ზამბახიძის ღირებულებითი წესრიგის შესაფასების ნაწილში საინტერესოა მის მიერ საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების გამო პირის დასჯადობის შესახებ დაფიქსირებული პოზიცია. კანდიდატმა აღნიშნა, რომ ერთი მხრივ არ ემხრობა ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დასჯადობის პოლიტიკას (თუმცა ლეგალიზაციის ნაწილში კომენტარის გაკეთებისაგან თავი შეიკავა), ხოლო მეორე მხრივ, ევთანაზიის საკითხზე მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა სიცოცხლის უფლების მნიშვნელობაზე და სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებზე.

დემოკრატიული სახელმწიფოს მხრიდან ღმერთის არსებობისა და მისი ჭეშმარიტობის აღიარებასთან დაკავშირებულ კითხვაზე, კანდიდატმა განაცხადა რომ სეკულარული სახელმწიფოს არსებობის პრინციპი მნიშვნელოვანია, თუმცა *"ამის უარყოფაც ალბათ, სწორი არ იქნება."*

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

მოსამართლე ზამბახიძემ ერთ-ერთ კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა და აღნიშნა, რომ სხვა კანდიდატების გასაუბრებისას მოსმენილი ჰქონდა ამ კითხვაზე პასუხი. ასეთი მიდგომა მოსამართლის პიროვნულ კეთილსინდისიერებაზე დადებითად მეტყველებს.

მსგავსი ქმედება, ზოგადად კანდიდატის გულწრფელობაზე და მის პიროვნულ კეთილსინდისიერებაზე მიანიშნებს. შესაბამისად, ჩნდება განცდა, რომ კანდიდატისთვის დისკომფორტის შემქმნელია ისეთი ქცევა, რაც მის შინაგან განწყობას უპირისპირდება, მაშინაც, როდესაც ასეთი ქცევის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია არ ექნება და მისი კარიერული წინსვლისთვისაც შესაძლოა ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩენილიყო.

კანდიდატის განცხადებით, მის პრაქტიკაში არ ყოფილა ისეთი საქმე, რომელზე მიღებული გადაწყვეტილებაც უნანია, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როდესაც საკუთარ გადაწყვეტილებაში უფრო მეტი დასაბუთების საჭიროება დაუნახავს. მსგავსი მიდგომა ხაზს უსვამს კანდიდატის თვითკრიტიკულობას და მუდმივი პროფესიული განვითარებისკენ სწრაფვას.

მოსამართლე ზამბახიძე ნორმალურად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მოსამართლეთა კონფერენციაზე იუსტიციის საბჭოს წევრის არჩევა მოხდა რიგ შემთხვევაში კონკურენციის და კანდიდატის მიერ პროგრამის წინასწარი წარმოდგენის გარეშე. კანდიდატის მის პოზიციის ახსნას შეეცადა იმ გარემოებით, რომ სასამართლოს სისტემაში ყველა ყველას ისედაც იცნობს.

კანდიდატი მიიჩნევს, რომ არ არის მოსამართლის ვალდებულების დარღვევა, როდესაც მიხეილ ჩინჩალაძე წლების განმავლობაში არ იხილავდა საქმეებს ან მცირე რაოდენობით იხილავდა მათ. კანდიდატი თვლის, რომ ეს

14 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

15 წარდგინება თამარ ზამბახიძის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

თამარ ზამბახიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

დასავლეთ ევროპაშიც გავრცელებული სტანდარტია, როდესაც თავჯდომარეები ასრულებენ ადმინისტრაციულ ფუნქციებს და არ იხილავენ საქმეებს.

□ *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

მოსამართლე ზამბახიძემ კითხვაზე, რომელიც შეეხებოდა რამდენიმე მსგავს გახმაურებულ საქმეზე განსხვავებული შედეგის არსებობას, კანდიდატმა განაცხადა, რომ იგი არ იცნობს აღნიშნულ საქმეებს და მისი სპეციალიზაცია არ აძლევს შესაძლებლობას სათანადოდ შეაფასოს აღნიშნული შემთხვევები.

ვიწრო სპეციალიზაციების განსაზღვრის პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობას და მის შესაძლო გავლენას საქმის ელექტრონულად განაწილებაზე კანდიდატი დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის საფრთხედ ვერ აღიქვამს.

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვა საკითხზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში, სასამართლოს თავმჯდომარის მიერ კოლეგიაში შემავალი მოსამართლეების ვინაობის განსაზღვრის წესზე საუბრისას, კანდიდატმა განაცხადა, რომ ამგვარი მოწესრიგება პრობლემად არ მიაჩნია. მოსამართლის მოსაზრებით კოლეგიის შემადგენლობა არ განისაზღვრება ცალკეული საქმეებისათვის, არამედ ყალიბდება მყარი შემადგენლობები, რომლებიც წლების განმავლობაში განიხილავენ კონკრეტული კატეგორიის საქმეებს.

თუმცა, ამავე თემასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე, რა უშლის ხელს სასამართლოს თავმჯდომარეს, საკუთარი კეთილი ნების გარდა, შეცვალოს კოლეგიის შემადგენლობები, კანდიდატმა განაცხადა, რომ ამის არც საჭიროებაა, არც პრაქტიკა და დარწმუნებულია, რომ არც სურვილი.

ზოგადად, მოსამართლის მიერ პოლიტიკურ დებატებში ჩაბმის მიზანშეწონილობასა და პოლიტიკური შინაარსის განცხადებებზე საუბრისას, კანდიდატმა აღნიშნა, რომ ეთიკური ვალდებულებებიდან გამომდინარე, მას მხოლოდ ამ კუთხით არსებულ სტანდარტებზე შეუძლია საუბარი და კონკრეტული მოსამართლეების ქცევას ვერ შეაფასებს.

მოსამართლე ზამბახიძის მიერ ამ საკითხებზე დაფიქსირებულ პასუხებში შესაძლოა გამოიკვეთოს მომეტებული სიფრთხილე სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ აზრის დაფიქსირების კუთხით. ასეთი ფრთხილი მიდგომა, ერთი მხრივ, შესაძლოა მიანიშნებდეს კანდიდატის გამბედაობის ნაკლებობაზე საჯაროდ გამოხატოს პოზიცია მართლმსაჯულებაში არსებულ რეალურ პრობლემებზე, ხოლო მეორე, მხრივ ეს შეიძლება აიხსნებოდეს სიფრთხილით კიდევ უფრო მეტად არ დააზიანოს ნდობა მართლმსაჯულების მიმართ. თუმცა, ალბათ ამ ორი საკითხის შეპირისპირებისას უპირატესობა პრობლემებზე საჯაროდ საუბარს უნდა მიენიჭოს, რადგან, როგორც თავად მოსმენის ღია ფორმატმაც აჩვენა, საჯაროობა მეტად ეფექტური მექანიზმია, მათ შორის, მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრობლემების აღმოფხვრისთვის.

□ *პიროვნული და პროფესიული ქცევა*

კანდიდატი პროფესიული ეთიკიდან გამომდინარე თავს იკავებს სამართლებრივი შეფასებების გაკეთებისაგან ისეთ საქმეზე, რომელიც მის კოლეგას უკავშირდება და საერთო სასამართლოს პირველ ინსტანციას უკვე აქვს გადაწყვეტილება მიღებული. თუმცა ჰიპოთეტურ მაგალითზე, რომელიც შინაარსობრივად და ფაქტობრივად ჰგავს ზემოხსენებულ მაგალითს, მოსამართლე ზამბახიძე თამამად საუბრობს. ამ შემთხვევაშიც, შეიძლება ჩნდებოდეს განცდა, რომ ერთი მხრივ მართებულია ჰიპოთეტური შემთხვევის სახით წარმოდგენილ საქმეზე მსჯელობა, თუმცა, მეორე მხრივ, გარკვეულ შემთხვევებში, კანდიდატი ეთიკის ნორმებზე მითითებით ცდილობს არასასურველი პასუხებისგან თავის არიდებას.

□ *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია*

კანდიდატს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის მოპოვება და გაზრდა ყოველდღიურ გამოწვევად მიაჩნია, რის უზრუნველყოფაზეც არა მხოლოდ სასამართლომ როგორც

თამარ ზამბახიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

ერთიანმა ინსტიტუციამ, არამედ ცალკეულმა მოსამართლეებმაც უნდა იზრუნონ თავიანთი საქმიანობის ფარგლებში. ამასთანავე, კანდიდატი მიიჩნევს, რომ საზოგადოების ნდობა სასამართლო ხელისუფლების მიმართ გაზრდილია, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ეს პასუხი მისი ინდივიდუალური აღქმის ნაყოფია და აუცილებლად არ ეყრდნობა ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევებს.

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა;*

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გამართული მოსმენის ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი კარგად იცნობს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სამართალს და კანონმდებლობას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებულ უფლებაზე საუბრისას კანდიდატმა ხაზი გაუსვა რა აღნიშნული დანაწესის ისტორიულ საფუძველს, მნიშვნელობასა და თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობას, აღნიშნა, რომ *„დღევანდელ დღეს ეს უნდა იყოს აბსოლუტური უფლება. ამ კუთხით, დაუშვებელია სამოქალაქო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირს შეეზღუდოს თავისუფლება.”*

სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმაზე საუბრისას, რომელიც შეეხება განქორწინების დაუშვებლობას ცოლის ორსულობის ან ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის პერიოდში, კანდიდატმა ყურადღება გაამახვილა კანონმდებლის მიზანზე – დაიცვას ბავშვის ინტერესები, განქორწინების თანმდევ ფსიქო-ემოციურ ფონზე, მაგრამ ეჭვქვეშ დააყენა თავად ნორმის ეფექტურობა აღნიშნული მიზნების მისაღწევად.

მოსამართლე ზამბახიძის პასუხები ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ მისი ცოდნა სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით არის არა ზედაპირული, არამედ სიღრმისეული და კარგად გააზრებული. ამასთან, კითხვებზე, რომლებზეც კანდიდატს არ ჰქონდა პასუხი, არ ერიდებოდა ამის აღიარება, თუმცა მსგავსი შემთხვევები მოსმენის განმავლობაში საკმაოდ მცირე იყო.

□ *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*

კითხვაზე, რატომ კრძალავს საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის ძირითადი კონსტიტუციური უფლების შესაზღუდად რეფერენდუმის ჩატარებას, კანდიდატის თავდაპირველი პასუხები იყო ზოგადი და ძირითადად სამართლიან სახელმწიფოში ადამიანის უფლებების მნიშვნელობაზე ორიენტირებული, თუმცა დამაზუსტებელი კითხვების შედეგად კანდიდატმა განაცხადა, რომ უმრავლესობის ამგვარი შეზღუდვა ლიბერალურ დემოკრატიულ პრინციპებთან იყო დაკავშირებული.

მოსამართლე ზამბახიძემ მოსმენის დროს განაცხადა, რომ იგი ემხრობა პრინციპს, რომლის მიხედვითაც მხოლოდ პირისპირ შეურაცხყოფის დროს შეიძლება იყოს შეზღუდული გამოხატვის თავისუფლება. ამავდროულად, სასამართლო შენობაში, ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის შეურაცხყოფის მიყენებასთან დაკავშირებით, ისე რომ შეურაცხყოფის ადრესატს ამის შესახებ არ გაუგია, კანდიდატმა აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის ის ნორმა, რომელიც ამგვარ ქმედებას დასჯადად მიიჩნევს, საკამათოა და ცალსახა პასუხის გაცემა გაუჭირდება. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა კანდიდატებთან შედარებით ამ საკითხების ირგვლის კანდიდატის პასუხები არის თამამი და პროგრესული.

□ *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*

მოსმენის განმავლობაში, კანდიდატი გაწონასწორებულად, ადეკვატურად სცემდა დასმულ კითხვებს პასუხს. მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, კანდიდატს ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი სამართლებრივი პოზიცია, რომელსაც სამართლებრივი არგუმენტაციით თანმიმდევრულად ასაბუთებს. არის ტოლერანტული განსხვავებული აზრის მიმართ და არ უჭირს კრიტიკული აზრის მიღება.

თამარ ზამბახიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

- *პროფესიული თვისებები;*

კანდიდატი მაქსიმალურად შეეცადა არ გაემჟღავნებინა, არა იდენტიფიცირებადი გაეხადა მის მიერ განხილული პირის საქმე, სადაც მოსარჩელის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობა დაადგინა. კანდიდატმა არაერთხელ მიმართა პროფესიული ეთიკის ნორმებს, როგორც ცალკეული მოვლენების, მმართველობის ფორმებისა თუ გახმაურებული საქმის შეფასებისაგან თავის შეკავების მიზეზსს.

- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*

კანდიდატის შეფასებით, მისი, როგორც მოსამართლის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა იქონია ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი ფედერალური სასამართლოს პირველმა ქალმა მოსამართლემ – სანდრა დეი ო'კონორმა.

- *პროფესიული აქტივობა.*

კანდიდატმა, პროფესიული აქტივობების კუთხით, გამოყო GIZ -ის დახმარებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს დრეზდენის უმაღლეს სამხარეო სასამართლოსთან დამეგობრება, როგორც სამოქალაქო საქმეთა პალატაში შემავალი მოსამართლეების პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე დადებითი გავლენის მქონე მოვლენა.

კანდიდატის განცხადებით, აღნიშნული სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარესთან დღემდე ინარჩუნებს საქმიან ურთიერთობას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, პრეცედენტული საქმის გადაწყვეტის პროცესში.

შალვა თადუმაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[16] 10 ხმით 2-ის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს შალვა თადუმაძე წარედგინა[17].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე შალვა თადუმაძეს 2019 წლის 9 ოქტომბერს მოუსმინეს.

გენერალურ პროკურორის, თადუმაძის მოსმენა 8 საათსა და 57 წუთს გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

გენერალური პროკურორი, შალვა თადუმაძე მიიჩნევს, რომ კანონიერებასა და სამართლიანობას შორის არსებული დილემა სამართლიანობის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. მისივე აზრით, დემოკრატიული პროცედურები ხელს უწყობს კანონიერებასა და სამართლიანობას შორის არსებული დისბალანსის მინიმუმამდე დაყვანას.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მოსმენისას, კანდიდატმა განაცხადა, რომ არ უფიქრია იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად მიზანშეწონილი ქმედება იყო "ბადრი ჯაფარიძეს და მამუკა ხაზარაძის საქმეზე" სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის თაობაზე საჯარო განცხადების გაკეთება და რამდენად შეიძლებოდა ზიანის მომტანი გამხდარიყო ამგვარი მოქმედება ბრალდებულის კომპანიისათვის.

კანდიდატი არ გრძნობს მორალურ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ 2015 წელს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტების სავარაუდო წინასწარ გავრცელების საქმე დღემდე გამოძიებული არ არის.

- *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

2019 წლის 20 ივნისის აქციის მონაწილე ჟურნალისტისათვის, რომელმაც რეზინის ტყვიებით მიიღო სხეულის დაზიანებები, დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, გენერალურმა პროკურორმა თადუმაძემ განმარტა, რომ მიმდინარეობს გამოძიება იმ პირის იდენტიფიცირების მიზნით, რომელმაც განახორციელა აღნიშნული ქმედება და სწორედ ამის შემდეგ შეიძლება ჟურნალისტს მიენიჭოს დაზარალებულის სტატუსი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კითხვაზე: *"თუკი ადამიანს სახლი გაუქურდეს, ის არ უნდა იქნეს ცნობილი მანამ, სანამ ქურდს არ იპოვიან?"* კანდიდატმა არსებითად განსხვავებულ პასუხს გასცა, რომლის მიხედვითაც, ასეთი ადამიანი დაზარალებულად უნდა იქნეს ცნობილი. თუმცა იმისათვის, რომ გაემართლებინა ჟურნალისტის შემთხვევაში დაფიქსირებული განსხვავებული პოზიცია გენერალუმა პროკურორმა თადუმაძემ დასძინა, რომ ვინაიდან დაზარალებულად ცნობის ვადები კანონით არ არის განსაზღვრული, ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ ჟურნალისტი დაზიანების მიღებიდან იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გამართულ მოსმენამდე დაზარალებულად არ იყო ცნობილი.

მოქმედი გენერალური პროკურორის მიერ მსგავს საკითხებთან დაკავშირებით დაფიქსირებული განსხვავებული პოზიციები რამდენიმე გარემოების გათვალისწინებით არის საყურადღებო. კანდიდატის ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო პასუხებმა ნეიტრალურ დამკვირვებელს შესაძლოა გაუჩინოს განცდა, რომ კანდიდატს ან არ აქვს სრულყოფილი

16 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს ელექტრონულად ხელმისაწვდომია <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923?> უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

17 წარდგინება შალვა თადუმაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926?>. უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

შალვა თადუმაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

ცოდნა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ პირის დაზარალებულად ცნობის სტანდარტთან დაკავშირებით, ან იგი ვერ ახერხებს გაუმკლავდეს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას მმართველი პოლიტიკური ძალის ინტერესების საწინააღმდეგოდ და განზრახ ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. ორივე შემთხვევა პრობლემურია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისთვის. განსაკუთრებით მეორე ვარიანტი შეიძლება იყოს დამაზარალებელი მართლმსაჯულებისათვის, ვინაიდან, მმართველ პოლიტიკურ ძალასთან შესაძლო აფილირება, მხარეებში სამომავლოდ გააჩენს განცდას, რომ ის ამ დამოკიდებულების დათრგუნვასა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებშიც ვერ შეძლებს.

□ *პიროვნული და პროფესიული ქცევა*

კანდიდატმა აღიარა, რომ ერთ-ერთ, კერძოდ ნიკანორ მელიასთვის პარლამენტისგან დაპატიმრების ნებართვის მისაღებად, მის მიერ წარდგენილ შუამდგომლობაში მოხსენიებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე „კონრადი იტალიის წინააღმდეგ" არ არსებობს და მისი დოკუმენტში მოხვედრა ტექნიკური შეცდომით იყო განპირობებული. თუმცა, ის სრულად იღებს პასუხისმგებლობას ამ შეცდომაზე, როგორც დოკუმენტის ხელმომწერი და მისი ავტორი. კანდიდატის ასეთი პოზიცია დასაფასებელია, რადგან ერთი მხრივ ეს, მის გულწრფელობასა და შეცდომაზე პასუხისმგებლობის აღების უნარზე შეიძლება მიანიშნებდეს, ხოლო, მეორე მხრივ შესაძლოა საქმისადმი და მისი სახელით შედგენილი დოკუმენტების სისწორის სათანადო გულმოდგინებით გადამოწმების უნარის ნაკლებობას უსვამდეს ხაზს.

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა*

კანდიდატის მოსაზრებით სიცოცხლის უფლება იმიტომ არ არის აბსოლუტური უფლება, რომ სახელმწიფოს შეუძლია თავდაცვითი ომის წარმოება და ზოგადად, აქვს იარაღის გამოყენების ლეგიტიმური საფუძველი.

სინამდვილეში სახელმწიფოს შეუძლია ხელყოს ადამიანის სიცოცხლე არა მხოლოდ თავდაცვითი ომის წარმოების დროს, არამედ სხვათა უფლებების დასაცავადაც. ფიზიკურ პირსაც აქვს უფლება, პირობითად, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ხელყოს ადამიანის სიცოცხლე. შესაბამისად, კანდიდატის ასეთი პასუხი, განსაკუთრებით, მაშინ როდესაც იგი გენერალური პროკურორის თანამდებობას იკავებს, აჩენს განცდას, რომ მას არ გააჩნია სრულყოფილი ცოდნა, მათ შორის, სისხლის სამართლის ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით.

□ *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია*

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გამართული მოსმენის დროს, კანდიდატმა უარი განაცხადა კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" წარმომადგენლის კითხვებზე პასუხის გაცემაზე. კოალიციის წარმომადგენელი საქართველოში მოქმედი 40 არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით იყო საკომიტეტო მოსმენაზე წარმოდგენილი. თუმცა, კანდიდატმა ვერ შეძლო კითხვების ავტორისადმი პირადი უარყოფითი განწყობების დაფარვა და კითხვებზე პასუხის არ გაცემის გადაწყვეტილებაც, ჩანდა, რომ მისი პიროვნული მიუღებლობით იყო განპირობებული. კანდიდატის ამგვარი ქცევა, აჩენს განცდას, რომ გენერალურ პროკურორ შალვა თადუმაძეს უჭირს პირად ემოციებსა და მიკერძოებაზე მაღლა დადგომა. ის ვერ ახერხებს იყოს მომთმენი და ტოლერანტული განსხვავებული, თუნდაც კრიტიკული აზრის მიმართ, რაც მოსამართლისთვის ესოდენ

შალვა თადუმაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისება უნდა იყოს.

□ *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი*

იმ საკითხების ირგვლივ დასმულ კითხვებზე, რომლის შესახებ საკმარისი ფაქტობრივი ცოდნა აქვს, კანდიდატი ლოგიკური თანმიმდევრობით და ამომწურავად პასუხობს. ხოლო, რაც შეეხება კითხვებს, რომელთა შესახებაც, კანდიდატს საკმარისი ცოდნა არ აქვს, აშკარა ხდება მისი მხრიდან გამოვლენილი არაგულწრფელობა, საკითხის განზოგადებით მანიპულირება, რაც შესაძლოა კომპეტენტურობის იმიჯის შექმნას ისახავდეს მიზნად. რიგ შემთხვევებში, თუკი კითხვის ავტორი კრიტიკულ აქცენტებს სვამს ან რიტორიკული კითხვით მიმართავს, გენერალური პორკურორი თადუმაძის პასუხის ტონში იგრძნობოდა დაუფარავი აგრესია კითხვის ავტორის მიმართ.

□ *პროფესიული თვისებები*

ნიკანორ მელიას საქმეზე მომზადებული შუამდგომლობის ზემოთ განხილულმა შემთხვევამ შესაძლოა დამკვირვებელში გააჩინოს განცდა, რომ კანდიდატი ზედაპირული და გულგრილი დამოკიდებულებით უდგება საკუთარ საქმეს.. ხსენებული შემთხვევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საქმე დეპუტატისთვის იმუნიტეტის მოხსნას ეხებოდა და პროკურატურის წარმომადგენელმა აღნიშნული დოკუმენტით ფაქტიურად შუამდგომლობის ნაწილი სამართლებრივი დასაბუთების მცდარი, ბუნებაში არ არსებული არგუმენტებით წარადგინა. აღნიშნული შემთხვევა დადებითად ვერ მეტყველებს მის დამოკიდებულებაზე საქართველოს პარლამენტის, როგორც ინსტიტუციის მიმართ.

□ *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა*

კანდიდატისათვის დასმული კითხვების მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხებოდა მისი იურიდიული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები დოკუმენტის სავარაუდო სიყალბესთან დაკავშირებით დასმულ ლეგიტიმური კითხვებზე არ იყო დამაჯერებელი და კიდევ უფრო მეტ კითხვას აჩენდა ნეიტრალურ დამკვირვებელში.

ვლადიმერ კაკაბაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[18] 10 ხმით 2-ის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს ვლადიმერ კაკაბაძე წარედგინა[19].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ვლადიმერ კაკაბაძეს 2019 წლის 11 ოქტომბერს მოუსმინეს.

მოსამართლე კაკაბაძის მოსმენა 5 საათსა და 6 წუთს გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძე, არ იზიარებს პრინციპს, რომ ადამიანი არ უნდა ისჯებოდეს საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების გამო. მისი განმარტებით, ადამიანი სოციუმის ნაწილია და შესაძლებელია მის მიერ თუნდაც საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენებამ, გარეშემომყოფებისათვის მორალური ზიანის მიყენება გამოიწვიოს. შესაბამისად, კანდიდატი გამართლებულად მიიჩნევს ადამიანის თავისუფლების (საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების) **„გარკვეული შემაკავებელი მექანიზმების“** არსებობას. ხოლო რაც შეეხება ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას, ამ შემთხვევაში კანდიდატი, დასაშვებად მიიჩნევს **„რაღაც ზემოქმედებას“.**

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

□ *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

მოსამართლე კაკაბაძეს მიაჩნია, რომ *„ზოგადად კარგია, თუ მოსამართლე სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწევა პარალელურად,“* მაგრამ მისივე თქმით, სამოსამართლეო საქმიანობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ამისათვის საჭირო დრო ნაკლებად რჩებათ მოსამართლეებს. კანდიდატმა იქვე დასძინა, რომ ეს არ უნდა იყოს განმსაზღვრელი და ერთადერთი კრიტერიუმი კანდიდატის შეფასებისას. ზოგადად, პასუხი ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ მართალია კანდიდატი იაზრებდა მოსამართლის ავტორობით შექმნილი, საჯაროდ ხელმისაწვდომი აკადემიური ნაშრომის არსებობის მნიშვნელობას, მაგრამ ამავდროულად ცდილობდა როგორმე გადატვირთულობით და დროის სიმცირით აეხსნა ერთი მხრივ ის, თუ რატომ არ უმუშავია ამ მიმართულებით, ხოლო მეორე მხრივ ნაკლებ მნიშვნელოვნად წარმოეჩინა ამგვარი საქმიანობა მისი, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ შერჩევის კრიტერიუმებს შორის.

შეკითხვაზე სასამართლო იყო თუ არა დამოუკიდებელი 2012 წლამდე და კანდიდატი პასუხობს: ამ შეკითხვას რომ გავცე პასუხი პოლიტიკურ შეფასებაში უნდა შევიდე და ეთიკის კოდექსი უნდა დავარღვიო.

□ *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

კანდიდატმა გასაუბრების დროს ვერ გაიხსენა კონდიქციური ვალდებულების არსი, მაშინ როდესაც მის სახელთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული, ე.წ ფილიპ მორისის საქმის განხილვის დროს, იგი სწორედ აღნიშნულ ინსტიტუტს დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღების გარკვეულ ნაწილში.

მოსამართლე კაკაბაძემ, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, ფადი ასლის ცილისწამებით პატივისა და ღირსების შელახვისთვის

18 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

19 წარდგინება ვლადიმერ კაკაბაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

ვლადიმერ კაკაბაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

უჩივლა. საინტერესო გარემოებაა, რომ სარჩელი იმავე სასამართლომ განიხილა, სადაც კანდიდატი (მოსარჩელე) არის დასაქმებული. ამ საკითხთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე კანდიდატმა განმარტა, რომ სარჩელში სადავოდ გამხდარი გამონათქვამების ნაწილი არა ფადი ასლის, რისი აღქმაც მოსამართლე კაკაბაძეს გაუჩნდა, არამედ ჟურნალისტს ეკუთვნოდა, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ დაადგინა. კანდიდატი საკომიტეტო მოსმენის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ ფადი ასლიმ მას დანაშაული დააბრალა.

□ *პიროვნული და პროფესიული ქცევა*

გასაუბრების მიწურულს კანდიდატი ხშირად აპელირებდა დაღლილობაზე და გასაუბრების ხანგრძლივობაზე, მაშინ როდესაც მასთან ჩატარებული გასაუბრება სხვა კანდიდატებთან გამართული გასაუბრებებისაგან დროის თვალსაზრისით დიდად არ განსხვავდებოდა. შესაბამისად, ჩნდება კითხვები მის უნართან დაკავშირებით სტრესულ სიტუაციებში მუშაობის დროს შეძლებს თუ არა კანდიდატი თავი გაართვას საქმის სრულყოფილ განხილვას და უზრუნველყოს ეფექტიანი მართლმსაჯულება.

კანდიდატი საკუთარ პასუხებში იყენებს ისეთ ტერმინს, როგორიც არის – *„აბსოლუტური სიბეცე“*, რაც შეუფერებელია არა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის მაღალ სტატუსთან, არამედ ზოგადად სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლის ქცევასთან და იმ პროცესთან და სივრცესთან, რომელშიც მონაწილეობდა.

□ *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია*

მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების შეურაცხყოფის/კრიტიკის შეზღუდვასთან, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზიდან პირთა გაძევების შესახებ დასმულ კითხვებზე, კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების საფუძველზე რჩება შთაბეჭდილება, რომ კანდიდატი მოსამართლის, ასევე მთლიანად სასამართლოს რეპუტაციის დაცვის ოპტიმალურ გამოსავლად ხედავს დასჯას, მკაცრი და რეპრესიული მიდგომების გამოყენებას.

კანდიდატს განზარხული აქვს მიმართოს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც თავად იყო მოსარჩელე და რომელზეც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მის მიმართ გამოთქმული პოზიცია მოსაზრებად და არა ფაქტად შეაფასა და უარი უთხრა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე. ამასთანავე, კანდიდატს მიაჩნია, რომ იმ პროცესებმა, რომელიც აღნიშნული საქმის ირგვლივ განვითარდა, იგი საზოგადოების წინაშე დადებითად წარმოაჩინა.

„საზოგადოების თვალში მე გამოვჩნდი, როგორც მოსამართლე, რომლისთვისაც ძალიან სენსიტიურია თავისი ღირსების საკითხი.“

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია*

კანდიდატმა უპასუხა სისხლის სამართლის ისეთ ძირეულ პრინციპზე დასმულ შეკითხვას, როგორიცაა: ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციას შორის არსებული განსხვავება, თუმცა ვერ განმარტა რას გულისხმობს პირის შერაცხადობა, რაც სისხლის სამართლის სფეროში კომპეტენციის ნაკლებობით ახსნა.

კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმით საკუთრების უფლების დაცვას შორის არსებული განსხვავების შესახებ დასმულ კითხვაზე, კანდიდატმა განაცხადა, რომ აღნიშნული დოკუმენტები თანხვედრაშია და დიდ განსხავებას ვერ ხედავს.

კანდიდატს არ აქვს პასუხი იმის თაობაზე, თუ რა განსხვავებაა კანონის ნამდვილ და არანამდვილ უკუძალას შორის და რომლის გამოყენება მიაჩნია დასაშვებად.

კანდიდატმა მიუთითა, რომ არ იცნობს ისეთ მნიშვნელოვან ისტორიულ დოკუმენტს, როგორიც არის თავისუფლების დიდი ქარტია, თუმცა ზოგადად აღნიშნა, რომ ხსენებული ქარტიის

ვლადიმერ კაკაბაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

მთავარ მონაპოვარია *„ის ზოგად საკაცობრიო ღირებულებები რაც მასში არის აღწერილი“.*

შეკითხვაზე, რა განსხვავებაა ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკასა და პრეცენდენტულ სამართალს შორის, მოსამართლე კაკაბაძის პასუხი იყო მეტად ზოგადი და ნეიტრალურ დამკვირვებელში ტოვებდა განცდას, რომ მას შესაძლოა არ ჰქონოდა სიღრმისეული ფაქტობრივი ცოდნა საკითხის ირგვლივ.

□ *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი*

შეურაცხმყოფელი შინაარსის მქონე მხატვრულ ლიტერატურაზე, მოსამართლისა და სასამართლოს შეურაცხყოფაზე, აღნიშნული გამოხატვის შეზღუდვაზე და ზოგადად სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსებობის საჭიროებაზე დასმულ კითხვებზე, კანდიდატის პასუხი იყო ზოგადი, სამართლის ნორმათა ვიწრო, ფორმალისტურ განმარტებაზე ორიენტირებული. ხშირად კანდიდატი ყურადღებას ამახვილებდა მეორეხარისხოვან ან ნაკლებად მნიშვნელოვან დეტალებზე, რაც მის პასუხს კიდევ უფრო აშორებდა კითხვის მთავარი არსიდან.

კითხვის ავტორებს ხშირად უწევდათ საკუთარი კითხვის განმეორებით დასმა, ან კანდიდატისათვის უფრო მკაფიო ფორმულირებით კითხვის ჩამოყალიბება, რაც აჩენდა განცდას, რომ ან კანდიდატი არ უსმენდა სათანადო ყურადღებით კითხვის ავტორს ან ამგვარი გზით ცდილობდა მსჯელობის სხვა კუთხით წარმართვას ან რეალურად უჭირდა კითხვის შინაარსის აღქმა.

კანდიდატის პასუხები ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ მას აქვს გარკვეული მიუღებლობა განსხვავებული აზრის მიმართ. მის მიერ განხილულ საქმეებთან, ასევე მის მიერვე წარმოებულ სასამართლო დავასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე აშკარა იყო კანდიდატის უკმაყოფილება და რიგ შემთხვევებში მის ტონში იგრძნობოდა დაუფარავი აგრესია კითხვის ავტორის მიმართ.

კანდიდატის ქცევიდან გამომდინარე, იურიდიულ საკითხთა კომეტიტის სხდომის მიმდინარეობისას, სხდომის თავმჯდომარეს რამდენჯერმე მოუწია კითხვა-პასუხის პროცესში ჩარევა, რათა კანდიდატისათვის შეეხსენებინა გასაუბრების პროცესში დადგენილი ქცევის წესები და მათი დაცვის საჭიროება.

□ *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა*

საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის კანდიდატის მიერ შექმნილი აკადემიური ნაშრომი. მისივე განცხადებით, მხოლოდ დოქტორის ხარისხის მისაღებად საჭირო ნაშრომების ავტორია, რომელიც საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელია.

ლევან მიქაბერიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[20] 10 ხმით ორის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს ლევან მიქაბერიძე წარედგინა[21].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ლევან მიქაბერიძეს 2019 წლის 21 ოქტომბერს მოუსმინეს.

მოსამართლე მიქაბერიძის მოსმენა 5 საათსა და 27 წუთს გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

მოსამართლე ლევან მიქაბერიძეს დასაშვებად არ მიაჩნია მოსამართლის კრიტიკის შეზღუდვა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს შეიძლება მოსამართლეს არ მოსწონდეს ან არ სიამოვნებდეს. იგი მიიჩნევს, რომ მოსამართლეები არ არიან „ყვავილები“, რომ დაჭკნენ კრიტიკის გამო.

მოსამართლე იზიარებს პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ადამიანი არ უნდა ისჯებოდეს საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების გამო, იგი იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომას ნარკოტიკების მოხმარების გამო ადამიანის დასჯასთან დაკავშირებით. კერძოდ, მიქაბერიძე იზიარებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომას, რომ სახელმწიფოს მხრიდან ასეთი პატერნალისტური მიდგომა არ არის თავსებადი თავისუფალ საზოგადოებასთან. საინტერესოა, რომ კანდიდატი ამ მოსაზრებაში თანმიმდევრულია და მის ამ შეხედულებასთან წინააღმდეგობრივად მიიჩნევს საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც რწმენის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს ჯანრთელობის დაცვის მიზნით.

მოსამართლე მიქაბერიძე იზიარებს სეკულარული სახელმწიფოს იდეას. თუმცა, იმ მოტივით, რომ არ აქვს საკითხზე სიღრმისეულად ნაფიქრი მან თავი აარიდა კანონმდებლობის ჩანაწერის შეფასებას, რომლის მიხედვითაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს აქვს სრული დისკრეცია ყოველგვარი პროცედურების დაცვის გარეშე პირს მიანიჭოს დოქტორის ხარისხი თეოლოგიაში.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

მოსამართლე მიქაბერიძემ არაერთ კითხვაზე აღნიშნა, რომ კითხვაში წამოჭრილ საკითხზე არ უფიქრია სიღრმისეულად და პასუხის გაცემა გაუჭირდება. მისასალმებელია კანდიდატის პიროვნული კეთილსინდისიერება იყოს გულწრფელი იმის აღიარებაში, რაც არ იცის და არ უფიქრია.

კანდიდატის კეთილსინდისიერებასთან და პროფესიულ სინდისთან გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნის მისი შეხედულება, რომლის მიხედვითაც, უზენაეს სასამართლოში მოსამართლეები 40 წელს გადაცილებული პირები უნდა ინიშნებოდნენ, მაშინ როდესაც თავად კანდიდატს აღნიშნული ასაკისთვის არ მიუღწევია. მისი განმარტებით, კანდიდატურის წამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება მოცემული რეალობისა და რეგულაციების გათვალისწინებით მიიღო.

- *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

საქმეთა განაწილების ელექტრონულ სისტემასთან დაკავშირებით, ასევე სააპელაციო სასამართლოში კოლეგიების შემადგენლობის ფორმირებასთან დაკავშირებით კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები იყო ზოგადი, ძირითადად დადებით მხარეზე ორიენტირებული და იგრძნობოდა, მაქსიმალური მცდელობა თავი შეეკავებინა აღნიშნულ პროცესში სასამართლოს

20 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

21 წარდგინება ლევან მიქაბერიძის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

ლევან მიქაბერიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

თავმჯდომარის მონაწილეობის უარყოფით მხარეზე ყურადღების გამახვილებისაგან.

მოსამართლე ლევან მიქაბერიძის მიერ ზემოხსენებულ საკითხებზე გაცემული პასუხები ორიენტირებული იყო ვიწრო საკანონმდებლო რეგულაციებზე და არაფერს ამბობდა არსებული პრაქტიკის უარყოფით მხარეებზე, რაც აჩენდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნაკლებობის განცდას.

კანდიდატმა 2004-2012 წლებში სასამართლო ხელისუფლების მდგომარეობის შეფასებას იმავე არგუმენტით აარიდა თავი, რომელსაც საკომიტეტო მოსმენების პერიოდში სხვა მოსამართლეებიც მიმართავდნენ; კერძოდ, კანდიდატის განცხადებით, მართალია მას სმენია თუ როგორ აფასებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები ხსენებულ პერიოდში სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხსს, თუმცა თავად რაიმე კონკრეტული ფაქტის უშუალო მომსწრე არ გამხდარა.

□ *პიროვნული და პროფესიული ქცევა*

მოსამართლე ლევან მიქაბერიძემ ვერ გაიხსენა თუ რას ეხებოდა და რა მნიშვნელობის მატარებელი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომელიც მას საკუთარ გადაწყვეტილებაში ჰქონდა ნახსენები.

□ *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია*

სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებზე საუბრისას კანდიდატმა გამოყო საქმის განხილვის ვადების გაჭიანურება (თუმცა იქვე დაამატა, რომ აღნიშნულ პრობლემასაც გააჩნია ობიექტური წინაპირობა).

სხვა კანდიდატების პასუხების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, მოსამართლე ლევან მიქაბერიძისთვის გარკვეულ უხერხულობას წარმოადგენს იმსჯელოს სისტემის შიგნით არსებულ პრობლემებსა და სასამართლო სისტემაში შესაძლოდ არსებულ არაფორმალურ ურთიერთობებზე.

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა*

სამოქალაქო ქორწინებაში მყოფ პირებსა და ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ პირებს შორის არსებულ უფლებრივ განსხვავებებზე მსჯელობისას, კანდიდატმა ჩამოთვალა რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი, ასევე ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებასა და მის საფუძველზე საქმის გადაწყვეტის შესაძლებლობაზე.

თუმცა, ამავე საკითხზე მსჯელობისას, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციად ამგვარი მოპყრობა, კანდიდატმა განაცხადა, რომ ერთი შეხედვით შეიძლება გარკვეულ უხერხულობას ქმნიდეს.

კანდიდატი არ იცნობს მისი, როგორც მოსამართლის, საქმიანობასთან დაკავშირებით მიმდინარე ცვლილებებს, რომელიც სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღის სახელით არის ცნობილი.

□ *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*

მოსამართლე ლევან მიქაბერიძე ძალიან ბევრ კითხვას პასუხობდა, რომ მას არ ჰონდა სიღრმისეულად ნაფიქრი ამ საკითხზე და შესაბამის ვერ შეძლებდა/გაუჭირდებოდა პასუხის გაცემა. ეს მიდგომა ზემოთ პიროვნული კეთილსინდისიერების ნაწილში პოზიტიურად შეფასდა, თუმცა, მას აქვს მეორე მხარეც, კერძოდ ჩნდება კითხვები კანდიდატის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისთვის შესაფერისი კომპეტენტურობის თაობაზე. რამდენად არის კანდიდატი მზად კომპეტენციის თვალსაზრისით ზიდოს ის ტვირთი, რაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს, როგორც უმაღლესი მართლმსაჯულების ორგანოს წარმომადგენელს მოეთხოვება. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატის კომპეტენცია ამ ეტაპისთვის არ არის საკმარისი დასაკავებელი

ლევან მიქაბერიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რაც შეეხება იმ საკითხებს, რასაც კანდიდატმა უპასუხა. კანდიდატის განცხადებით, მას არ აქვს *„გლობალურად ნამსჯელი“* პრეზიდენტის შეწყალების აქტზე სასამართლო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობაზე და მხოლოდ ზოგადი/ზედაპირული პასუხით შემოიფარგლა. ზოგადი/ზედაპირული და არადამაჯერებელი იყო ასევე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხი თავისუფლების დიდი ქარტიის ძირითად მონაპოვართან დაკავშირებულ კითხვაზეც.

ღირსების სამოქალაქო სამართლებრივი და კონსტიტუციურ სამართლებრივი შინაარსის გამიჯვნასთან დაკავშირებით კანდიდატი იცნობს ძირითად პრინციპს, რომ ღირსების კონსტიტუციურ სამართლებრივი გაგება უფრო ფართოა და საკუთარ თავში მოიაზრებს მათ შორის სამოქალაქო სამართლებრივ გაგებასაც.

მოსამართლე ლევან მიქაბერიძის აზრით *„შეიძლება ჩავთვალოთ, რომ შესაძლოა [არაკონსტიტუციური] იყოს“* პრეზიდენტის უარი განახორციელოს მისი კონსტიტუციური უფლებამოსილება შეწყალებაზე.

- *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი*

მიუხედავად იმისა, რომ საკომიტეტო მოსმენის პერიოდში კანდიდატი ინარჩუნებდა სიმშვიდეს და გაწონასწორებულად ცდილობდა დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას, მის საუბარი იყო არადამაჯერებელი და ხშირ შემთხვევაში ზოგადი, ბუნდოვანი შინაარსის მატარებელი. მთელ რიგ შემთხვევებში, კანდიდატის მიერ განვითარებული მსჯელობა ვერ პასუხობდა დასმული კითხვის არსს.

- *პროფესიული თვისებები;*

კომპეტენციის ნაწილში არსებული და ზევით ასახული მოცემულობა ართულებს კანდიდატის პროფესიული თვისებების შეფასებას. ფაქტიურად ვერცერთ ფუნდადმენტურ საკითხზე კანდიდატმა სრული და ამომწურავი პასუხი ვერ გასცა.

- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*

საკომიტეტო მოსმენის შედეგად ძნელია კანდიდატის აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის შესახებ საუბარი, იმდენად რამდენადაც, მისგან არაერთხელ მოვისმინეთ, რომ კონკრეტულ საკითხზე არ აქვს ნაფიქრი/ნამსჯელი, რაც კანდიდატმა ერთ მომენტში იმით ახსნა, რომ არ სურს მცდარი პასუხი გასცეს კითხვას, ხოლო გადაწყვეტილების მიღების დროს უფრო მეტი დრო ექნება საკითხის ირგვლივ დასაბუთებული პოზიციის ჩამოსაყალიბებლად.

- *პროფესიული აქტივობა.*

კანდიდატი არ არის რაიმე აკადემიური ნაშრომის ავტორი და ამვდროულად მიიჩნევს, რომ აკადემიური საქმიანობა არ უნდა გახდეს კანდიდატის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელი. თუმცა, შესაძლოა კანდიდატი არაგულწრფელიც იყო პასუხში და ეს მიდგომა, მისი მდგომარეობის გამართლების მცდელობა იყო.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[22] 11 ხმით ერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს გიორგი მიქაუტაძე წარედგინა[23].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გიორგი მიქაუტაძეს 2019 წლის 22 ოქტომბერს მოუსმინეს.

მოსამართლე მიქაუტაძის მოსმენა 9 საათი და 25 წუთი გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მოსამართლე მიქაუტაძის მოსმენის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ის იზიარებს პირადი თავისუფლების იდეას.

კანდიდატი იზიარებს მოსაზრებას, რომ არავინ შეიძლება დაისაჯოს საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების გამო. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ შემთხვევიდან რაიმე ტიპის გამონაკლისზე კანდიდატს ყურადღება არ გაუმახვილებია.

თანასწორობასა და თავისუფლებას შეპირისპირებისას მოსამართლე მიქაუტაძე თავისუფლების სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს. კითხვაზე: ვის სასარგებლოდ გადაწყვეტდა სასამართლო დავას – კონდიტერის, რომელიც საკუთარი რელიგიური შეხედულებების გამო უარს აცხადებს გეი წყვილებისთვის საქორწილო ტორტის გამოცხობაზე, თუ გეი წყვილის სასარგებლოდ, რომელიც თანასწორობის უფლებაზე დაყრდნობით ითხოვს აღნიშნულს, კანდიდატი პასუხობს რომ ამ შემთხვევაში დავა რწმენის თავისუფლების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

კანდიდატი მიიჩნევს, რომ არ შეიძლება კონკრეტულ თანამდებობაზე განმწესებული პირის კომპეტენცია და კეთილსინდისიერება შეფასდეს წარსულში მის მიერ დაკავებული თანამდებობით.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი ფორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატმა, საბჭოს სხდომამდე უნდა წარმოადგინოს სამი რეკომენდატორის წერილი. მიუხედავად აღნიშნული დანაწესისა, მოსამართლე მიქაუტაძემ წარმოადგინა ორი რეკომენდატორის წერილი, კითხვაზე თუ რატომ მოიქცა ასე, კანდიდატმა განაცხადა, რომ სამი რეკომენდატორის წერილის წარმოდგენა არ იყო კონსტიტუციით და ორგანული კანონით დადგენილი ვალდებულება.

კონსტიტუცია და ორგანული კანონი ადგენს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის წესს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო თუ ფორმალური მოთხოვნები, მათ შორის, სავალდებულო დოკუმენტაციის წარდგენის წესი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის მსურველთათვის არ არის სავალდებულო. ბუნებრივია, არსებობს მოლოდინი, რომ მოქმედი საკანონმდებლო მოწესრიგების შესახებ მოსამართლე მიქაუტაძეს ნათელი წარმოდგენა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ცდილობდა საკუთარი ქმედების გამართლებას, რამაც დატოვა უარყოფითი აღქმა მის პიროვნულ და პროფესიულ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით.

კანდიდატის მხრიდან გამოვლენილმა ამგვარმა დამოკიდებულებამ ნეიტრალურ დამკვირვებელში შესაძლოა გააჩინოს განცდა, რომ ის

22 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

23 წარდგინება გიორგი მიქაუტაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

ნაკლებ პატივს სცემს კანონის უზენაესობას და იმ ორგანოს მიერ დადგენილ სავალდებულო წესებს, რომლის ხელმძღვანელის უფლებამოსილებასაც თავად ახორციელებს. ამასთანავე, ეს გარემოება დიდი ალბათობით სხვა კანდიდატის შემთხვევაში გახდებოდა პირველივე ეტაპზე ფორმალური კრიტერიუმით უარყოფის საფუძველი;

კითხვაზე: „საკანონმდებლო ინიციატივის უფლება რომ გქონდეთ, რა სახის ინიციატივას წარადგენდით პარლამენტში" კანდიდატი პასუხობს, რომ იგი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების განხორციელების შესახებ შეიტანდა ინიციატივას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომ პრობლემურია და შეფასებული, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის მექანიზმი ამაზე საზოგადოების, მათ შორის მოქმედ მოსამართლეთა დიდი ნაწილი თანხმდება. თუმცა, ფაქტია, რომ კანდიდატი გარკვეული დროის განმავლობაში იხილავდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, მაგრამ ადამიანის უფლებათა დარღვევის კუთხით სადავო ნორმებთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წარდგინებით არასოდეს მიუმართავს. უფრო მეტიც, ის ამ ნორმებზე დაყრდნობით წყვეტდა საქმეებს. ამგვარი მოცემულობის პირობებში შესაძლოა გაჩნდეს განცდა, რომ კანდიდატს შეუძლია იმ საკითხებზეც მიიღოს გადაწყვეტილება სადაც შესაძლოა შინაგანი წინააღმდეგობა ჰქონდეს კანონიერებასა და სამართლიანობას შორის.

□ *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

მოსამართლე მიქაუტაძე ინსტიტუციონალურ ხარვეზად არ აღიქვამს იმ ფაქტს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევისას მათ მიერ განცხადებულ თანხმობასა და ბიოგრაფიაზე ინფორმაცია მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებს გააჩნდათ, ხოლო არამოსამართლე წევრებს – არა.

ეს პასუხი შესაძლოა ნეგატიურად იქნეს შეფასებული ნეიტრალური დამკვირვებლის მიერ და მასში გააჩინოს განცდა, რომ კანდიდატს ან არ გააჩნია მოვლენათა ობიექტურად შეფასების უნარი, ან იზიარებს მოვლენის უარყოფით ხასიათს, თუმცა, ვერ ინარჩუნებს პროცესისადმი ნეიტრალურობას.

□ *პიროვნული და პროფესიული ქცევა*

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე მოსამართლე მიქაუტაძემ დაადასტურა, რომ 2014 წელს შეძენილი ბინის საფასურის დიდი ნაწილი დაფარა საკუთარი ოჯახისგან მიღებული თანხით, თუმცა აღნიშნული ფაქტი დეკლარაციაში არ აღურიცხავს. მოსმენისას კანდიდატმა ასევე არ უარყო, რომ დეკლარაციაში ამ თანხის აღრიცხვის ვალდებულება გააჩნდა, თუმცა ზუსტად არ ახსოვს რატომ არ შეასრულა ეს ვალდებულება. მიუხედავად ამისა, მან საჯაროდ დადო პირობა, რომ შემოსავლის წყაროების თაობაზე პარლამენტს შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენდა. დეკლარაციაში ამ უსწორობის/კანონთან შეუსაბამობის აღიარება, შესაძლოა ერთი შეხედვით პოზიტიურად მეტყველებდეს კანდიდატზე. მაგრამ მოსამართლე მიქაუტაძის პროფესიული პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, მსგავსი კანონშეუსაბამო ქმედება შესაძლოა აღქმულ იქნეს, როგორც არასათანადო დამოკიდებულება კანონის უზენაესობის მიმართ.

□ *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია*

კითხვაზე, თუ რას ფიქრობს ე.წ „ნულოვან ტოლერატნობასა" და რეპრესიულ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკაზე, კანდიდატმა უპასუხა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს დამნაშავის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლებას, თუკი ზიანი მცირე მნიშვნელობისაა.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა*

კითხვაზე: „იმ შემთხვევაში თუკი თქვენ, როგორც ადმინისტრაციული პალატის მოსამართლე, ვალდებული იქნებით პირს შეუფარდოთ ადმინისტრაციული პატიმრობა, თუმცა, ამავდროულად, გაქვთ ინფორმაცია რომ პენიტენციურ დაწესებულებებში არ არის სათანადო ვითარება" კანდიდატმა უპასუხა, რომ თუკი არსებობს საკანში არაადამიანური მოპყრობის საფრთხე, ის ეცდება ალტერნატიული სახდელის გამოყენებას.

□ *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია*

კითხვაზე თუ რას ნიშნავს კონსტიტუციის ან კანონის უზენაესობა და საიდან წარმოიშვა ცნება **„უზენაესობა"** ამ კონტექსტში, კანდიდატის მიერ გაცემული პასუხი იყო, რომ ერთადერთი რაც უზენაესთან დაკავშირებული ახსენდება არის ღმერთი.

პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულის შეწყალების უფლებამოსილებასა და ამავდროულად პირისათვის ნასამართლეობის მოხსნასთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად მოსამართლე მიქაუტაძემ განაცხადა, რომ პრეზიდენტს შეუძლია ნასამართლობის მოხსნა, თუმცა არ ახსოვს მის პრეროგატივაში შედის თუ არა ნასამართლობის მოხსნის უფლებამოსილება.

მსგავსად, კანდიდატმა იცის რომ სისხლის სამართლის მატერიალური ნორმის ანალოგიის სახით გამოყენება არ შეიძლება, თუმცა საპროცესო ნორმასთან მიმართებით უჭირს პასუხის გაცემა. ერთიანობაში ხსენებული პასუხები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ კანდიდატი მართალია ფლობს სისხლის სამართლის სფეროში ზოგად ცოდნას, თუმცა არა იმდენად სიღრმისეულს, რომ ამომწურავად და დამაჯერებლად უპასუხოს ამ მიმართულებით დასმულ შეკითხვებს.

□ *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი*

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გამართული მოსმენის ფონზე შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლე მიქაუტაძე თავდაჯერებულად პასუხობდა დასმულ შეკითხვებს, ადეკვატურად აღიქვამდა დასმული შეკითხვების არსს. კანდიდატი ცდილობდა გულახდილი ყოფილიყო, თუმცა იმ შემთხვევაში როდესაც კითხვის ავტორი რიტორიკულ ან მწვავე კრიტიკულ აქცენტებს სვამდა, კანდიდატი პირდაპირი პასუხის გაცემას თავს არიდებდა. ასევე, მოსმენის ფარგლებში პარლამენტის წევრთა ნაწილის მხრიდან დასმულმა კრიტიკულმა კითხვებმა და შეფასებებმა, კანდიდატი გააღიზიანა, მის ქცევაში აგრესიის ნიშნები შეიმჩნეოდა, რაც როგორც დეპუტატების, ასევე მთლიანად პარლამენტის, როგორც ინსტიტუციის მიმართ, არასათანადო პატივისცემაზე შეიძლება მიანიშნებდეს. კანდიდატმა კრიტიკულად განწყობილი დეპუტატების შეფასებას უპასუხა შემდეგი სიტყვებით: *„მე აქ არ ვარ მოსული თქვენი პოლიტიკური სადღეგრძელოების მოსასმენად."*

□ *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა*

მოსამართლე მიქაუტაძეს არ აქვს შესრულებული აკადემიური ნაშრომი/სტატია.

კანდიდატის განცხადებით ის პერიოდულად ეცნობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

პაატა სილაგაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[24] 10 ხმით 2-ის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს პაატა სილაგაძე წარედგინა[25].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე პაატა სილაგაძეს 2019 წლის 23 ოქტომბერს მოუსმინეს.

მოსამართლე სილაგაძის მოსმენა 6 საათსა და 23 წუთს გაგრძელდა.

მსოფლიოზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

მოსამართლე სილაგაძეს მიაჩნია, რომ საქართველო არის ქრისტიანული სახელმწიფო, ის აღიარებს მართლმადიდებლური ეკლესიის **უპირატესობას,** თუმცა იქვე მიიჩნევს, რომ ტოლერანტობის გამო სხვა რელიგიებსაც აქვთ არსებობის უფლება. ამასთან, კანდიდატი ეთანხმება მოსაზრებას, რომ რესპუბლიკურ მოდელზე გადასვლასთან ერთად, ღმერთისთვის უზენაესობის სტატუსის ჩამოთმევა და ხალხისთვის გადაცემა წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების გამო პირის დასჯადობაზე საუბრისას კანდიდატი მხოლოდ ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების საკითხზე კონცენტრირდა და სახელმწიფოს მხრიდან **„ეფექტური ღონისძიებების“** მიღების საჭიროებაზე გაამახვილა ყურადღება. კანდიდატი გამორიცხავს სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადობის არსებობას ნარკოტიკების მოხმარებაზე, თუმცა იგივე ადმინისტრაციული წესით გარკვეული რეგულირების არსებობა მისაღებად მიიჩნია.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

□ *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

მოსამართლე სილაგაძემ ვერ გაიხსენა ვერცერთი შეცდომა, რომელიც, როგორც საჯარო მოხელემ, ისე დაუშვა.

2018 წლის დეკემბერში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა სიის წარდგენამდე განვითარებულ მოვლენებზე საუბრისას, კანდიდატმა განაცხადა, რომ საბჭოს წერილობითი თანხმობა წარუდგინა, მაშინ როდესაც წინა დღით გამართულ გასაუბრებაზე საბჭოს მდივანმა – გიორგი მიქაუტაძემ, განაცხადა, რომ ამგვარი თანხმობები კანდიდატების მხრიდან არ ყოფილა წარმოდგენილი.

□ *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

ყველა კითხვაზე, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, კანდიდატის პასუხები თითქმის უცვლელად ემთხვეოდა იმ პოზიციას, რომელსაც საბჭოს უმრავლესობაში მყოფი მოსამართლე წევრები მათ მიმართ გამოთქმული კრიტიკის საპასუხოდ აჟღერებენ. შესაბამისად, კანდიდატის პასუხები აჩენს განცდას, რომ იგი საბჭოს ამ ჯგუფის მიმართ შესაძლოა იყოს მიკერძოებული.

2012 წლამდე და 2012 წლის შემდეგ სასამართლოს დამოუკიდებლობის შეფასებისას, კანდიდატმა მსგავსად სხვა მრავალი მონაწილისა, აღნიშნა, რომ *„საკანონმდებლო წნეხი მოიხსნა“* და პირადად მის მიმართ ზეწოლას ადგილი არასდროს ჰქონია.

შეკითხვაზე, როგორ მოხდა, რომ კანდიდატს არ აქვს გამოტანილი არც ერთი გამამართლებელი განაჩენი 2012 წლამდე და აქვს 22 სრულად გამამართლებელი განაჩენი 2012 წლის შემდეგ, კანდიდატმა ეს სტატისტიკა ახსნა იმ ფაქტით, რომ საქმე არ იძლეოდა გამართლების შესაძლებლობას

24 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

25 წარდგინება პაატა სილაგაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926?უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

პაატა სილაგაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

„უნდა შეგხვდეს საქმე, რომ გასამართლებელი იყოს პირი...“. ამავდროულად მიუთითა, რომ მას აქვს ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენები 2012 წლამდე პერიოდში.

შეკითხვაზე, შეეძლო თუ არა გირგვლიანის საქმეზე ლევან მურუსიძეს მიეღო სხვაგვარი გადაწყვეტილება, კანდიდატი პასუხობს, რომ ეთიკის წესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების შეფასებისგან თავს შეიკავებს.

□ *პიროვნული და პროფესიული ქცევა*

გარდა იმისა, რომ კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების უმრავლესობა კითხვის ნიშნებს აჩენს მის კომპეტენციასთან დაკავშირებით, საკომიტეტო მოსმენის პერიოდში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც კანდიდატი პოლემიკაში შედიოდა კითხვის ავტორებთან. ქალბატონი ეკა ბესელიას და ბატონი ლევან გოგიჩაიშვილის მისამართით გაკეთებული განცხადებები და პასუხები კი მიუთითებს, რომ კანდიდატს არ გააჩნია განსხვავებული აზრის მიმღებლობის უნარი და არ არის ღია თუნდაც ძალიან მწვავე კრიტიკისათვის.

□ *პიროვნული და პროფესიული რეპუტაკაცია*

კანდიდატის შეფასებით, 2018 წლის დეკემბერში განვითარებულმა მოვლენებმა სასამართლო ხელისუფლების რეპუტაციაზე უარყოფითი გავლენა არ იქონია, მეტიც საბჭოს მიერ 2018 წელს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების წარდგენა უზენაეს სასამართლოში არსებული პრობლემის ეფექტური გადაჭრის საშუალებად მიიჩნია.

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა*

შეწყალების უფლებამოსილების ფარგლებთან დაკავშირებით, ასევე კონსტიტუციურ ნორმათა ავტონომიურ განმარტებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხებიდან გამოჩნდა, რომ კანდიდატი: ერთი – ვიწრო შინაარსობრივ განმარტებას აძლევს სისხლის სამართლის ნორმებს, მეორე – არ იცის რას გულისხმობს კონსტიტუციურ ნორმათა ავტონომიური განმარტების პრინციპი და მესამე – შესაბამისად, ვერ ახერხებს ამ ორივე საკითხზე ერთიანობაში თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობის ჩამოყალიბებას.

მოსამართლე სილაგაძის შეფასებით, თუკი თბილისიის მერიის მიერ ტროტუარების მოწესრიგებასთან დაკავშირებით გამოცხადებული ტენდერის ერთ-ერთი პირობა არ იქნება პანდუსებისა და ეტლით მოსარგებლე პირებისათვის სათანადო ადაპტაციის უზრუნველყოფა, ეს პირდაპირი დისკრიმინაციის მაგალითი იქნება, *ვინაიდან „პირდაპირ უშლის ხელს მათ გადაადგილებას.“*

კანდიდატი ვერ მიჯნავს ერთმანეთისაგან ნამდვილ და არანამდვილ უკუძალას, შესაბამისად ვერ პასუხობს კითხავს, რომელი მათგანის გამოყენება უნდა იყოს დაუშვებელი.

მოსამართლე სილაგაძე ვერ უპასუხა ადმინისტრაციულ სამართალში სუსპენზიურობის ეფექტის მნიშვნელობაზე დასმულ კითხვას, რაც კონკრეტულ დარგში კომპეტენციის არ ქონით ახსნა.

□ *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია*

მოსამართლე სილაგაძეს მიაჩნია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შემთხვევაში პრობლემა არის მათ ფიზიკურ მდგომარეობაში და არა გარემოში, სადაც მათ უწევთ ცხოვრება. კანდიდატი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად მიიჩნევს ადამიანს, „რომელიც ვერ ხედავს, არ ესმის, ვერ დადის“ და არა ის, ვინც ვერ ახერხებს საკუთარი უფლებების რეალიზებას არასათანადოდ ადაპტირებული გარემოს გამო.

მოსამართლე სილაგაძემ არ იცის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კრიტერიუმები და წესი ე.წ. სამწვეროვანი ტესტი, მეტიც ამ საკითხზე პასუხის ჩამოყალიბების მცდელობისას კანდიდატმა მოიშველია დისკრიმინაციული მოპყრობის დასადგენად გამოსაყენებელი ტესტი და ისიც არასრულყოფილად.

პაატა სილაგაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

□ *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*

კანდიდატი არადამაჯერებლად და ბუნდოვნად პასუხობდა კითხვებს, რაც კომპეტენციის ნაკლებობასთან ერთად, ზოგადად ვერბალური კომუნიკაციისა და ლოგიკურ-სამართლებრივი მსჯელობის განვითარების უნარის პრობლემურობასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. ამავდროულად, კანდიდატის მიერ შერჩეული ტერმინოლოგია და რიგი პარლამენტარების მიმართ გამოვლენილი დამოკიდებულება შეიძლება ითქვას, არ შეესაბამება, არა თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის მაღალ ზნეობრივ სტანდარტს, არამედ ზოგადად სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლის ქცევის წესს.

□ *პროფესიული თვისებები*

რთულია მოსამართლე სილაგაძის პროფესიული თვისებების დადებითად შეფასება. საკომიტეტო მოსმენის პერიოდში კანდიდატი ან ვერ პასუხობდა დასმულ კითხვებს, ან ანვითარებდა ზოგად, ზედაპირულ მსჯელობას, რომელიც არ ხასიათდებოდა სისტემურობითა და თანმიმდევრულობით.

გარდა კომპეტენციის ნაწილისა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მოსამართლე სილაგაძის კეთილსინდისიერება და მიუკერძოებლობა, განსაკუთრებით ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც საერთო სასამართლოების სისტემაში არსებული გავლენიანი ჯგუფის ინტერესთა სფეროშია მოქცეული.

□ *აკადემიური მიღწევები, პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა*

გარდა იმისა, რომ მოსამართლე სილაგაძე თავად არ არის ავტორი რაიმე აკადემიური ნაშრომისა, კანდიდატი აცხადებს, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არ წაუკითხავს არცერთი ისეთი აკადემიური ნაშრომი, რომელმაც მის პროფესიულ ზრდაში გარდატეხა მოახდინა.

ნუგზარ სხირტლაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[26] 11 ხმით ერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს ნუგზარ სხირტლაძე წარედგინა[27].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ნუგზარ სხირტლაძეს 2019 წლის 24 ოქტომბერს მოუსმინეს.

მოსამართლე სხირტლაძის მოსმენა 5 საათსა და 23 წუთს გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

საქართველოს პარლამენტის იურდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, საკომიტეტო მოსმენისას, კანდიდატმა განაცხადა, რომ იზიარებს პრინციპს, რომლის მიხედვითაც პირი არ შეიძლება დაისაჯოს საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების გამო. კანდიდატი ასევე თვლის, რომ სახელმწიფოს არ აქვს უფლება ჩაერიოს ადამიანის თავისუფლებაში, მათ შორის მაშინ, როდესაც ადამიანი ირაციონალურად, მისი თავის საზიანოდ იქცევა.

მოსამართლე სხირტლაძე ასევე იზიარებს პოლიტიკის ფილოსოფოსის ჯონ სტიუარტ მილის მოსაზრებას, რომ საზოგადოების უმრავლესობის შეხედულებები არ უნდა იყოს თავს მოხვეული ინდივიდებზე, თუმცა, ამ მოსაზრების საპირისპიროდ, უშვებს რომ საჯარო მორალის დაცვის მოტივით ზოგჯერ, თუ გამოხატვა შეურაცხყოფს რელიგიურ გრძნობებს, შეიძლება გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდოს. კანდიდატის მიერ გაცემული პასუხიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი აზრით, საჯარო მორალი შესაძლოა საქართველოს კონსტიტუციაში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველში – სხვათა უფლებებში – ფართო განმარტების შედეგად ამოიკითხოს.

მოსამართლე სხრიტლაძის შეფასებით, დემოკრატიულ სახელმწიფოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს აქვთ ე.წ „ღამის დარაჯის" ფუნქცია, საჯარო დებატების გზით ხელს უწყობენ საზოგადოების განვითარებას.

მართალია კანდიდატს მიაჩნია, რომ LGBT პირებს უნდა ჰქონდეთ ისეთი უფლებრივი გარანტიები ერთმანეთის მიმართ, როგორიც ქორწინებაში მყოფ პირებს, თუმცა, ამავდროულად, აღნიშნავს იმასაც, რომ **საზოგადოების ნაწილი ამისთვის არ არის მზად.** მსგავსი დამოკიდებულება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ კანდიდატი იაზრებს თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს, თუმცა ამავდროულად ტოლერანტულადაა განწყობილი კონსერვატიული მიდგომების მიმართაც.

ამავდროულად, საკომიტეტო მოსმენაზე აშკარად შესამჩნევი იყო, კანდიდატის მცდელობა, თავიდან მაქსიმალურად აერიდებინა კითხვებზე საკუთარი შეხედულებებითა და მოსაზრებებით პასუხის გაცემა, რაც კანდიდატის ღირებულებითი წესრიგის უკეთ შეფასების საშუალებას მოგვცემდა. ნაცვლად ამისა, მოსამართლე სხირტლაძე ცდილობდა როგორც ქვეყნის შიდა, ისე საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტული გადაწყვეტილებებისა და ზოგადად, პროფესიულ ლიტერატურაში არსებული პოზიციების მოშველიებას და ზოგჯერ ჩვენთვის ცხადი არ იყო, თავად იზიარებდა თუ არა მათ შინაარს.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

კითხვაზე „21 წლის სამოსამართლეო პრაქტიკის განმავლობაში არის თუ არა თქვენს პრაქტიკაში საქმეები, რომლებსაც დღე-

26 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923?უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

27 წარდგინება ნუგზარ სხირტლაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

ნუგზარ სხირტლაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

ვანდელი გადმოსახედიდან განსხვავებულად გადაწყვეტდით“ მოსამართლეობის კანდიდატმა გულახდილად განაცხადა, რომ არის და აღნიშნულს ასაბუთებს შემდეგნაირად:

„არის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა, თუმცა ამავდროულად, მოსამართლე შეზღუდულია მკაცრი ვადებით, ასეთ დროს არ არის გამორიცხული რომ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც იმ დროს მიგაჩნდა რომ სწორი იყო, დროთა განმავლობაში გაუმართლებლად მოგეჩვენოს.”

აღნიშნული პასუხიდან ვლინდება, რომ მოსამართლე სხირტლაძეს კარგად ესმის სამოსამართლეო საქმიანობის და ზოგადად, იურისპრუდენციის თავისებურებები, კრიტიკულად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს, რაც მიუთითებს მის პიროვნულ და პროფესიულ კეთილსინდისიერებაზე.

როგორც საკომიტეტო მოსმენიდან გაირკვა, საქართველოს კონსტიტუციის მთავარ მონაპოვარად კანდიდატს ხელისუფლების დანაწილების პრინციპისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უზენაესობის უზრუნველყოფა მიაჩნია, რამაც, საბოლოო ჯამში, ხელი შეუწყო ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას.

კანდიდატმა თავმდაბალი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. მიუხედავად 21 წლიანი სამოსამართლეო გამოცდილებისა, იგი კრიტიკულად არის განწყობილი, როგორც საკუთარი თავის, ასევე გადაწყვეტილებების მიმართ.

□ *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

კანდიდატი იზიარებს მოსაზრებას, რომ 2012 წლამდე პერიოდის საქართველოში რეპრესიული პოლიტიკური რეჟიმი იყო, თუმცა უარყოფს, რომ ამას მასზე, როგორც მოსამართლეზე, რაიმე გავლენა შეიძლება მოეხდინა.

შეკითხვაზე, თუ კანდიდატმა რატომ დაუჭირა მხარი 2010 წელს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ლალი ლაზარაშვილის იძულებით გადაყვანას ადმინისტრაციული სამართლის პალატიდან სისხლის სამართლის პალატაში, კანდიდატმა მიუთითა, რომ ეს იყო პლენუმის გადაწყვეტილება და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ჩაითვალა, რომ ის უნდა გადასულიყო სისხლის სამართლის პალატაში.

შეკითხვაზე, არსებობენ თუ არა სასამართლოში მოსამართლეები, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფაში (მაგალითად, პოლიტიკური დაკვეთების შემოტანა სასამართლოში და მოსამართლემდე მიტანა, საქმეთა განაწილების სისტემით მანიპულირება, პოლიტიკურად ურჩი მოსამართლეების დასჯა) კანდიდატმა უპასუხა, რომ სადისციპლინო კანონმდებლობაში არსებობდა მნიშვნელოვანი ხარვეზები. რაც შეეხება საქმეთა განაწილების სისტემით მანიპულირებას, კანდიდატი მიიჩნევს, რომ ასეთის მტკიცებისთვის მას კონკრეტული მტკიცებულებები სჭირდება. მისი განმარტებით ის თვითონაც დაინტერესებულა ამ საკითხით, თუმცა, რამდენჯერაც უნახავს საქმის რიგითობის ნომერი, ყოველთვის ემთხვეოდა მისი განაწილების ნომერს.

მოსამართლე სხირტლაძე განმარტავს, ფაქტს საქმეზე მისაღები გადაწყვეტილება ვინმესთან, მათ შორის მიხეილ ჩინჩალაძესთან წინასწარ შეეთანხმებინა, ადგილი არ ჰქონია.

□ *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია*

მოსამართლე სხრიტლაძეს 21 წლიანი სამოსამართლო პრაქტიკა გააჩნია, რაც მის პროფესიულ გამოცდილებაზე დადებითად აისახება. კრიტიკულად აფასებს საკუთარ გადაწყვეტილებებს. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გამართული გასაუბრების ფარგლებში, კანდიდატი ცდილობდა სრულფასოვნად დაესაბუთებინა საკუთარი მოსაზრება, მთელი მოსმენის პროცესში ინარჩუნებდა მიმღებლობას განსხვავებული აზრის მიმართ. ყოველივე ზემოთქმული, საბოლოოდ დადებითად აისახება მის პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციაზე.

ნუგზარ სხირტლაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა*

მოსამართლე სხრიტლაძემ მოსმენისას განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საჯარო მორალი არ არის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველი, თუმცა კონვენციის თანახმად, საჯარო მორალის დაცვის მიზნით შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. მსგავსი ტიპის განმარტების გაკეთება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ კანდიდატი სიზუსტის მაღალი ხარისხით იცნობს საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებებსა და მათ შორის არსებულ განსხვავებებს, რაც დადებითად აისახება მის კომპეტეციაზე. თუმცა, მიდგომა – საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი უფლების დაცვის მაღალი სტანდარტი კონვეციური სტანდარტით დაიმცროს, რბილად რომ ვთქვათ საკამათო საკითხია.

□ *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია*

კითხვაზე „იმ შემთხვევაში თუკი უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განხილვისას დადგებით შემდეგი სირთულის წინაშე – ეთანხმებით დიდი პალატის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, თუმცა არ ეთანხმებით მის მოტივაციას, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებდით“ კანდიდატმა განაცხადა, რომ ვინაიდან უზენაესი სასამართლო არის კონცეპტუალური სასამართლო, ხარისხიანი სამოტივაციოს დაწერას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილთან მიმართებით.

აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ მოსამართლე სხირტლაძეს კარგად ესმის უზენაესი სასამართლოს უმთავრესი ფუნქციური დატვირთვა სასამართლო ხელისუფლებასა და ზოგადად სამართლის სივრცეში, ასევე კარგად აცნობიერებს იმ დილემას, რომლის წინაშეც იგი შეიძლება აღმოჩნდეს უზენაესის მოსამართლედ გამწესების შემთხვევაში.

□ *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი*

კანდიდატი მთელი მოსმენის პროცესში წარმატებით ახერხებდა ემოციების მართვას, კრიტიკული და მწვავე კითხვების მიმართაც იყო გაწონასწორებული და მედეგი. რიგ საკითხებზე პასუხის გაცემის მომენტში, მისი ქცევიდან გამომდინარე, აშკარა ხდებოდა მისი პიროვნული დამოკიდებულება საკითხის მიმართ.

□ *პროფესიული თვისებები*

მოსმენის პროცესში კანდიდატი ადეკვატურად აღიქვამდა დასმული კითხვების არსს, ცდილობდა ყოფილიყო გულახდილი და არ უჭირდა იმის აღიარება, რომ კონკრეტულ საკითხთან მიმართებით განიცდის ფაქტობრივი ცოდნის ნაკლებობას. მიუხედავად ამისა, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოსამართლე სხირტლაძეს გაუჭირდა ზუსტად, არაორაზროვნად და ლაკონურად გადმოეცა ის საკითხები, რომელთა მიმართებითაც საკმარისი კომპეტენცია გააჩნია.

□ *აკადემიური მიღწევები, პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა*

საკომიტეტო მოსმენამ, კერძოდ, კანდიდატის მიერ კითხვებზე პასუხის გაცემის პროცესმა, დატოვა შთაბეჭდილება, რომ მას საკმაოდ ინტენსიური პროფესიული წვრთნა აქვს გავლილი. დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის პროცესში იგი თავისუფლად იშველიებდა, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ასევე ისტორიული ანალიზის ფარგლებში დაასახელა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება საქმეზე, Marbury v. Madison. მოსმენის ფარგლებში გაცემული პასუხებიდან და გამოვლენილი უნარ-ჩვევებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ფართო სპექტრში აღიქვამს იურისპრუდენციაში არსებულ ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე საკითხებს.

ლალი ფაფიაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[28] 11 ხმით ერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს ლალი ფაფიაშვილი წარედგინა[29].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ლალი ფაფიაშვილს 2019 წლის 25 ოქტომბერს მოუსმინეს.

მოსამართლე30 ფაფიაშვილის მოსმენა 6 საათსა და 19 წუთს გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გამართული მოსმენის პროცესში კანდიდატის მიერ არაერთხელ გაესვა ხაზი ადამიანის თავისუფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მოსამართლე ფაფიაშვილის პასუხებიდან ნათლად ჩანდა, რომ მისი ეს პოზიცია არა მხოლოდ უბრალოდ იურიდიულ ლიტერატურაში ამოკითხულის გამეორება იყო, არამედ სიღრმისეული ფიქრის და მსჯელობის შედეგი.

კანდიდატი იზიარებს პრინციპს, რომ საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების გამო, პირი არ უნდა ისჯებოდეს. ამასთანავე, მოსამართლე ფაფიაშვილი არ იზიარებს, ამერიკელი იურისტის, რონალდ დვორკინის იმ პოზიციას, რომლის მიხედვითაც თავისუფლებასა და თანასწორობას შორის არსებულ წინააღმდეგობაში „თავისუფლება უნდა დამარცხდეს.“

კანდიდატის ღირებულებითი სისტემის შესახებ წარმოდგენის ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ჯონ სტიუარტ მილის ნაშრომის ირგვლივ განვითარებული მსჯელობა. აღნიშნულ საკითხზე საუბრიდან გამოიკვეთა, რომ კანდიდატისათვის მიუღებელია რა უმრავლესობის ტირანიაა, იცნობს ლიბერალური დემოკრატიის ძირითად საფუძველსა და მონაპოვარს, ზოგადად სხვა კანდიდატებთან შედარებით, ფლობს სიღრმისეულ ცოდნას აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით განხორციელებული 2016 წლის საკანონმდებლო ცვლილებები, ლალი ფაფიაშვილმა, დადებითად შეაფასა. მაშინ, როდესაც საკანონმდებლო ცვლილების დიდი ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლომ კანდიდატისვე მონაწილეობით, არაკონსტიტუციურად ცნო. კანდიდატმა საკუთარი პასუხის ამგვარი ფორმულირება იმით ახსნა, რომ რეგულაციები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ისედაც ძალადაკარგულად იქნა მიჩნეული და შესაბამისად, დღეისათვის არავითარი გავლენის მატარებელი აღარ არის. იმ პირობებში, როდესაც კითხვის ფორმულირებიდან და შინაარსიდან ნათლად იკითხებოდა მოტივაცია – კანდიდატს, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს, ესაუბრა ინსტიტუციის საქმიანობის დამაბრკოლებელ საკანონმდებლო ცვლილებებზე, კანდიდატის მიერ გაცემულ პასუხს ნეიტრალური დამკვირვებლის თვალში მის კეთილსინდისიერებასთან მიმართებით გარკვეული კითხვის ნიშნები შეიძლება გაეჩინა. კერძოდ, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატი მაქსიმალურად ცდილობდა თავი აერიდებინა მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ მიღებული გადაწყვეტილების (საკანონმდებლო ცვლილებები საკნოსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელ კანონმდებლობაში) კრიტიკისთვის.

28 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

29 წარდგინება ლალი ფაფიაშვილის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

30 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე 2007-2017 წლებში.

ლალი ფაფიაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

□ *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

მოქმედი, აქტიური პოლიტიკოსების სასამართლო ხელისუფლებაში გადასვლასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე, მოსამართლე ფაფიაშვილმა განაცხადა, რომ ასეთ დროს მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს იმაზე, თუ რამდენად ახერხებს აღნიშნული პირი *„მოსამართლის ტვირთის ადეკვატურად ზიდვას“,* ხომ არ მოყვება მას ყოფილი პოლიტიკური გუნდის ინტერესები. კანდიდატი თვლის, რომ *„თუკი ამისგან თავისუფალია [პირი], თუკი მას შეუძლია რომ მიიღოს აბსოლუტურად ობიექტური, გამართული გადაწყვეტილება, ამ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ პრობლემა დიდად არ უნდა იყოს. ანუ მე პროდუქტს უფრო შევაფასებდი ვიდრე იმ რისკებს, თუმცა მესმის ისიც რომ შეუვალობასთან დაკავშირებით და დავუშვათ აღქმადობასთან დაკავშირებით შეიძლება გარკვეული კითხვის ნიშნები ჩნდებოდეს.“*

კანდიდატის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის შესახებ ნეიტრალური დამკვირვებლის წარმოდგენაში შესაძლოა გარკვეული ბუნდოვანება გააჩინოს მის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებული, 2016 წლის, საკანონმდებლო ცვლილებების შეფასებამ. როგორც უკვე აღინიშნა, მოსამართლე ფაფიაშვილი იყო პლენუმის წევრი, რომელმაც ხსენებული ცვლილებების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიიჩნია სწორედ იმ მოტივით, რომ ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციის საწინააღმეგოდ ბოჭავდნენ.

□ *პიროვნული და პროფესიული ქცევა*

საკომიტეტო მოსმენის ფარგლებში კანდიდატი თავისუფლად საუბრობდა მის მიერ წარსულში მიღებული გადაწყვეტილების/დაფიქსირებული პოზიციის შესახებ, ახერხებდა აეხსნა ის ლოგიკა და მოტივაცია, რომლითაც ხელმძღვანელობდა ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის პროცესში. საკუთარი წარსული საქმიანობის შეფასებისაგან განსხვავებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რიგი წევრების საქმიანობაზე/ქცევაზე კანდიდატმა ზოგადად ისაუბრა და თავი შეიკავა ცალკეული პირების პერსონიფიცირებისაგან.

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა*

საქართველოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტში გამართული მოსმენის ფარგლებში გამოჩნდა, რომ კანდიდატი კარგად იცნობს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის, სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებზე (ასევე აღნიშნულ პრინციპებს შორის არსებულ განსხვავებებს) ჩამოყალიბებულ და ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას.

კანდიდატის შეფასებით, კონსტიტუციური ტერმინი „შეიწყალებს მსჯავრდებულებს“ არ შეიძლება განმარტებულ იქნას ისე ვრცლად, რომ მასში მოიაზრებოდეს პრეზიდენტის უფლებამოსილება შეიწყალოს, მათ შორის, ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირებიც. მოსამართლე ფაფიაშვილის განმარტებით, ადმინისტრაციული წესით თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა, ვერ უტოლდება სისხლის სამართლებრივი პატიმრობის ხარისხს.

□ *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია*

სახელმწიფოს მიერ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების ცნობა და დაცვა, კანდიდატის შეფასებით, სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას – იხელმძღვანელოს საერთაშორისო სამართლის დონეზე გარანტირებული უფლებებით, მაშინ როდესაც სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა არ იძლევა ამ უფლებათა პირდაპირ და უშუალო ჩანაწერს.

მოსმენისას მოსამართლე ფაფიაშვილმა განაცხადა, რომ უზენაესი სასამართლო უფლებამოსილია კონკრეტული დავის განხილვისას უარი თქვას კანონის გამოყენებაზე და საკითხი კონსტიტუციის შესაბამისად გადაწყვიტოს. თუმცა, მისი თქმით, ამას ერთჯერადი სახე ექნება და ვერ დააზღვევს იმის რისკს, რომ სხვა შემთხვევაში, სხვა მოსამართლეებმა,

ლალი ფაფიაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღონ იგივე შინაარსის დავაზე, შესაბამისად, უფრო გამართლებულად მიიჩნია, თუკი ასეთ დროს საერთო სასამართლოები წარდგინებით მიმართავენ საკონსტიტუციო სასამართლოს.

კანდიდატის აზრით, პირს არ უნდა ჰქონდეს უფლება მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ისეთ ნორმასთან დაკავშირებით, რომელმაც წარსულში მიაყენა ზიანი და უკვე ძალადაკარგულია. საკუთარი პოზიცია კანდიდატმა ამავე საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს არგუმენტით გაამყარა, რომლის მიხედვითაც, ამგვარი შესაძლებლობის არსებობამ შეიძლება სამართლებრივ წესრიგს შეუქმნას საფრთხე. თუმცა, იქვე დასძინა რომ წმინდა სამართლებრივი პერსპექტივიდან უფრო სწორია ამგვარი მექანიზმის არსებობა, თუმცა ასეთ შემთხვევაშიც, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა ამ უფლებით სარგებლობის ვადის განსაზღვრა. მოსამართლე ფაფიაშვილის მიერ გაცემული პასუხები დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს მის სამართლებრივ კომპეტენციასა და დასაბუთების უნარზე.

ზემოხესენებული მსჯელობებისაგან განსხვავებით, ნაკლებად დამაჯერებელი იყო კანდიდატის პასუხები გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორც არის: სახელმწიფო დროშის შებღალვისათვის დასჯადობის არსებობა, კერძო პირის მიერ საჯარო მოხელისათვის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის შესაძლებლობა. თუმცა კანდიდატმა ჩამოაყალიბა საჯარო პირისა და კერძო პირის ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის დადგომის წინაპირობებს შორის არსებული განსხვავება.

მოსამართლე ფაფიაშვილმა დამაჯერებლად, თანმიმდევრულად და სამართლებრივად გამართული არგუმენტებით ახსნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების გავლენა და როლი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის.

- *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი*

საკომიტეტო მოსმენის განმავლობაში კანდიდატი უმეტეს შემთხვევაში გასაგებად და ნათლად აყალიბებდა საკუთარ პოზიციას, ახერხებდა საკუთარი პოზიციის დასაბუთებას სამართლებრივი არგუმენტებით, მისი პასუხები შეესაბამებოდა დასმულ კითხვებს. მხოლოდ ერთეული შემთხვევები იყო ისეთი, როდესაც კანდიდატს სამართლებრივ საკითხზე არ გააჩნდა კონკრეტული პასუხი, რასაც აღიარებდა ან ცდილობდა სამართლებრივი ლოგიკიდან გამომდინარე პასუხის შემოთავაზებას.

აღიქმება, რომ კანდიდატს გააჩნია მიმღებლობა განსხვავებული აზრის მიმართ, ამავდროულად ახერხებს საკუთარი პოზიციის ნათლად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბებას. არ შედის დაძაბულ პოლემიკაში კითხვის ავტორებთან და ახერხებს საკუთარი ემოციების კონტროლს.

- *აკადემიური მიღწევები, პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა*

მისი ბიოგრაფიული მონაცემებიდან ირკვევა, რომ კანდიდატს გავლილი აქვს მომზადება ადამიანის უფლებათა დაცვის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების, ჰუმანიტარული სამართლის და საკანონმდებლო ტექნიკის საკითხებზე ევროპის და ამერიკის ინსტიტუტებში. გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[31] 11 ხმით ერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს ნინო ქადაგიძე წარედგინა[32].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ნინო ქადაგიძეს 2019 წლის 4 ნოემბერს მოუსმინეს.

მოსამართლე ქადაგიძის მოსმენა 5 საათსა და 47 წუთს გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

მოსამართლე ქადაგიძე იზიარებს პრინციპს, რომ პირი არ უნდა ისჯებოდეს საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების გამო, თუმცა არ გამორიცხავს მესამე პირის ჩარევის შესაძლებლობას.

ამ მოსაზრების შეფასებისას ჩნდება განცდა, რომ კანდიდატი იაზრებს ადამიანის თავისუფლების მნიშვნელობას თავისუფალ საზოგადოებაში, თუმცა საყურადღებოა მისი პასუხი აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე – საქმეზე Masterpiece Cakeshop v. Colorado Civil Rights Commission. კანდიდატმა განაცხადა, რომ მცხობელის მიერ LGBTQ+ თემის წარმომადგენლებისათვის სადღესასწაულო ტორტის გამოცხობაზე უარის თქმა, დისკრიმინაციული მოპყრობის მაგალითია და საერთოდ რთულია რაიმე ტიპის თავისუფლებაზე საუბარი. ეს უკანასკნელი მოსაზრება ეჭვქვეშ აყენებს კანდიდატიის მიერ პირადი თავისუფლების, ანუ თავისუფლების ნეგატიური გაგების სიღრმისეული ცოდნის და იდეის გააზრების საკითხს. მისი არგუმენტები არის კონტრავერსული და არათანმიმდევრული.

მოსამართლე ქადაგიძის განცხადებით, *„არჩევითი დემოკრატია და ლიბერალური დემოკრატია, აბსოლუტურად სხვადასხვა კატეგორიებია,“* კერძოდ, ლიბერალური დემოკრატია არის სახელმწიფოს მაქსიმალური შეზღუდვა ადამიანის უფლებებით.

საქართველოს შემთხვევაში, კანდიდატის შეფასებით, უფრო ლიბერალური დემოკრატიის მატარებელი სახელმწიფო ვართ კონსტიტუციაში არსებული ნორმებიდან გამომდინარე, თუმცა პრაქტიკაში რამდენად ხორციელდება ეს ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

მოსამართლე ქადაგიძის განცხადებით, 2018 წლის დეკემბერში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ნომინირება, განვითარებული მოვლენების ფონზე, დადებითად ვერ შეფასდება. კანდიდატი ფიქრობს, რომ ეს პროცედურები იყო კანონიერი ცალსახად, თუმცა იგი მიიჩნევს, რომ შემდგომ განვითარებული მოვლენები მისთვის იყო მტკივნეული და არ გამორიცხავს რომ უარი ეთქვა თავდაპირველი ფორმით მისი კანდიდატურის წარდგენაზე.

- *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

მოსამართლის მიერ პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობის შეფასებისას, კანდიდატმა მოიშველია ბანგალორის პრინციპებში არსებული საგამონაკლისო შემთხვევები, მათ შორის, ისეთი შემთხვევა, როდესაც საქმე ეხება მოსამართლის პატიოსნებას. თუმცა კონკრეტული კოლეგის მიერ განხორციელებული ქმედების – არასამთავრობო ორგანიზაციების (და არამხოლოდ) წარმომადგენელების კრიტიკის შემცველი საჯარო პოსტის გამოქვეყნების შეფასებისაგან თავი იგივე ეთიკის ნორმებიდან გამომდინარე

31 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

32 წარდგინება ნინო ქადაგიძის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

შეიკავა. ამგვარი ქცევა აჩენს განცდას, რომ კანდიდატი ჰიპოთეტურ საკითხებზე სხვაგვარად ფიქრობს, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებული პოსტი თავადაც ჰქონდა მოწონებული, შეფასებების გაკეთებას თავი აარიდა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის ამგვარი ქცევა კითხვის ნიშნებს აჩენს მის მიუკერძოებლობასა და სამართლიანობასთან დაკავშირებით.

შეკითხვაზე, 2012 წლამდე სასამართლო იყო თუ არა პოლიტიზირებული და არსებობდა თუ არა სასამართლო ხელისუფლებაზე ძლიერი პოლიტიკური ზეწოლა, კანდიდატმა განმარტა, რომ მასზე რაიმე სახის ზეწოლა არასდროს ყოფილა, თუმცა ის არ გამორიცხავს პოლიტიკურ წნეხს 2004-2012 წლებში სასამართლოს ხელისუფლების მიმართ.

მოსამართლე ქადაგიძე ადასტურებს, რომ უზენაეს და სააპელაციო სასამართლოში მუშაობის პერიოდში მას განსხვავებული აზრი არ დაუწერია.

კანდიდატის კომპეტენტურობა

□ *სამართლის ნორმების ცოდნა*

გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ სტანდარტზე საუბრისას, კანდიდატმა განმარტა, რომ „გარკვეული არათანხვედრა გვაქვს ევროპულ სტანდარტებთან მიმართებაში.“

მოსამართლე ქადაგიძეს ნაწილობრივ არასწორად ახსოვს საქართველოს კონსტიტუციისა და ევროპული კონვენციის ტექსტებს შორის არსებული განსხვავება – *„კონსტიტუციიდან, ის ორი პრინციპი, რომელიც ევროპულ კონვენციაში არის ჩადებული, ჯანმრთელობა და ღირსება, ეს პრინციპები არის ამოღებული.“*

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე საუბრისას, კანდიდატმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციაც და ევროპული კონვენციაც შეზღუდვის ორსაფეხურიან სისტემას ითვალისწინებს – *„ერთი საფეხური რომელიც ნებართვას იძლევა რა არის ნებადართული და მეორე საფეხური, რომელიც იძლევა შეზღუდვებს.“*

კანდიდატი მიიჩნევს რომ პირის უხამსად, შეურაცხმყოფლად მოხსენიების გამო, თუკი სახეზე არ არის ცილისწამების ნიშნები, სამოქალაქო პასუხისმგებლობა არ უნდა დადგეს.

კანდიდატის შეფასებით, იეჰოვას მოწმეებისათვის სამხედრო სამსახურის გავლის დავალდებულება, მათი რწმენის თავისუფლების დარღვევა უფრო იქნება, ვიდრე თანასწორობის უფლების დარღვევა.

კანდიდატის შეფასებით, „სამართლებრივად არასწორი მიდგომაა“ ქალისა და მამაკაცის საპენსიო ასაკს შორის სხვაობის არსებობა.

□ *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*

მოსამართლე ქადაგიძე მხარს უჭერს ინკვიზიციურობის პრინციპის სისხლის სამართლის პროცესში გარკვეული დოზით დაბრუნებას, რასაც ერთი მხრივ საკუთარი სამოსამართლო გამოცდილებითა და თავის დროზე მიღებული იურიდიული განათლებით, ხოლო მეორე მხრივ, პროცესის საჯარო სამართლებრივი ბუნებით ხსნის. კანდიდატის განმარტებით, *„არ შეიძლება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას უფრო მაღალი სტანდარტები ჰქონდეს ვიდრე სისხლს.“* სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლისათვის შეკითხვის დასმის უფლების არ ქონა, კანდიდატის შეფასებით, ართულებს საზოგადოებისათვის მისაღები შედეგის დადგომას.

კონსტიტუციონალიზმში სეკულარიზმის პრინციპის როლის შესახებ კანდიდატის თავდაპირველი პასუხი ზოგადი ხასიათის იყო და სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციებში „ღვთის ნების“ ფორმულირებას შეეხებოდა. შემდგომში, კითხვის კიდევ ერთხელ დაზუსტების შემდეგ, კანდიდატმა განაცხადა, რომ მთავარი არის ის რომ *რელიგია არ ჩაერიოს უფლებებში.* ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ჩნდებოდა განცდა, რომ კანდიდატს გაუჭირდა კითხვის შინაარსის ან/და ტერმინი სეკულარიზმის აღქმა, რაც ასევე გამოიხატა იმაში, რომ მისი პასუხები იყო ბუნდოვანი, გარკვეულწილად მოწყვეტილი კითხვის არსს და არათანმიმდევრული.

მოსამართლე ქადაგიძე მხარს უჭერს გამოხატვის თავისუფლების ამერიკულ მოდელს, მი-

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

იჩნევს, რომ სიძულვილის ენა არ უნდა იყოს კანონმდებლობით დასჯადი და ამვდროულად ზოგადად იცნობს ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, კანდიდატი ამართლებს დროშის, როგორც სახელმწიფოს სუვერენტიტეტის სიმბოლოს შეურაცხყოფისათვის სისხლისსამართლებივი დასჯადობის არსებობას, მაშინ როდესაც, იმავე ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული გადაწყვეტილება აქვს მიღებული.

ამ შემთხვევაშიც ნათლად ჩანს კანდიდატის კონტროვერსიულობა მის შინაგან განწყობებსა და საჯაროდ გაჟღერებულ პოზიციებს შორის, ასევე, ჩნდება განცდა, რომ კანდიდატი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც დღეს აქტუალურია საზოგადოებაში, აფიქსირებს საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვებისთვის მიმართულ პასუხებს, თუმცა, თუ საკითხი ეხება შინაარსობრივად იმავე თემას და კითხვა დასმულია არა პირდაპირ, არამედ სხვა ფორმით, კანდიდატს უჭირს ფუნდამენტური საკითხის იდენტიფიცირება და მისი პასუხები არის არათანმიმდევრული.

კანდიდატის შეფასებით, აბსოლუტურ უფლებებზე საუბრისას, იგულისხმება ის ბუნებითი უფლებები, რომელიც *„ადამიანმა მოიპოვა მხოლოდ იმიტომ რომ ადამიანად გაჩნდა,“* მათ შორის **„სიცოცხლის უფლება,** წამების აკრძალვა, კანონის უკუქცევის პრინციპი, ეს ძირითადი უფლებები.“

მოსამართლე ნინო ქადაგიძეს გაუჭირდა გაეხსენებინა მირანდას უფლებათა კატალოგის შინაარსი, ასევე, ამ უფლებათა წარმოშობის ისტორია.

- *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*

კანდიდატი არის გაწონასწორებული, მშვიდი და არ ახასიათებს აგრესია ან მიუღებლობა განსხვავებული აზრის მიმართ. თუმცა, რიგ შემთხვევებში მისი პასუხები არის ბუნდოვანი და იგრძნობა დამაჯერებლობის ნაკლებობა. გარკვეულ შემთხვევებში იგრძნობოდა, რომ იქ სადაც კანდიდატს ერთი შეხედვით არ აქვს სამართლის ფაქტობრივი ცოდნა, ჩნდება განცდა, რომ ის ცდილობს ზოგადი ცნებებით მანიპულირებას.

ლაშა ქოჩიაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[33] 10 ხმით ორის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს ლაშა ქოჩიაშვილი წარედგინა[34].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ლაშა ქოჩიაშვილს 2019 წლის 5 ნოემბერს მოუსმინეს.

მოსამართლე ქოჩიაშვილის მოსმენა 4 საათსა და 52 წუთს გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

მოსამართლე ქოჩიაშვილის ღირებულების შესახებ წარმოდგენის შექმნა შესაძლებელია მის მიერ მოსმენის დროს გაცემული შემდეგი პასუხებიდან:

კანდიდატი, სრულად იზიარებს პრინციპს, რომლის მიხედვითაც ადამიანი არ უნდა ისჯებოდეს საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების გამო.

მოსამართლე ქოჩიაშვილის შეფასებით, დღეის მდგომარეობით, საქართველოში დემოკრატიის მთავარ გამოწვევად უმცირესობათა უფლებების დაცვა შეიძლება ჩაითვალოს.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

ლიბერალური დემოკრატიისა და მის მახასიათებლების შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ, კანდიდატმა აღნიშნა, რომ მოსმენილი ჰქონდა სხვა კანდიდატის მოსმენების დროს აღნიშნული კითხვა და მოსმენამდე პასუხიც მოიძია. ამგვარი მიდგომა მის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისზე დადებითად მეტყველებს.

შეკითხვაზე, „რომელი მოსამართლეა მართლმსაჯულებისთვის უფრო საშიში, კეთილსინდისიერი თუმცა არაკომპეტენტური, თუ კომპეტენტური მაგრამ არაკეთილსინდისიერი?“ მოსამართლე ქოჩიაშვილი პასუხობს, რომ მოსამართლე უნდა იყოს კეთილსინდისიერი და კომპეტენტური, თუმცა თუ მაინც დადგება ამ ორიდან არჩევანის აუცილებლობა, მისი პოზიციით მთავარი კეთილსინდისიერება, ხოლო კომპეტენტურობას, განსხვავებით კეთილსინდისიერებისგან, მოსამართლე შეძლებს, რომ შეიძინოს საქმიანობის პროცესში.

- *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

ჰიპოთეტური კაზუსის – შეიძლება თუ არა პრეზიდენტს კანონით მიენიჭოს უფლებამოსილება ან დაეკისროს ვალდებულება ისეთ საკითხზე, რომელიც კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული, როგორც მისი უფლებამოსილება, პასუხად კანდიდატმა პირდაპირ და გადაჭრით უპასუხა, რომ ამგვარი რამ დაუშვებელია.

თუმცა, კონკრეტული შემთხვევის შეფასებისას – აქვს თუ არა პრეზიდენტს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ანა დოლიძის თანამდებობიდან გათავისუფლების უფლებამოსილება, მაშინ, როდესაც ასეთი უფლებამოსილება კონსტიტუციით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, მოსამართლე ქოჩიაშვილმა პოზიცია შეიცვალა და განაცხადა, რომ ცალსახა პასუხის თქმა გაუჭირდება.

კანდიდატის დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა ნეიტრალური დამკვირვებლის თვალში შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს პოზიციათა ამგვარი ცვლილების გამო. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შეფასებისას კანდიდატი არის მეტად ფრთხილი და ბუნდოვანი პასუხებით შემოიფარგლება.

33 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

34 წარდგინება ლაშა ქოჩიაშვილის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

ლაშა ქოჩიაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

მოსამართლე ქოჩიაშვილი განმარტავს, რომ მისი სასამართლოში საქმიანობის პერიოდში მის მიმართ რაიმე სახის ზეწოლა არ ყოფილა და არც სხვას უთქვამს მისთვის ასეთი ზეწოლის თაობაზე.

□ *პიროვნული და პროფესიული ქცევა*

მოსმენის პროცესში, კანდიდატი რიგ შემთხვევებში ვერ ახერხებდა ემოციების გაკონტროლებას, რაც აისახებოდა როგორც კანდიდატის ტონზე, ასევე ზოგადად არასასიამოვნო კითხვის ავტორის მიმართ გამოვლენილ დამოკიდებულებაზე. ასევე ერიდებოდა ისეთ საკითხებზე მსჯელობას, რომელიც მისი კოლეგის ქცევას შეეხებოდა, რასაც კოლეგიალურობის მოტივით ხსნიდა. ხოლო საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ განხილული დავების მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემისაგან იმ მოტივით იკავებდა თავს, რომ გასაუბრების პროცესში მის მიერ დაფიქსირებული პოზიცია, შესაძლოა მომავალში მისი აცილების საფუძველი გამხდარიყო. საკითხებისადმი ასეთი მიდგომა, შესაძლოა გადამეტებულ სიფრთხილედ და უფრო მეტად კითხვებზე თავის არიდების ფორმად იქნეს მიჩნეული დამოუკიდებელ დამკვირვებლისთვის, ვიდრე ეთიკური ნორმების დაცვის არგუმენტი.

□ *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია*

მოსამართლე ქოჩაშვილის მიერ ისეთ საკითხებზე პასუხის გაცემისაგან თავის არიდების მცდელობამ/წინააღმდეგობრივი პასუხების გაცემამ, რომელიც უშუალო შემხებლობაშია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებთან, ნეიტრალურ დამკვირვებელში შესაძლოა გააჩინოს განცდა, რომ კანდიდატისათვის პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციაზე მაღლა შესაძლოა კონკრეტული ჯგუფის ინტერესები დადგეს.

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა*

საკომიტეტო მოსმენის ფონზე, შესაძლოა შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ კანდიდატმა კარგად იცოდა სამართლის იმ დარგის ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა, სადაც ის საქმიანობს – სამოქალაქო სამართლის მიმართულება. თუმცა, დამაჯერებლობა აკლდა კანდიდატის პასუხებს ფუნდამენტურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

მოსამართლე ქოჩიაშვილის პასუხი სწორი, თუმცა არა დამაჯერებელი იყო კითხვაზე, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფო დაწესებულების მხრიდან კერძო პირის წინააღმდეგ პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის დაცვის მოტივით, სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის შემთხვევას.

კანდიდატმა ვერ გაიხსენა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთრების უფლების შეზღუდვის შემოწმების ტესტი.

□ *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია*

სოციალური სახელმწიფოს პრინციპისა და მისი ბუნების განმარტებისას, კანდიდატის პასუხი იყო ბუნდოვანი და არ პასუხობდა დასმული შეკითხვის არსს. ანალოგიურად, არადამაჯერებელი იყო პასუხი უშუალო დემოკრატიის ფორმების შესახებ დასმულ შეკითხვაზე.

კანდიდატის შეფასებით, არ არსებობს იდეა, რომლის კრიტიკა/შეურაცხყოფაც არ შეიძლება, მეტიც, მიიჩნევს რომ სახელმწიფო დროშის მიმართ ამგვარი ქმედების განხორციელება გამოხატვის თავისუფლებას წარმოადგენს. პასუხის ჩამოყალიბებისას კანდიდატმა ახსენა ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ანალოგიურ საქმეზე.

ლაშა ქოჩიაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

□ *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი*

კანდიდატი იმ საკითხებზე, რომლის შესახებაც ფლობდა ინფორმაციას, გამართულად, ნათლად აყალიბებდა პასუხებს. მაგრამ ისეთ შემთხვევებში, როდესაც კითხვა შეეხებოდა მისთვის უცნობ სამართლებრივ საკითხებს, ან გარკვეული მიზეზების გამო თავს იკავებდა პასუხის გაცემისაგან, პასუხები იყო ნაკლებად დამაჯერებელი და ბუნდოვანი.

□ *პროფესიული თვისებები*

მოსამართლე ქოჩიაშვილი განსხვავებული და კრიტიკული აზრის მიმართ, რომელიც უშუალოდ მის საქმიანობას შეეხება არ გამოირჩევა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატისათვის შესაფერისი მიმღებლობით. ისეთ მომენტებში, როდესაც კანდიდატს ზედიზედ უწევდა პასუხების გაცემა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, მის ტონში იგრძნობოდა აგრესია.

ქეთევან ცინცაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[35] 10 ხმით 2-ის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს ქეთევან ცინცაძე წარედგინა[36].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ქეთევან ცინცაძეს 2019 წლის 6 ნოემბერს მოუსმინეს.

კანდიდატ ქეთევან ცინცაძის მოსმენა 4 საათი და 43 წუთი გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

ქეთევან ცინცაძე, იზიარებს პრინციპს, რომლის მიხედვითაც ადამიანი არ შეიძლება დაისაჯოს საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების გამო.

ქეთევან ცინცაძეს აზრით, ქართული დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევებია პოლიტიკური პლურალიზმის არ არსებობა, უმცირესობებისა და ზოგადად თანასწორობის უფლებების დაცვა და რეალიზება.

კითხვაზე, უმკლავდება თუ არა სასამართლო ხელისუფლება დემოკრატიის ამ გამოწვევებს, კანდიდატმა უპასუხა, რომ სასამართლო ეტაპობრივად ვითარდება და გამოწვევებთან გამკლავებაც შესაბამისად დინამიურ პროცესში უნდა განიხილებოდეს. იმის დასატასტურებლად, რომ გარკვეული პრობლემები არსებობს ამ კუთხით, მათ შორის სასამართლო ხელისუფლებაში, კანდიდატმა დამატებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზეც მიუთითა, სადაც სასამართლომ სახელმწიფოს მხრიდან დარღვევების არსებობა დადგინა. კანდიდატის ასეთი მიდგომა, ერთი მხრივ გულწრფელობის გამოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა, მეორე მხრივ კანდიდატის ქცევა ტოვებდა განცდას, რომ გარკვეულწილად ის ცდილობდა რეალურზე უფრო პოზიტიურად წარმოეჩინა სასამართლოს მდგომარეობა დემოკრატიის გამოწვევებთან ბრძოლის პროცესში.

კანდიდატი ასევე მიიჩნევს, რომ აზრი სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით და გამოხატვა ვერ იქნება მიჩნეული უხამსობად იმ შემთხვევაშიც, თუკი იგი არეთიკურია, თუმცა გააჩნია ღირებულებითი დატვირთვა. მისი აზრით ინფორმაციის საჯაროობა დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს.

ამ ღირებულებით საკითხებზე კანდიდატის მიერ დაფიქსირებული პოზიციები, გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ის იზიარებს ლიბერალურ-დემოკრატიულ ფასეულობებს. კერძოდ, ის იზიარებს ადამიანის პიროვნული თავისუფლების დიდ მნიშვნელობას, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, პლურალიზმისა და თანასწორობის იდეებს.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გამართული მოსმენისას კანდიდატს ჰკითხეს – შეიძლება თუ არა ინტერესთა კონფლიქტს ჰქონდეს ადგილი პროკურატურის კონკურსში მონაწილე გამომძიებელსა და კონკურსის შესარჩევ კომისიის წევრ პროკურორს შორის, თუ გამომძიებელი ამ პროკურორის წინააღმდეგ შეტანილ საჩივარზე აწარმოებს გამოძიებას და ეს ფაქტი ცნობილია ორივე მხარისთვის. ხსენებულ კითხვაზე კანდიდატმა განაცხადა, რომ დიახ, შესაძლოა ამ შემთხვევაში საუბარი იყოს ინტერესთა კონფლიქტზე და კომისიის წევრის აცილების საკითხზე.

35 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

36 წარდგინება ქეთევან ინცაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

ქეთევან ცინცაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

„მე რომ ვიყო გამომძიებელი შესაძლოა მეფიქრა აცილების დაყენების საკითხზე“ – ამბობს კანდიდატი.

ხსენებული კითხვა განსაკუთრებით საყურადღებოა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორი ცინცაძე აწარმოებს მოკვლევას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი მოსამართლე წევრის – დიმიტრი გვრიტიშვილისა და სერგო მეთოფიშვილის წინააღმდეგ შეტა_ნილ განცხადებებზე. აღნიშნულ საკითხზე კანდიდატს საკომიტეტო მოსმენის დროსაც ჰკითხეს, თუ რატომ არ დააყენა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზემოხსენებული წევრების აცილების საკითხი. პასუხად, კანდიდატმა განაცხადა, რომ ეს განსხვავებული შემთხვევაა და არა ის მოცემულობა, რაც ჰიპოთეტურ კაზუსში დაუსახელა კითხვის ავტორმა. თუმცა, რატომ არის ეს კონკრეტული შემთხვევა განსხვავებული – კანდიდატის პასუხი იყო ბუნდოვანი და ტოვებდა არაგულწრფელობის შთაბეჭდილებას.

კანდიდატის ასეთმა მიდგომამ და პოზიციის რადიკალურმა ცვლილებამ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე მის პირად გამოცდილებას ეხება, ნეიტრალურ დამკვირვებელში კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისთან დაკავშირებით შესაძლოა კითხვის ნიშნები გააჩინოს.

ქეთევან ცინცაძე მიიჩნევს, რომ 2006 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოდან 4 მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება დისციპლინური გადაცდომა – კანონის უხეში დარღვევისთვის იყო კანონიერი, თუმცა უსამართლო.

□ *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

დამოუკიდებელი ინსპექტორი ქეთევან ცინცაძე, ვერ იხსენებს მიხეილ ჩინჩალაძის უარყოფით თვისებებს, თუმცა დადებით თვისებად მიიჩნევს, რომ მას მოსმენისა და აზრის გაზიარების უნარი აქვს.

საკომიტეტო მოსმენის დროს, ერთმანეთის მსგავსი რეალური და ჰიპოთეტური შემთხვევების შეფასებისას განსხვავებული პოზიციების დაფიქსირებას ჰქონდა ადგილი კანდიდატის მხრიდან კიდევ ერთ შემთხვევაში. კერძოდ, კანდიდატმა ჰიპოთეტურ საკითხზე, შეიძლება თუ არა, მოსამართლის მიერ საჯაროდ დაფიქსირებული სამართლებრივი შეფასება შემდგომ გახდეს მისი აცილების საფუძველი, უპასუხა, რომ კი თუ ეს შეფასება გაკეთებული არ არის აკადემიური საქმიანობის ფარგლებში. შემდგომ კითხვაზე, უნდა გახდეს თუ არა, მთლიანი სასამართლო ერთეულის აცილების საფუძველი, სასამართლოს სახელით წინასწარ გამოთქმული პოზიცია საქმეზე, რომელსაც შემდგომში ეს სასამართლო განიხილავს, ხოლო მოსარჩელე, ამავე სასამართლოს მოსამართლეა, კანდიდატის შეფასება აღარ ყოფილა ისეთი კატეგორიული და ცალსახა, როგორც ჰიპოთეტური კაზუსის შემთხვევაში. მან უბრალოდ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში ყველა საკითხი გულდასმით უნდა შეფასდეს. ამასთან, რადგან ეს საქმე (ვლადიმერ კაკაბაძე ფადი ასლის წინააღმდეგ) კანდიდატის მოსაზრებით ეხებოდა ფადი ასლის მხრიდან სასამართლოზე თავდასხმას, ხოლო სასამართლოს განცხადებას ამ თავდასხმის მოგერიების მიზანი შეიძლებოდა ჰქონოდა, კანდიდატმა მიიჩნია, რომ ეს არ იყო სასამართლოს მხრიდან განსახილველი საქმის შესახებ წინასწარ აზრის გამოთქმა. საკუთარი პოზიციის გასამყარებლად კანდიდატის მიერ განვითარებულ მსჯელობას ბუნდოვანებისა და გულწრფელობის ნაკლებობის შთაბეჭდილება შეიძლება დარჩენოდა დამოუკიდებელ დამკვირვებელს.

გაცემული პასუხების ფონზე, ჩნდებოდა განცდა, რომ კანდიდატს უჭირდა სასამართლო ხელისუფლების მიმართ ჯანსაღი კრიტიკის დაფიქსირება.

□ *პიროვნული და პროფესიული ქცევა*

საკომიტეტო მოსმენის საფუძველზე, ნეიტრალურ დამკვირვებელში შეიძლება გაჩნდეს იმის განცდა, რომ კანდიდატს პოზიციის არამდგრადობა ახასიათებს. მაგალითად კითხვაზე შეურაცხყოფა, თუ ის არ შეიცავს მცდარ ფაქტს, შეიძლება გახდეს თუ არა პატივისა და ღირსების დაცვის დავის საგანი სამოქალაქო

ქეთევან ცინცაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

წესით, კანდიდატმა დადებითი პასუხი გასცა თუმცა, კითხვის ავტორის მხრიდან კითხვის დაკონკრეტების შემდეგ, კანდიდატმა შეცვალა პოზიცია და განაცხადა, რომ ასეთი დავა ნაკლებად პერსპექტიულია „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონის არსებობის პირობებში. ეს შემთხვევა აჩენს განცდას, რომ კანდიდატს აკლია თავდაჯერებულობა, რაც შეიძლება ნაკლები გამოცდილებითაც აიხსნას.

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა*

კანდიდატის პასუხი უხამსობის დეფინიციასთან დაკავშირებით იყო ზოგადი და არ იმეორებდა კანონის შინაარს. ბუნდოვანი იყო ასევე, მისი პასუხი უხამსობის შეზღუდვასთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, კანდიდატს მიაჩნდა, რომ ზოგადად პოლიტიკოსის უხამსად მოხსენიება არ უნდა შეიზღუდოს, ხოლო კითხვის დაკონკრეტების შემთხვევაში განმარტავდა, რომ ასეთი უხამსობა არ შეიძლება შეღუდულიყო თუ მას რამე შინაარსი/ღირებულება გააჩნდა.

საინტერესოა კანდიდატის დამოკიდებულება სოციალურ ქსელში სახელმწიფო უწყებების მხრიდან მომხმარებელთა დაბლოკვასთან დაკავშირებით. კანდიდატის შეფასებით, ეს შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

კანდიდატმა ამომწურავად ჩამოთავალა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლები.

□ *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია*

კითხვაზე, საქართველოს პარლამენტს აქვს თუ არა უფლება კანონის საფუძველზე მიანიჭოს პრეზიდენტს ისეთი კომპეტენცია, რომელიც მას კონსტიტუციით არ აქვს დადგენილი, კანდიდატმა *განაცხადა, რომ ახსენდებოდა, „პრეზიდენტის უფლებამოსილებასთან მიმართებაში არის ჩანაწერი, რომელიც ამბობს, რომ „... და კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.“* ცალკე აღებული კონსტიტუციის ტექსტის არ ცოდნა ან არასწორად დამახსოვრება არ შეიძლება ჩაითვალოს პრობლემად. თუმცა კონსტიტუციის შესაბამისი ჩანაწერის შეხსენების შემდეგ, კითხვაზე, კანონმდებელს აქვს თუ არა უფლება პრეზიდენტს გარკვეული უფლებამოსილება ან ვალდებულება დააკისროს კანონის საფუძველზე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა, განაცხადა, რომ *„თუ ეს ემსახურება კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების უფრო ეფექტურად განხორციელების მიზანს, ე.ი ძირითადი მიზნიდან გამომდინარეობს და ემსახურება უფრო რეგულაციას, ეს ბუნებრივია, ვფიქრობ, რომ აბსოლუტურად მისაღებია.“*

აღნიშნული პასუხის ჩამოყალიბების შემდგომ უკვე შეწყალების უფლებამოსილების კანონით რეგულირებასთან დაკავშირებით კანდიდატმა მიუთითა, რომ ეს შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც ანტიკონსტიტუციური ქმედება და ხელისუფლების ერთი შტოს ჩარევა ხელისუფლების სხვა შტოს საქმიანობაში.

ამ კითხვებზე პასუხების დაფიქსირებისას შესაძლოა ნეიტრალურ დამკვირვებელს გასჩენოდა განცდა, რომ კანდიდატს არ ჰყოფნის სამართლის ფაქტობრივი ცოდნა და კომპეტენცია პოზიციის დასაფიქსირებლად. არის მერყევი და ხშირად ცვლის მოსაზრებას კითხვის ავტორის მხრიდან კითხვისთვის მიმართულების მიცემის შესაბამისად.

ასევე არათანმიმდევრული და სამართლებრივად არასაკმარისად მყარი იყო კანდიდატის არგუმენტირება პრეზიდენტის მიერ იუსტიციის საბჭოს წევრის გათავისუფლების უფლებამოსილებასთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც პრეზიდენტი ნიშნავს იუსტიციის საბჭოს წევრს, თუმცა მას მისი გათავისუფლების უფლებამოსილება კონსტიტუციით პირდაპირ მინიჭებული არ აქვს. კანდიდატს მიაჩნია, რომ ეს არის საკანონმდებლო ხარვეზი, იმ ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, რომ დანიშვნასა და გათავისუფლებაზე გადაწყვეტილების მიმღები ერთი და იგივე პირია. თუმცა კითხვაზე, რატომ იყო ეს ხარვეზი, როდესაც საკონსტიტუციო სასა-

ქეთევან ცინცაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

მართლოს მოსამართლესთან მიმართებით იგივე მიდგომა მოქმედებს პარლამენტის მიმართ, კანდიდატს პასუხი არ ჰქონდა.

კანდიდატს მცდარი შეხედულება აქვს და მიაჩნია, რომ პრეზიდენტის ინდივიდუალური აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის გადაწყვეტა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

- *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი*

საკომიტეტო მოსმენის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი ადეკვატურად აღიქვამს დასმული კითხვის არსს, ცდილობს იყოს გულახდილი, უშუალო და ამომწურავად გასცეს ყოველ კითხვას პასუხი. თუმცა, მთელ რიგ პასუხებში გამოვლენილი ხარვეზებისა და უზუსტობების ფონზე, რჩება შთაბეჭდილება, რომ გარკვეულ ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით მისი ცოდნის, კომპეტენციის და გამოცდილების დონე, არ აძლევს საშუალებას ჰქონდეს უფრო არგუმენტირებული და დასაბუთებული პასუხები. როგორც უკვე აღინიშნა, მოსმენის პროცესში იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კითხვის ავტორის მიერ აქცენტების ცვლილების შესაბამისად, კანდიდატი ცვლიდა საკუთარ პასუხებს.

- *პროფესიული თვისებები;*

კითხვაზე, *„არსებობენ თუ არა მოსამართლეები, რომლებთანაც განსაკუთრებულ იდეურ სიახლოვეს გრძნობთ თქვენი შეხედულებებიდან გამომდინარე“* კანდიდატმა განაცხადა, რომ ბევრი ასეთი მოსამართლე არსებობს, თუმცა მათ შორის ამერიკის უზენაესი სასამართლოს **მოსამართლე გინსბურგს** გამოჰყოფდა, მისი ლიბერალური ღირებულებების გამო.

- *აკადემიური მიღწევები, პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა.*

კანდიდატის მიერ ადამიანის უფლებებისა და კონსტიტუციური სამართლის დარგში არსებული ისეთი ძირეული საკითხების, როგორებიცაა საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერება, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, გამოხატვის თავისუფლების დაცვის კატეგორიები და ა.შ. აქტიური ხსენება და პასუხის გაცემისას სათანადოდ გამოყენების მცდელობა დადებითად შეიძლება შეფასდეს მისი პროფესიული წვრთნის მიმართულებით. ამავე მიმართლებით, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი რამდენიმე ინგლისურენოვანი სტატიის ავტორია.

ალექსანდრე წულაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[37] 10 ხმით ორის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს ალექსანდრე წულაძე წარედგინა[38].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ალექსანდრე წულაძეს 2019 წლის 7 ნოემბერს მოუსმინეს.

კანდიდატ წულაძის მოსმენა 4 საათსა და 43 წუთს გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში, კანდიდატ ალექსანდრე წულაძესთან გამართული გასაუბრების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ იგი სრულად იზიარებს პრინციპს, რომლის მიხედვითაც ადამიანი საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების გამო არ უნდა ისჯებოდეს. კანდიდატი ასევე სრულად იზიარებს ვაჟა-ფშაველას მოსაზრებას ადამიანის თავისუფლებასა და საზოგადოების მხრიდან ამ თავისუფლებაში ჩარევის უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით.

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

□ *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

ალექსანდრე წულაძეს, საქართველოს სასამართლოს სისტემის არსებული გადატვირთულობის ფონზე, თეორიულად შესაძლებლად მიაჩნია სარჩელის მიღებიდან 10 დღის ვადაში, სარჩელის დასაშვებობის შეფასება, არსებითად განხილვა, გადაწყვეტილების მიღება და მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება. ბატონი ალექსანდრე ასეთი რეალურობის არგუმენტად მოსამართლის შესაძლო სწრაფი კითხვის უნარის ქონას ასახელებს.

□ *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

სასამართლო სისტემის განვითარების შეფასებისას, კანდიდატმა საჯარო სერვისების სათანადო განვითარების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, რაშიც პროგრამული და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური თვალსაზრისით უზრუნველყოფა მოიაზრა.

სასამართლო სისტემაში არსებული გამოწვევების ფონზე, მხოლოდ საჯარო სერვისების სათანადო პროგრამულ განვითარებაზე აპელირება აჩენს განცდას, რომ კანდიდატი ან ვერ აანალიზებს სასამართლოში არსებულ პრობლემებს, ან აანალიზებს, თუმცა ნაკლებ მნიშვნელოვანი არგუმენტებით ცდილობს მათ გადაფარვას.

კანდიდატი მოქმედი მოსამართლეებისა და მათი ქცევის შეფასებისგან თავის შეკავებას ამჯობინებდა. ეს მიდგომა საყურადღებოა იმ კუთხით, რომ ალექსანდრე წულაძე არ არის მოქმედი მოსამართლე და მას მოსამართლეთა საჯარო ქცევის შეფასებისგან თავის შეკავების რაიმე სახის ვალდებულებას ეთიკის ნორმები არ უდგენდა. შესაბამისად, გაუგებარი და გარკვეული კითხვის ნიშნების მატარებელია მისი მოზომილი კომენტარები და თავშეკავებული ქცევა.

□ *პიროვნული და პროფესიული ქცევა*

კანდიდატის შეფასებით, მოსამართლის მიერ სამართლებრივ საკითხზე სხვადასხვა ფორმით წინასწარ გამოთქმული მოსაზრების გამო მისი აცილების საკითხის დაყენება მცდარია. ბატონი წულაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს მსგავს, განვითარებადი სამართლის მქონე ქვეყნებში, მოსამართლეები ხშირად იცვლიან შეხედულებებს. მიუხედავად, ამისა, კანდიდატი მაინც ფიქრობს, რომ *„მართლმსაჯულების ნდობისთვის და მისი მიუკერძოებლობისთვის აჯობებს მოსამართლემ თვითაცილება განახორციელოს ასეთ*

37 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

38 წარდგინება ალექსანდრე წულაძე კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

ალექსანდრე წულაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

შემთხვევაში.“ კანდიდატის მიერ ერთი კითხვის ფარგლებში მსგავსი წინააღმდეგობრივი პასუხის გაცემა პროფესიული ქცევის თვალსაზრისით ნეიტრალური დამკვირვებლის მიერ შესაძლოა დადებითად არ იქნეს შეფასებული.

□ *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია*

მოსამართლის მიერ ადვოკატთან ერთად იმ საქმის საჯაროდ განხილვასთან დაკავშირებით, რომელშიც ხსენებული ადვოკატი ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა, კანდიდატმა განმარტა, რომ თუკი სასამართლო ხელისუფლება ვერ მოახერხებს კონკრეტული მოსამართლის დაცვას ან განმარტების გაკეთებას იმის შესახებ, თუ რატომ მივიდა სასამართლო სადავოდ გამხდარ დასკვნამდე, ანგარიშვალდებულად იგრძნობს თავს – გააკეთოს საჯარო განმარტება.

ამ შემთხვევაშიც იგრძნობა, რომ კანდიდატის თავშეკავება – შეაფასოს ჰიპოთეტური შემთხვევის სამართლებრივი მხარე – გარკვეული სიფრთხილითა და კონკრტულ პირთა მიმართ შესაძლო ლოიალობით არის განპირობებული.

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა*

კანდიდატი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო დაწესებულებას შეიძლება მიეცეს უფლება – სასამართლო წესით იდავოს კერძო პირის წინააღმდეგ, საქმიანი რეპუტაციის დაცვის მოტივით. თუმცა, კანდიდატმა იქვე აღნიშნა, რომ ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლის პოვნა გაჭირდება.

კანდიდატი სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით (სასამართლოს უპატივცემულობა) დაცულ ლეგიტიმურ მიზნად სასამართლოს ავტორიტეტს მოიაზრებს. კანდიდატის მოსაზრებით, დანაშაულად არ უნდა ითვლებოდეს ისეთი გამოხატვა, რომელიც მართალია შეიძლება შეურაცხყოფს სასამართლოს, მაგრამ ადრესატის პირისპირ არ განხორციელებულა.

□ *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია*

კანდიდატის შეფასებით, იმისაგან დამოუკიდებლად ცალკეული უფლებები და თავისუფლებები, არის თუ არა კანონმდებლობით განსაზღვრული, საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები მაინც პირდაპირ მოქმედებს, მსგავსად სამართლის სხვა ფორმალური წყაროებისა. საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებს კანდიდატი მიაკუთვნებს იმ უფლებებს, რომლებსაც სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ტექსტში ვხვდებით.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის ასაკობრივი ცენზის ზედა ზღვარის დაწესების შესაძლო ლეგიტიმურ მიზნად კანდიდატმა წულაძემ მართლმსაჯულების ხარისხი დაასახელა, თუმცა იქვე დაამატა, რომ თავად ამ შესაძლო ლეგიტიმურ მიზანს არ ეთანხმება და უკეთესი იქნებოდა, თუკი სხვა უფრო ობიექტური კრიტერიუმები იარსებებდა ამ კუთხით, ვიდრე მხოლოდ ასაკობრივი ცენზი.

□ *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი*

საკომიტეტო მოსმენის განმავლობაში კანდიდატი წულაძე ინარჩუნებდა სიმშვიდეს, ახერხებდა გაწონასწორებულად ეპასუხა დასმული კითხვებისათვის, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში იქმნებოდა შთბეჭდილება, რომ ის მიმართავდა კითხვისათვის თავის არიდების ხერხებს. კანდიდატი იმ შეკითხვებთან დაკავშირებით, რომელზეც შესაძლოა პასუხი არ ქონოდა, ცდილობდა ეპასუხა ლოგიკაზე დაყრდნობით, თუმცა ამის შესახებ პასუხის გაცემისას თავადვე მიანიშნებდა კითხვის ავტორს.

□ *პროფესიული თვისებები*

კომპეტენტურობისაგან განსხვავებით, ნეიტრალური დამკვირვებლისათვის შესაძლოა შედარებით ბუნდოვანი იყოს კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხი. ზოგადად, სასამართლო ხელისუფლების ან კონკრეტული მოსამართლეების ქცევის შეფასებისას კანდიდატის გამოვლენილმა თვითშეზღუდვამ, ნეიტრალური დამკვირვებლისათვის მისი დამოუკიდებლობის ხარისხზე უარყოფითი შთაბეჭდილება შეიძლება დატოვოს, თუმცა ეს შესაძლოა განპირობებული

ალექსანდრე წულაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

ყოფილიყო კანდიდატის მიერ საკუთარი როლის განსხვავებული აღქმით.

- *აკადემიური მიღწევები, პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა.*

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მონაწილე პირებს შორის, კანდიდატი ერთ-ერთი გამორჩეულია მის მიერ შესრულებული აკადემიური ნაშრომების რაოდენობით.

კანდიდატი ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას, ასევე, აქტიურად მონაწილეობს დავების ალტერნატიული წესით განხილვებში და მთლიანად აღნიშნული ინსტიტუტის პოპულარიზაციაში.

გოჩა ჯეირანაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

2019 წლის 4 სექტემბერს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/187 გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად,[39] 11 ხმით ერთის წინააღმდეგ, საქართველოს პარლამენტს გოჩა ჯეირანაშვილი წარედგინა[40].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე გოჩა ჯეირანაშვილს 2019 წლის 8 ნოემბერს მოუსმინეს.

მოსამართლე ჯეირანაშვილის მოსმენა 5 საათსა და 13 წუთს გაგრძელდა.

მოსაზრებები კანდიდატის ღირებულებების შესახებ

კანდიდატ გოჩა ჯეირანაშვილის ღირებულებების შესახებ გარკვეული შთაბეჭდილების შექმნა შესაძლებელი გახდა მის მიერ საკომიტეტო მოსმენაზე ქვემოთ ჩამოვლილ საკითხებთან დაკავშირებით დაფიქსირებული პასუხების შეფასებისას.

მოსამართლე ჯეირანაშვილი აბსოლუტურად იზიარებს პრინციპს, რომლის მიხედვითაც, პირი არ შეიძლება დაისაჯოს საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების გამო.

მისივე აზრით, სამართლიანობა არის შინაგანი აღქმა, რომელიც ეფუძნება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, პატივსა და ღირსებას.

კანდიდატის შეფასებით, კერძო და საჯარო სექტორის მხრიდან სასამართლო ხელისუფლებსადმი მიმართული კრიტიკის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ის არის, რომ იგი არ არის საკმარისად ღია და გამჭვირვალე საზოგადოებისთვის.

მოსამართლე ჯეირანაშვილი მიიჩნევს, რომ *„გამოხატვის თავისუფლება ადამიანის და დემოკრატიული საზოგადოებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ძირითადი უფლებაა, რომლის გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული განვითარების არანაირი პერსპექტივა. მისი შეზღუდვა, ზოგადად, ძალიან იშვიათ შემთხვევაში უნდა მოხდეს.“*

კანდიდატის კეთილსინდისიერების შეფასება

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი*

კანდიდატის განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან სასამართლო ხელისუფლების კრიტიკის მიზანი სასამართლო სისტემის გაუმჯობესებაა. აღნიშნულის პარალელურად, მოსამართლე ჯერიანაშვილმა დაადასტურა, რომ ღიად არასოდეს შეწინააღმდეგებია საკუთარ კოლეგებს, როდესაც ისინი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ნეგატიურ პოზიციას აფიქსირებდნენ.

ნეიტრალური დამკვირვებლისათვის კანდიდატის მიერ გაცემული ეს პასუხი შესაძლოა გულწრფელობის ნაკლებობის ნიშანი იყოს, კანდიდატს თითქოს არ ჰყოფნის გამბედაობა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით დაიკავოს პრინციპული პოზიცია და გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით თავი შეიკავოს იმის გაკეთებისაგან, რისიც შინაგანად სწამს. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისზე შესაძლოა დადებითად არ მეტყველებდეს.

მოსამართლე ჯეირანაშვილი აცხადებს, რომ მას მოსამართლეთა კონფერენციის ფარგლებში, საჯაროდ, არასდროს დაუფიქსირებია განსხვავებული აზრი რაიმე საკითხზე.

- *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა*

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში გამართული მოსმენის ფარგლებში, კანდიდატმა განაცხადა, რომ 2012 წლამდე პერიოდში იგი სრულიად და-

39 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ არჩილ თალაკვაძეს. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/229923? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019.

40 წარდგინება გოჩა ჯეირანაშვილის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ელექტრონულად ხელმისაწვდომია https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/233926? უკანასკნელად შემოწმებულია 03.12.2019

გოჩა ჯეირანაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი

მოუკიდებელი იყო და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავი შეიკავა შეფასებითი მსჯელობების განვითარებისგან. კანდიდატის განმარტებით, იმ დროს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ აძლევდა უზენაეს სასამართლოს შესაძლებლობას, გირგვლიანის საქმე სააპელაციო სასამართლოსთვის დაებრუნებინა.

კანდიდატის კომპეტენტურობის შეფასება

□ *სამართლის ნორმების ცოდნა*

მოსმენის პროცესში კანდიდატმა ერთმანეთისაგან ვერ გამიჯნა აბსოლუტური უფლებები და ისეთი უფლებები, რომელთაგანაც გადახვევა არ შეიძლება. მისი განცხადებით, აქამდე ამ კუთხით არ უფიქრია. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი ადამიანის უფლებათა სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია.

□ *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია*

მოსამართლე ჯეირანაშვილის განცხადებით, იმ შემთხვევაში თუკი საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების რომელიმე ნორმა წინააღმდეგობაში მოვა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან, იგი საკითხს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სასარგებლოდ გადაწყვეტდა.

მოსმენის პროცესში კანდიდატმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი პირს აღმოაჩნდებოდა პირადი მოხმარების მიზნისთვის არასაკმარისი ნარკოტიკული საშუალება, რომელზე ნაკლები დოზის ფლობის გამოც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასჯადობა აქვს გაუქმებული, იგი წარდგინებით მიმართავდა საკონსტიტუციო სასამართლოს. მართალია ხსენებულ პასუხში არსებითი სამართლებრივი ხარვეზი არ იკვეთება, თუმცა შესაძლოა ნეიტრალურ დამკვირვებელს გაუჩნდეს განცდა, რომ კანდიდატი საკითხს ფორმალისტურად უდგება, მიაჩნია რა, რომ უნდა იხელმძღვანელოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო და არა მისი სამოტივაციო ნაწილითაც.

□ *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი*

მოსმენის პროცესში, კანდიდატი მეტნაკლები ადეკვატურობით აღიქვამდა დასმული კითხვის არსს, თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში, დამკვირვებელს შესაძლოა გასჩენოდა განცდა, რომ მოსამართლე ჯეირანაშვილს უჭირდა თანმიმდევრული ლოგიკის განვითარება. აღნიშნული შესაძლოა აიხსნას იმით, რომ კანდიდატს ან არ გააჩნდა საკმარისი ცოდნა, ან მოსამართლე არ იყო საკმარისად თავდაჯერებული საკუთარი ცოდნის სისწორეში. აღნიშნულ განცდას ამძაფრებს კანდიდატის განცხადებები რამდენიმე საკითხზე, რომ მას ამის შესახებ არ უფიქრია.

□ *პროფესიული თვისებები*

კითხვაზე: იმ შემთხვევაში თუ კერძო პირი მეორე პირს ადანაშაულებს დანაშაულის ჩადენაში, ეს ცილისწამება იქნება თუ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, კანდიდატი პასუხობს: *"ალბათ ცილისწამება იქნება"*

კანდიდატის პასუხი საბოლოო ჯამში სწორია, თუმცა მისი პასუხი ტოვებდა განცდას, რომ ის არ იყო დარწმუნებული პასუხში, რაც უარყოფითად აისახება, მისი როგორც სისხლის სამართლის სპეციალისტის, პროფესიულ თვისებებზე. იმის ფონზე, რომ კანდიდატის სამოსამართლეო პრაქტიკა მჭირდროდ არის დაკავშირებული დანაშაულის კვალიფიკაციის განსაზღვრასთან, იქმნება შთაბეჭდილება, რომ არასტანდარტულ სიტუაციებში თავდაჯერებულობის ნაკლებობა ახასიათებს.

□ *აკადემიური მიღწევები, პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა*

სისხლის სამართლის დარგში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილების მიუხედავად, კანდიდატმა ვერ შეძლო აეხსნა ბრალის ზოგად თეორიებსა და პირობითი მსჯავრის ინსტიტუტს შორის არსებული კავშირი. აღნიშნული შესაძლოა ისე იქნას გეგებული, რომ კანდიდატის პროფესიული უნარ-ჩვევები შემოიფარგლება მხოლოდ პრაქტიკულ საკითხებზე მუშაობით და ნაკლებ ინტერესს იჩენს სხვადასხვა სამართლებრივი დარგის დოქტრინალური ანალიზის მიმართ.